

საქართველოს მცხინვერებათა აკადემიის თინათინ ჭერეთლის  
სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სოცუმის ფილიალი

თამარ ზარანდია

სახელმწიფო კალდებულების  
შესრულების აღბილი და კადები

გამომცემლობა „ჯისია“

Tel/Fax: (995 32) 33 52 91, (995 32) 95 31 99

E-mail: [gci@gol.ge](mailto:gci@gol.ge)

თბილისი 2005

ვალდებულების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულება წარმოადგენს თანამედროვე ქართული სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპს. წარმოდგენილ ნაშრომში შედარებითი ანალიზის საფუძველზე, კერძოდ, საქართველოს, გერმანიის, საფრანგეთის, შვეიცარიისა და რუსეთის სამართლის მაგალითზე, სწორედ ეს პრობლემაა შესწავლილი. მასში თავდაპირველად შესრულების ადგილთან დაკავშირებულ საკითხებს ვიკვლევთ, შემდგომ კი შესრულების ვადების პრობლემაა წამოწეული. სამოქალაქო კოდექსი ვადებთან დაკავშირებით ბევრი სიახლით გამოირჩევა და ვალდებულების დროული შესრულების დეტალურ მოწესრიგებას გვთავაზობს.

მონოგრაფია განკუთვნილია აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული მეცნიერების, პრაქტიკოსების, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლების, დოქტორანტებისა და სტუდენტებისათვის.

**რედაქტორები:** იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ბესარიონ ზოიძე

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ლადო ჭანტურია

**რეკენზენტები:** იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,  
დოცენტი ეკა ზარნაძე

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,  
დოცენტი ლალი ლაზარაშვილი

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,  
დოცენტი თამარ ჩიტოშვილი

## რედაქტორის წინათქმა

უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსის მიღებიდან დღემდე ერთობ დაწინაურდა ქართული ცივილისტიკა და ბევრი სერიოზული გამოკვლევა შესრულდა. განსაკუთრებით ეს ითქმის სამოქალაქო სამართლის თეორიულ პრობლემებზე. დეტალურად დამუშავდა სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილისა და სანივთო სამართლის პრობლემები. საგანგებო კვლევის საგანი იყო ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში. ახალგაზრდა მკვლევარების მხრიდან განსაკუთრებული ინტერესი გამოიკვეთა ვალდებულებითი სამართლის მიმართ. აქაც მონოგრაფიულად დამუშავდა შესრულების შეუძლებლობისა და სახელშეკრულებო თავისუფლების საკითხები. აღარაფერს ვამბობ სამეწარმეო სამართლის შესახებ, სადაც უაღრესად სერიოზული გამოკვლევებია შესრულებული. მეტს აღარ ჩამოვთვლი, მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ამ გამოკვლევათა უმეტესობა ევროპული სამართლებრივი დოქტრინის თანამედროვე მიღწევების საფუძველზეა შესრულებული.

წინამდებარე მონოგრაფია წარმოადგენს ერთ-ერთ კარგ ნიმუშს ბოლო ხანებში შექმნილი გამოკვლევებიდან. მასში განსაკუთრებული სიუხვითაა წარმოჩენილი შესრულების ვადებთან დაკავშირებული პრობლემები. კარგად ჩანს ვადების, როგორც ზოგად-სამართლებრივი

თავისებურება, ისე მათი კერძო-სამართლებრივი ბუნება. ცხოვრება ადასტურებს, რომ ვადების დადგენის საკანონმდებლო კონცეფცია სერიოზული ხარვეზებით ხასიათდება. არასწორად განსაზღვრული ნორმატიული ვადები სამოქალაქო ცხოვრების (ბრუნვის) დაბრკოლებაც კი გამზდარა. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ვადა ავალდებულებს სამართლის ნებისმიერ სუბიექტს, საჯარო იქნება იგი თუ კერძო. ვადის განსაზღვრაში შეიძლება მხარეები შეცდნენ, მაგრამ როცა იგი კანონით დგინდება, აქ შეცდომის ალბათობა ყველაზე ნაკლები უნდა იყოს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა თავის გადაწყვეტილებებში ვადების საკანონმდებლო პოლიტიკის შესახებ. ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ითქვა, რომ ნორმატიული აქტის მიღებისას კანონმდებლის პროგნოზი უნდა იყოს დასაბუთებული და გამართლებული, რათა ადგილი არ ჰქონდეს კანონის ამოქმედების ხშირად გადავადებას, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს თვით უფლების არსებობასაც.

ამ ნაშრომში ვადები სამართლებრივ ინტერესთან მჭიდრო კავშირით ერთობაშია წარმოჩენილი, რაც მეტყველებს მის სწორედ ზოგად-სამართლებრივ მნიშვნელობაზე. იგივე უნდა ითქვას ვადისა და უფლების ურთიერთმიმართებაზეც. ვადა უფლების საეჭვოობის საფუძველი კი არ უნდა გახდეს, არამედ მისი გაქარწყლება-მოხსნის საშუალებას უნდა წარმოადგენდეს. ამ გამოკვლევიდან ჩანს, რომ მუდამ საეჭვო უფლება აღარც კია უფლება.

მონოგრაფიაში სამოქალაქო ვალდებულების შესრულების ვადების თითქმის ყველა წვრილმანია წარმოჩენილი და ბევრი ისეთიც, რასაც პირველად შეეხო მკვლევარის ხელი. ერთ-ერთი

ასეთთაგანი გონივრული ვადების პრობლემაა, რაც ცივილისტიკის გარდა, ძალზედ მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების სამართალში. უარესად საინტერესოა დამატებითი ვადები. სამოქალაქო კოდექსი ერთობ მდიდარია ასეთი ვადებით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ყველაფერი კეთდება ვალდებულების შესასრულებლად.

წარმოდგენილი ნაშრომი იმავდროულად შედარებით — სამართლებრივი გამოკვლევაცაა. ევროპული სამართლიდან ყველაზე უხვად ფრანგული სამართალია წარმოჩენილი. ყოველივე ამას სასამართლოების პრაქტიკა ასხამს ხორცს, რასაც საკმაოდ უხვად ვხვდებით მასში. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდა მკვლევარის — თამარ ზარანდიას ნაღვაწი შესრულების ვადების პირველი სრულყოფილი მეცნიერული გამოკვლევაა ახალ ქართულ სამოქალაქო სამართალში. კვლავ მინდა აღვნიშნო, რომ უზომოდ სასიხარულოა, როცა ახალგაზრდა ცივილისტები საინტერესო გამოკვლევებს ქმნიან. თუ ეს პროცესი ასეთი გაქანებით წავიდა, ახლო მომავალში საქართველო იქცევა ამ დარგის კვლევის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრად პოსტსაბჭოთა სივრცეში.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ბესარიონ ზოიძე

# შინაარსი

რედაქტორის წინათქმა.....	V
შესავალი.....	1
<b>თავი I. ვალდებულების შესრულების ადგილი</b>	
§ 1. ვალდებულების შესრულების ადგილის ცნება და მნიშვნელობა.....	3
§ 2. ვალდებულების შესრულების ადგილის დადგენა მხარეთა მიერ.....	10
§ 3. ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრა კანონის მიერ.....	15
§ 4. ფულადი ვალდებულებების შესრულების ადგილი.....	23
<b>თავი II. ვალდებულების შესრულების ვადები</b>	
§ 1. ვადები სამოქალაქო სამართალში.....	28
§ 2. ვალდებულების შესრულების ვადის ცნება.....	39
§ 3. ვალდებულების შესრულების კანონისმიერი ვადები.....	46
§ 4. ვალდებულების შესრულების სახელშეკრულებო ვადები.....	53
§ 5. განსაზღვრული და განუსაზღვრელი ვადები.....	58
§ 6. ვადა მოვალის, კრედიტორის და საერთო ინტერესში.....	62
§ 7. ნავარაუდევი და გონივრული ვადები.....	64
§ 8. განმვადებელი, აღმკვეთი და დამატებითი ვადები.....	72
§ 9. ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულება.....	77
§ 10. ვადაძლევი შესრულება.....	87
§ 11. ერთდროული შესრულება.....	93
§ 12. ხელშეკრულების განახლების ვადები.....	97
§ 13. მოვალისა და კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება.....	102
დასკვნა.....	121
<b>SUMMARY</b> .....	123
გამოყენებული ლიტერატურა.....	128

# შესავალი

ვალდებულების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შესრულება წარმოადგენს თანამედროვე ქართული სამოქალაქო სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპს. სამოქალაქო კოდექსის სერიოზული თავისებურება ისაა, რომ იგი მთლიანად შესრულებაზეა ორიენტირებული. მთავარია ვალდებულების შესრულება და არა პასუხისმგებლობა მისი შეუსრულებლობისათვის. ვალდებულების შესრულებისას ქართული სამოქალაქო კოდექსი იძლევა ინტერესთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესაძლებლობას. პატივსაღები ინტერესი ზდება ვალდებულებითი ურთიერთობის როგორც ტრანსფორმაციის, ისე მისი შეწყვეტის საფუძველი.<sup>1</sup> განსაკუთრებით გამოიკვეთა დღევანდელ სამოქალაქო ბრუნვაში ვალდებულების დათქმულ ადგილსა და ვადებში შესრულების საკითხი (პრობლემა). ამიტომაცაა, რომ სამოქალაქო კოდექსი საკმაოდ სრულყოფილად აწესრიგებს მას და ამით საფუძველს უყრის სტაბილური და მოწესრიგებული სამოქალაქო ბრუნვის ჩამოყალიბებას. წარმოდგენილი ნაშრომიც სწორედ ამ პრობლემებს ეძღვნება. მასში თავდაპირველად შესრულების ადგილთან დაკავშირებულ საკითხებს ვიკვლევთ. ამ შემთხვევაში მთავარია პირველ რიგში პასუხი გაეცეს იმას, თუ სად უნდა შესრულდეს ვალდებულება და ამის შემდეგ დება საკითხი, თუ როდის უნდა შესრულდეს იგი. შესრულების ადგილის მოწესრიგება სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ხდება როგორც დისპოზიციურად, ისე იმპერატიულად. აღსანიშნავია ის, რომ

<sup>1</sup> იხ. ბესარიონ ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, გვ. 286.

სამოქალაქო კოდექსი ცალკე აწესრიგებს ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილს. ფართო ადგილი ეთმობა ნაშრომში ვალდებულების შესრულების ვადების პრობლემას. აქ სამოქალაქო კოდექსი ბევრი სიახლით გამოირჩევა და ვალდებულების დროული შესრულების დეტალურ მოწესრიგებას გვთავაზობს. ვალდებულების დროული შესრულება მნიშვნელოვანია მთელი სამართლისათვის, როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლისათვის. იგი წარმოადგენს სტაბილური სამოქალაქო ბრუნვის აუცილებელ გარანტიას. პრაქტიკიდან ჩანს, რომ ვალდებულების დარღვევა ხშირად ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებაში გამოიხატება. სწორედ ამიტომაც ჩავთვალეთ მიზანშეწონილად ეს უკანასკნელი საკითხიც წამოგვეწია.

ვალდებულების შესრულების ვადები საზოგადოებრივი ურთიერთობების დროში რეგლამენტირების უნივერსალური საშუალებაა, და ეს შეიძლება განხორციელდეს როგორც ნორმატიული, ისე ინდივიდუალური ნების გამოვლენის საფუძველზე, იმპერატიული ან დისპოზიციური ფორმით.

# თავი I. ვალდებულების შესრულების ადგილი

## § 1. ვალდებულების შესრულების ადგილის ცნება და მნიშვნელობა

„ვალდებულების შესრულება“ გულისხმობს, როგორც „ვალდებულების შესასრულებელ მოქმედებას“, ისე „ვალდებულების შესრულების შედეგს.“ სამოქალაქო კოდექსის 362-ე მუხლში აღნიშნულ „შესრულებაში“ იგულისხმება მხოლოდ „ვალდებულების შესასრულებელი მოქმედება“. ამდენად, ვალდებულების შესრულების ადგილია ის ადგილი, სადაც მოვალე ახორციელებს ვალდებულების შესასრულებელ ბოლო მოქმედებას.<sup>2</sup>

ვალდებულების შესრულების ადგილი – არის ადგილი, სადაც უნდა შეასრულოს ვალდებულება მოვალემ და მიიღოს შესრულება კრედიტორმა, წინააღმდეგ შემთხვევაში ორივე მათგანი შეიძლება მივიჩნიოთ ვალდებულების შესრულების ვადის გადამცილებლად.

ვალდებულების შესრულების ადგილის ამგვარი განსაზღვრება მოითხოვს დაზუსტებას:

პირველ რიგში, საქმე აუცილებლად უნდა ეხებოდეს რაიმე ადგილს, ანუ სივრცეში მეტად თუ ნაკლებად განსაზღვრულ პუნქტს. ეს შეიძლება იყოს განსაზღვრული შენობა (მაგალითად, ესა თუ ის

<sup>2</sup> სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე (ბესარიონ ზოიძე), გამოცემილია „სამართალი“, თბ., 2001, გვ. 273.

სახლი), ან განსაზღვრული დასახლებული პუნქტი (მაგალითად, ესა თუ ის ქალაქი), ან რეგიონი, ან სულაც სახელმწიფო. რაც უფრო ზოგადად არის ადგილზე მინიშნება, მით უფრო მეტი თავისუფლება აქვს მოვალეს, ამოირჩიოს ადგილი, სადაც მას შეეძლება რეალურად შეასრულოს ვალდებულება.

ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, საქმე უნდა ეხებოდეს ადგილს, სადაც მოვალე განახორციელებს თავისი შესრულებისათვის საჭირო უკანასკნელ მოქმედებას. ნაკლებმნიშვნელოვანია, თუ სად განახორციელა მოვალემ შესრულებისათვის საჭირო მოსამზადებელი აქტები.

ვალდებულების შესრულების ადგილი შეიძლება არსებობდეს მხოლოდ რაიმეს შესრულების ვალდებულებისათვის, ვერეთ წოდებული პოზიტიური ვალდებულებისათვის, რადგან, თუ ვალდებულების ძალით მოვალემ თავი უნდა შეიკავოს რაიმე მოქმედებისაგან (ნეგატიური ვალდებულება), ცხადია, ასეთი ვალდებულება, თუნდაც იგი შემოსაზღვრული იყოს ადგილის თვალსაზრისით, ვერ იქნება „შესრულებული“ რაიმე განსაზღვრულ ადგილას.

შესრულების ადგილი არ უნდა გავაიგივოთ შედეგის ადგილთან, ანუ ადგილთან, სადაც დგება შედეგი. როგორც წესი, შესრულების ადგილი კავშირშია შედეგის ადგილთან, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების ადგილი, სადაც მოვალე ვალდებულია განახორციელოს შესრულება, არ ემთხვევა შედეგის ადგილს, ანუ ადგილს, სადაც კრედიტორს შეუძლია ისარგებლოს შესრულებით. მაგალითად, როდესაც მოვალე ვალდებულების ძალით გზავნის რაიმე საგანს, შესრულების ადგილად ითვლება გაგზავნის ადგილი, ხოლო შედეგის ადგილად კი დანიშნულების ადგილი.<sup>3</sup> შესრულების ადგილი

<sup>3</sup> Peter Gauch, Walter R. Schluerp, Tercier Pierre, La partie générale du droit des obligations (sans la responsabilité civile), Tome II, 2-ème édition revue et complétée, Zurich, 1982, გვ. 17.

შეიძლება განისაზღვროს როგორც ადგილი, სადაც მოვალემ დათქმულ დროს უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულება. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. აქედან გამომდინარეობს, რომ მოვალე, რომელიც შეიძლება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და შესაბამის ვადაში ასრულებს თავის ვალდებულებას, მაგრამ არა შესაბამის ადგილას, არ ასრულებს თავის ვალდებულებას სათანადოდ<sup>1</sup>საინტერესოა, რომ სამოქალაქო კოდექსი საუბრობს შესრულებაზე „დათქმულ დროსა და ადგილას“. ამასთან, არც ამ, არც რომელიმე სხვა მუხლში არ არის განმარტებული, რას გულისხმობს ვალდებულების შესრულება დათქმულ ადგილსა და დროში. ცხადია, პირველ რიგში აქ იგულისხმება მხარეების მიერ გაკეთებული დათქმა შესრულების ადგილის თაობაზე, მაგრამ როდესაც ასეთი დათქმა ხელშეკრულების მხარეებს შორის არ არსებობს? ზოგადი წესიდან გამომდინარე, როგორც საერთოდ ყველა ურთიერთობაში, ისე ვალდებულების შესრულების ადგილთან მიმართებით, შესრულება უნდა შეესაბამებოდეს ვალდებულების შინაარსს და გამომდინარეობდეს იმ საფუძვლიდან, რომელმაც ვალდებულება წარმოშვა. არის შემთხვევები, როდესაც აღნიშნული საფუძველი ვერ იძლევა ზუსტ მითითებას იმ ადგილის თაობაზე, სადაც ვალდებულება უნდა შესრულდეს, და შესაბამისად, აუცილებელია, რომ კანონმდებლობაში გათვალისწინებული იყოს ასეთი შემთხვევების მოწესრიგებელი დამხმარე წესი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა შესრულების ადგილს აქვს ორმხრივ ვალდებულებებში. არის შემთხვევები, როდესაც კრედიტორი უარს ამბობს თანამშრომლობაზე და მოვალეს არა აქვს საშუალება განახორციელოს შესრულება. ამ ნაშრომში არ განვიხილავთ იმას,

თუ რა საშუალებებს ფლობს მოვალე, რათა განთავისუფლდეს საკუთარი ვალდებულებისაგან, აღინიშნავთ მხოლოდ, რომ კრედიტორი, რომელიც უარს იტყვის მიიღოს შესრულება შესაბამის ადგილას და შესაბამის დროს, ითვლება შესრულების ვადის გადამცილებლად.

შესრულების ადგილთან არის დაკავშირებული ასევე სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულების შეწყვეტა დეკლარაციით. სამოქალაქო კოდექსის 437-ე მუხლის შესაბამისად, „შენახვა უნდა მოხდეს შესრულების ადგილის მიხედვით“.

უნდა აღინიშნოს, რომ ვალდებულების შესრულების ადგილი არ ნიშნავს იმ ადგილს, სანამდეც ვალდებულების შემსრულებელმა უნდა გასწიოს ხარჯები. ხარჯებთან დაკავშირებული საკითხი კანონმდებლობით განსხვავებულადაა მოწესრიგებული. ასე მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 478-ე მუხლის თანახმად, „გაყიდული ნივთის (საუბარია მოძრავ ნივთზე) გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები, კერძოდ, აწონვის, გაზომვისა და შეფუთვის ხარჯები ეკისრება გამყიდველს, ხოლო ხელშეკრულების დადების ადგილიდან სხვა ადგილზე საქონლის მიღებისა და გადაგზავნის ხარჯები – მყიდველს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. ამდენად, შესრულების ადგილი არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს ადგილთან, სანამდეც მოვალემ (ან კრედიტორმა) უნდა იკისროს ხარჯების გაწევა.

სამოქალაქო კოდექსში მრავლადაა „ვალდებულების შესრულების ადგილის“ მსგავსი ტერმინები, როგორცაა: საცხოვრებელი ადგილი, შესრულების შედეგის ადგილი, შესრულების ადგილი, მოქმედების ადგილი. შევეცდებით შევისწავლოთ ამ ტერმინების მნიშვნელობა, რათა მათგან გავმიჯნოთ ვალდებულების შესრულების ადგილი.

ასე მაგალითად, საცხოვრებელი ადგილი, რომელთანაც

დაკავშირებულია პირის აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად, გამოცხადება გარდაცვლილად და სხვა სამართლებრივი შედეგი. საცხოვრებელ ადგილს მნიშვნელობა აქვს მაშინაც, როდესაც ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამების განმარტებაა საჭირო. სამოქალაქო კოდექსის 337-ე მუხლის შესაბამისად, „თუ ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამები შეიძლება გაგებულ იქნეს სხვადასხვანაირად, მაშინ უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმას, რომელიც, ჩვეულებრივ, მიღებულია ხელშეკრულების დამდები მხარეების საცხოვრებელ ადგილზე. თუკი მხარეებს სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილი აქვთ, გადაწყვეტია აქცეპტანტის საცხოვრებელი ადგილი“.

პირველ რიგში უნდა გაიმიჯნოს ვალდებულების შესრულების ადგილი ვალდებულების შესრულების შედეგის ადგილისაგან. რომაელები შედეგის ადგილს უმეტესად კრედიტორის ადგილსამყოფელს უკავშირებდნენ.<sup>4</sup> შესრულების შედეგის ადგილი ფაქტიური შესრულების შედეგის ადგილს, ვალდებულების რეალური შესრულების ადგილს გულისხმობს. ვალდებულების შესრულების ადგილის ქვეშ იგულისხმება ადგილი, სადაც სავინისეული დეფინიციით ვალდებულებითი ურთიერთობის ადგილსამყოფელი, ცენტრი მდებარეობს.<sup>5</sup> ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით ხდება გამოსაყენებელი სამართლის დადგენა, იგი ხშირ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ვალდებულების განმარტებისას, პასუხისმგებლობის დაკისრებისას. შედეგის ადგილი კი ამ მიმართებით უმნიშვნელოა, ამასთან იგი დამოკიდებულია ვალდებულების შესრულების ადგილზე, რადგან ვალდებულების შესრულების ადგილი ხშირად განსაზღვრავს შედეგის ადგილს.

<sup>4</sup> Begriff und Bedeutung des Vollzugsorts beim gegenseitigen Vertrag, Der Vollzugort beim gegenseitigen Vertrag von C. August Emge, Verlegt bei Clauss Feddersen in Hanau, 1910, გვ. 6.

<sup>5</sup> იქვე.

მაგალითისათვის ა-მ ფოთში კატალოგით გამოიწერა თბილისიდან ბ-საგან გარკვეული ნივთი. გამყიდველი ბ-ს ვალდებულების შესრულების ადგილი – თბილისია, მაგრამ შესრულების შედეგის ადგილი – ფოთი. ამის დასტურად მოვიხმობთ სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის თანახმადაც, გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საჭონელი. ამდენად, ამ მუხლის საფუძველზე არსებობს გამყიდველის ვალდებულება მოუპოვოს მყიდველს საკუთრების უფლება ნივთზე, გადასცეს საბუთები და მიაწოდოს საჭონელი. ამდენად, ბ-ს როგორც გამყიდველის ვალდებულება, ამ შემთხვევაში ამ სამი მოქმედების შესრულებით მთავრდება. ამასთან, მათი სრულყოფილი შესრულებისათვის აუცილებელია მყიდველის მონაწილეობაც. ამ შემთხვევაში თანამშრომლობა არის ასეთი ურთიერთობის სწორი ფორმა, მაგრამ გამყიდველის დამოუკიდებელი ვალდებულების შესრულება, სახელდობრ, ნივთზე მფლობელობისა და საკუთრების უფლების გადაცემა შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ ფოთში და არა თბილისში. ამდენად, შესრულების ადგილი არის თბილისი, სადაც გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს ან გადაზიდვაზე პასუხისმგებელ სხვა პირს. ამასთან, ვერ მოხდება გამყიდველის მთავარი ვალდებულების იგნორირებაც, ვინაიდანაც შედეგის ადგილია ფოთი.

ქვალდებულების შესრულების ადგილი შეიძლება კავშირში ჩყოს გეოგრაფიულ აღნიშვნასთან, რომელიც უთითებს საჭონლის წარმომავლობაზე ქვეყნის ტერიტორიიდან, მისი რეგიონიდან ან უბნიდან, თუ საჭონლის ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებლები არსებითად მისი გეოგრაფიული წარმოშობითაა განპირობებული.<sup>6</sup> †

<sup>6</sup> იხ. ამასთან დაკავშირებით თამარ ტალიაშვილი, გეოგრაფიულ აღნიშვნათა სამართლებრივი დაცვის სპეციფიკის საკითხი, უკრანული „სამართალი“, №6-7, 2000, გვ. 74-79.

ვალდებულების შესრულების ადგილს ხშირ შემთხვევაში უკავშირდება ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკის გადასვლა. თუმცა მცდარია შეხედულება, თითქოს ვალდებულების შესრულების ადგილი გადამწყვეტია საფრთხის (რისკის) გადატანისათვის. სამოქალაქო კოდექსის 482-ე მუხლის პირველი ნაწილი საუბრობს ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკის მყიდველზე გადასვლაზე „გაყიდული ნივთის გადაცემასთან ერთად“, თუ მხარეები სხვა მოწესრიგებაზე არ შეთანხმებულან. იმავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, „თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როდესაც გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს“. ამდენად, ივარაუდება, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილას გაგზავნის შემთხვევაში, ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკის მატარებელია გამყიდველი, ხოლო შესრულების ადგილს ამ ჭრილში ვერანაირ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ.<sup>8</sup>

ტერმინი „შესრულების ადგილი“ ხშირად მოიცავს როგორც ვალდებულების შესრულების ადგილს, ისე შესრულების შედეგის ადგილს. სახელდობრ, ჯერ ვალდებულების შესრულების ადგილს, შემდეგ შესრულების შედეგის ადგილს. პირველი იგულისხმება შესრულების ადგილის თაობაზე შეთანხმებისას, თუმცა მხარეები იშვიათად ადგენენ შესრულების ადგილს შეთანხმებით, რადგან ძირითადად იგი ვალდებულებითი ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარეობს. მეორე მნიშვნელობა „შესრულების ადგილისა“ – რომელიც უთანაბრდება შესრულების შედეგის ადგილის მნიშვნელობას, რომელი სამართლიდან მოდის და შესრულების ადგილს განმარტავს როგორც

ადგილს, სადაც ვალდებულების ადგილია და სადაც მოქმედება (შესრულება) რეალურად უნდა განხორციელდეს.<sup>7</sup>

მოქმედების ადგილის ქვეშ, რომელიც ასევე ხშირად გამოიყენება შესრულების ადგილის მნიშვნელობით, გერმანულ ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით, იგულისხმება ადგილი, სადაც აღსრულება კრედიტორის სვალდებულო მოქმედება, განსხვავებით უკვე ნახსენები შესრულების შედეგის ადგილისაგან, რომელიც არის მოქმედების შედეგის ადგილი. სამოქალაქო კოდექსში მოქმედების ადგილი სხვადასხვა სახით გვხვდება, სატრანსპორტო ექსპედიციის ხელშეკრულების დროს, 732-ე მუხლის თანახმად, საფრთხისშემცველი ტვირთი შეიძლება ექსპედიტორის მიერ (თუ მან არ იცოდა ტვირთის საფრთხისშემცველობის შესახებ), ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას გადმოიტვირთოს, განაღებდეს ან გაუწებებლდეს ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაუკისრებლად.

## § 2. ვალდებულების შესრულების ადგილის დადგენა მხარეთა მიერ

საერთოდ ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრა მხარეთა მიერ ხდება. ამ დებულების საფუძველი სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპში უნდა ვეძიოთ. პოზიტიური თვალსაზრისით ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი გულისხმობს კერძო პირების უფლებას დადონ ნებისმიერი შინაარსის შეთანხმებანი.<sup>9</sup>

<sup>7</sup> C. August Emge, დასახ. ნაშრ., გვ. 9.

<sup>8</sup> C. August Emge, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

<sup>9</sup> И. А. Покровский, Основные проблемы гражданского права, М., 1998, გვ. 250.

ამასთან, ხელშეკრულების თავისუფლება მოიცავს ხელშეკრულების დადების თავისუფლებასა და ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის უფლებას. ვალდებულების შესრულების ადგილის თავისუფალი განსაზღვრა სწორედ ამ მეორე ელემენტში მოიაზრება. ხელშეკრულების მხარეებს თვითონვე შეუძლიათ დამოუკიდებლად შეთანხმდნენ ხელშეკრულების ყველა საკითხზე.<sup>10</sup>

ამდენად, არაფერი ეწინააღმდეგება იმას, რომ მხარეები თავად შეთანხმდნენ იმ ადგილზე, სადაც მოხდება ვალდებულების შესრულება. ვალდებულების შესრულების ადგილის დანიშვნა ზოგადად მხარეთა შეთანხმებით ხდება და ერთ რომელიმე მხარეს არ შეუძლია მისი ცალმხრივად დანიშვნა. ერთ-ერთი მხარისათვის კომერციულ მიმოწერაში შესრულების ახალი ადგილის ცალმხრივი შეტყობინება არ ნიშნავს შეთანხმებას ვალდებულების შესრულების ახალი ადგილის დანიშვნაზე. მაგალითად, თუ რამოდენიმე წლის განმავლობაში მხარეები ერთსა და იმავე ადგილას ასრულებდნენ რაიმე ვალდებულებას, ერთი მხარის მიერ ცალმხრივად გამოხატული ნება შესრულების ადგილის შეცვლის თაობაზე ვერ განიხილება, როგორც შეთანხმება შესრულების ახალ ადგილზე, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მეორე მხარე დუმს. აქ ის შემთხვევა გვაქვს, როდესაც დუმილი თანხმობის ნიშანი არ არის. მხარეთა მიერ ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრა თავის მხრივ შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირია შესრულების ადგილის განსაზღვრა, როდესაც ის ადგილი, სადაც მოვალე ვალდებულია შეასრულოს ვალდებულება, პირდაპირ არის მითითებული (ასეთ შემთხვევაში ლაპარაკია აშკარა, კატეგორიულ, გარკვეულად გამოვლენილ ნებაზე („volonté expresse“)).<sup>11</sup> ნების გამოვლენა

<sup>10</sup> სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე (ლადო ჭანტურია), გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, გვ. 60.

<sup>11</sup> Peter Gauch, Walter R.Schluep, Pierre Terclier, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

შესრულების ადგილის თაობაზე ცალსახა და ნათელია. ასე მაგალითად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ამ მისამართზე, ან უბრალოდ, კრედიტორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. შესრულების ადგილი არაპირდაპირაა განსაზღვრული, როდესაც ის ადგილი, სადაც შესრულება უნდა განხორციელდეს, არ არის გარკვეულად მითითებული, მაგრამ მითითებულია საკმარისად და შესაძლებელია მისი გამოცნობა. ფრანგულ სამართალში ასეთი ნების გამოვლენა ცნობილია „volonté présumée“-ს სახელწოდებით, რაც სავარაუდო ნებას გულისხმობს.<sup>12</sup> ისევე როგორც ვალებთან დაკავშირებით, აქაც ადგილი აქვს მხარეთა შერ არასაკმარისი სიზუსტით გამოხატულ ნებას. როდესაც შესრულების ადგილი არაპირდაპირ არის განსაზღვრული, დგება ნაგულისხმევი განზრახვის სწორი ინტერპრეტაციის საკითხი. აღნიშნულ საკითხს მხოლოდ იმ კუთხით შევხები, რაც მნიშვნელოვანია არაპირდაპირ განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ადგილის დასადგენად. პირველ რიგში, ასეთი სახით გამოვლენილ ნებას ესაჭიროება განმარტება, რაც უნდა მოხდეს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესით, ანუ ნება უნდა დადგინდეს გონიერული განსჯის შედეგად და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან (მუხლი 52-ე). უნდა აღინიშნოს, რომ ადგილია მხარეთა ნამდვილი ნების გამოცნობა, როდესაც ხელშეკრულების სიტყვასიტყვითი აზრი არ იწვევს არანაირ ეჭვს. ასევე ცხადია, რომ ხელშეკრულებაში გამოყენებული სიტყვები გაგებულ უნდა იქნეს მათი ჩვეულებრივი მნიშვნელობით, ხოლო თუ ხელშეკრულების გამონათქვამს შეიძლება ჰქონდეს ორმაგი მნიშვნელობა, უნდა ვიხელმძღვანელოთ იმ გაგებით, რაც გამოიყენება მხარეთა საცხოვრებელ ადგილას.

ამდენად, მხარეთა შეთანხმება შეიძლება იყოს გარკვევით

<sup>12</sup> იქვე.

გამონატული ან ნაგულისხმევი. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ნაგულისხმევი ნება (1) შეიძლება გამომდინარეობდეს საქმიანობის ხასიათიდან, (2) გარკვეულ დარგში მიღებული წესებიდან ან (3) შესრულების საგანთა ბუნებიდან.<sup>13</sup> აღნიშნული კი გულისხმობს შემდეგს:

1. შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნეს დებულება, რომელიც არ აკონკრეტებს შესრულების ადგილს, მაგრამ საქმიანობის ხასიათიდან ცხადია, თუ სად უნდა შესრულდეს იგი. მაგალითად: მუშამ თავისი ვალდებულება უნდა შეასრულოს ქარხანაში, კბილის ექიმმა თავის კაბინეტში.
2. როდესაც შესრულების ადგილი გამომდინარეობს რაიმე მიღებული წესებიდან ამა თუ იმ დარგში. ასეთი წესები გვხვდება საერთაშორისო კრძო სამართალში, ამის მაგალითია საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ (ICC) შემუშავებული სტანდარტული სავაჭრო ტერმინების სისტემა, ინკოტერმსი, რომელიც 1936 წლიდან არის მოქმედებაში და ნ-ჯერ იქნა განახლებული. ინკოტერმსი ზუსტად განსაზღვრავს მყიდველისა და გამყიდველის მოვალეობებს, მათ შორის ვალდებულების შესრულების ადგილთან მიმართებით და განიხილება როგორც საერთაშორისო სტანდარტი. ასე მაგალითად, EXW (... დასახელებული ადგილი, ზოგან გვხვდება ფრანკო – ქარხანა) – გულისხმობს გამყიდველის მინიმალურ მოვალეობას, მაგალითად, ტვირთი გადადის მყიდველის განკარგულებაში ჯერ კიდევ გამყიდველის საწყობიდან (ქარხნიდან), ანუ ვალდებულების შესრულების ადგილი არის გამყიდველის საწყობი ან ქარხანა. ამის საპირისპიროდ, DDP (დანაშნულების, დასახელებული

<sup>13</sup> Pierre Engel, *Traté des obligations en droit Suisse*, Neuchatel, 1973, გვ. 426.

ადგილი) გულისხმობს იმას, რომ ვალდებულება შესრულებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ტვირთმა გაიარა დანიშნულების ქვეყნის საბაჟო და გადაეცა მყიდველს მის მიერ დასახელებულ ადგილას. არის შუალედური ვალდებულებებიც, რომელთა მიხედვით ვალდებულების შესრულების ადგილია მყიდველის მიერ დასახელებული ადგილი (სადაც ტვირთი გადაეცემა გადამზიდველს) (FCA), ჩატვირთვის დასახელებული პორტი (FOB), დანიშნულების დასახელებული პორტი (CIF) და სხვ<sup>4</sup>.

3. როდესაც შესრულების ადგილი გამომდინარეობს შესრულების საგანთა ბუნებიდან, მაგალითად, უძრავი ქონების ნასყიდობის შემთხვევა. ცხადია, რომ შესრულება ვერ განხორციელდება სხვა, უძრავი ქონების ადგილსამყოფლისაგან განსხვავებულ ადგილას. სწორედ საგანთა ბუნებიდან, მათი გადაადგილება უნარობიდან გამომდინარე, ამ სახის ვალდებულებანი, ზოგადი წესით, სრულდება მათი ადგილსამყოფლის მიხედვით.

მხარეთა შეთანხმება შესრულების ადგილის თაობაზე ფორმის მიხედვით შეიძლება იყოს ზეპირი ან წერილობითი. ამ მხრივ რაიმე განსაკუთრებულ მოთხოვნას კანონმდებლობა შესრულების ადგილის მიმართ არ ითვალისწინებს, მხოლოდ ზოგ შემთხვევაში მხარეებს შორის მეტი სიცხადის შესატანად, ადგენს ვალდებულების შესრულების ადგილის ხელშეკრულებაში (ან სხვა რომელიმე დოკუმენტში) მითითების სავალდებულობას. ასე მაგალითად, ვალდებულების შეწყვეტისას, როდესაც შესრულება ხორციელდება კრე-

<sup>4</sup> იხ. ამის თაობაზე უფრო ფართოდ, საქართველოს საბანკო რეგულაციების უნიციტრული წესები, გამოცემულია „ისარი“ თბ., 1995.

დიტორის სასარგებლოდ, კრედიტორის, ან სამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი დოკუმენტი შესრულების თაობაზე, უნდა შეიცავდეს მონაცემებს ვალის მოცულობისა და სახეობის შესახებ, მოვალის ან იმ პირის გვარსა და სახელს, რომელიც იხდის ვალს, შესრულების დროსა და ადგილს.✂

### § 3. ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრა კანონის მიერ

ვალდებულებათა სამართლებრივი მოწესრიგებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რა შინაარსისაა კრედიტორსა და მოვალეს შორის არსებული ინდივიდუალური ურთიერთობა. ცხადია, რომ მხარეთა ნების პრინციპული უპირატესობის წყალობით, შესრულების ადგილის დადგენისას კანონისმიერი მოწესრიგება უკანა პლანზე დგება<sup>15</sup>, მაგრამ იმისათვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული გაუგებრობები ამ საკითხთან დაკავშირებით, აუცილებელია ზუსტად დადგინდეს კანონით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ადგილის გამოყენების ფარგლები✂ თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ვალდებულების შესრულების ადგილის კანონისმიერი დადგენა, არ გამოიყენება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც შესრულების ადგილი არაა მითითებული ხელშეკრულებაში. თავდაპირველი და უპირატესი ძალა ენიჭება ზემოაღნიშნულ, ხელშეკრულებაში ნაგულისხმევ, ან ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე შესრულების ადგილს. ის

<sup>15</sup> Bernard Eecher, Der Erfüllungsort für Euro-Shhulden, Festschrift Heinz Krejci zum 60. Geburtstag, Wien, 2001, გვ. 1125.

შემთხვევები, როდესაც ვალდებულების შესრულების ადგილი განისაზღვრება კანონის მიერ – იშვიათია, როგორც აღინიშნა, ზოგჯერ იგი საგულისხმოა კონტრაქტთათვის და შეიძლება დადგინდეს ხელშეკრულების საერთო არსიდან განმარტების გზით. ყველაზე მკაფიოდ შესრულების ნაგულისხმევი ადგილის დადგენა შესაძლებელია თავად ვალდებულების არსიდან. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ვალდებულების არსიდან მკაფიოდ არ ჩანს, კონკრეტულად სად უნდა მოხდეს მისი შესრულება. ამაზე მიუთითებს საქართველოს კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილი, *„რომლის/თანახმადაც, „თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, მაშინ...“*. ამდენად კანონმდებლობით დადგენილი ზოგადი წესის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულების შესრულების ადგილი არა მხოლოდ არ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში, არამედ არც იგულისხმება და ამასთან, ვერც გაირკვევა თავად ვალდებულების არსიდან.

მხოლოდ ასეთ შემთხვევებში კანონმდებლობით დადგენილია ზოგადი წესი ვალდებულების შესრულების ადგილის განსაზღვრისათვის, რაც ხშირ შემთხვევაში პრინციპულად მნიშვნელოვანია.

ზოგადი წესის თანახმად საგნის მიწოდება უნდა მოხდეს:

- ა. ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში – იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტიანათვის იმყოფებოდა;
- ბ. გვაროვნული საგნის შემთხვევაში – იმ ადგილას, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო; თუ ასეთი არ არის, მაშინ მისი საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით (მუხლი 362-ე).

ამდენად, დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში – შესრულება ხორციელდება ვალდებულების წარმოშობისას მისი ადგილმდებარეობის მიხედვით. ცხადია, მხარეებმა უნდა იცოდნენ ის ადგილი, სადაც შესრულების საგანი იმყოფება. სხვა შემთხვევაში კი ვალდებულება უნდა შესრულდეს მოვალის საწარმოს ადგილმდებარეობის, ან მოვალის საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით. სამართალში დამკვიდრებული განმარტებით, იურიდიული მისამართი არის განსაზღვრული ინდივიდუალიზებული ტერიტორია, რომელიც ქალაქებში ქუჩებითა და შესაბამისი ნომრებით უნდა გამოიხატოს, თანაც ქუჩაც და ნომერიც სახელმწიფოს მიერ უნდა იყოს დადგენილი.<sup>16</sup> როგორც ჩანს, ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის შემთხვევაში, მისი ბუნებიდან გამომდინარე, რამდენადაც სახეზეა კონკრეტული, ცალკე მატერიალიზირებული ნივთი, ამიტომაცაა, რომ ასეთი ვალდებულების შესრულება ხდება იმ ადგილას, სადაც ვალდებულება წარმოიშვა. გვაროვნული საგნის შემთხვევაში კი, შესრულების საგანი ზოგადად განსაზღვრული და მითითება კეთდება ნივთის მხოლოდ გვარზე. ამ შემთხვევაში შესრულების ადგილის განსაზღვრისათვის მთავარია მოვალის საწარმო. შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნული შემთხვევებისათვის შესრულების ადგილის დეტერმინატორს (განმსაზღვრელს) წარმოადგენს თვით შესრულების საგანი. ქართული კანონმდებლობის მსგავსად არის საკითხი გადაწყვეტილი უკრაინის სამოქალაქო სამართალში, მაგრამ უკრაინის სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული, ვალდებულება უნდა

<sup>16</sup> იხ. გია დილუაშვილი, "შესრულებული პასუხისმგებლობის საზოგადოება, თეორია და პრაქტიკა, გამოცემულია „ჯისიოი“, თბ., 2005, გვ. 97.

შესრულდეს: 1) ისეთი ვალდებულებებისათვის, რომლებიც ითვალისწინებდნენ მშენებლობის გადაცემას – შენობის ადგილმდებარეობის მიხედვით; 2) ფულადი ვალდებულებისათვის (სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფულადი ვალდებულებების გარდა) – ვალდებულების გაჩენისათვის კრედიტორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო თუ კრედიტორმა შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი და შეატყობინა ამის თაობაზე მოვალეს, მაშინ კრედიტორის ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (ამასთან ყველა ხარჯი შესრულების ადგილის შეცვლასთან დაკავშირებით, ეკისრება კრედიტორს); 3) ყველა სხვა ვალდებულებებისათვის – მოვალის საცხოვრებელი ადგილის, ხოლო თუ მოვალე იურიდიული პირია, მისი იურიდიული მისამართის მიხედვით<sup>17</sup>. იაპონიის სამოქალაქო კოდექსის 484-ე მუხლის თანახმად კი ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის შემთხვევაში ვალდებულების შესრულება ხდება ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან მისი ადგილმდებარეობის მიხედვით, ხოლო სხვა სახის ვალდებულებებისათვის – ვალდებულების შესრულების დროს კრედიტორის ადგილსამყოფლის მიხედვით<sup>18</sup>.

ფრანგულ სამართალში, ვალდებულების შესრულების ადგილთან დაკავშირებით ერთმანეთისაგან განასხვავებენ ვალდებულებას, რომელიც ექვემდებარება შესრულებას კრედიტორის ადგილმდებარეობის მიხედვით და ვალდებულებას, რომელიც ექვემდებარება შესრულებას მოვალის ადგილმდებარეობის მიხედვით. ამ შემთხვევაში კრედიტორი უნდა მივიდეს მოვალის საცხოვრებელ ადგილას შესრულების მისა-

<sup>17</sup> Гражданский кодекс Украины, Научно-практический комментарий, Харьков, Одиссей, 1999, გვ. 263.

<sup>18</sup> Вагашума Саказ, Арнидзუმი Тору, Гражданское право Японии, М., „Прогресс“, 1983, გვ. 330.

ლებად.<sup>19</sup> თავისი ზოგადი ხასიათის გამო, ეს წესი მიესადაგება ასევე ხელშეკრულების ბათილად ცნობის შედეგად საგნის დაბრუნების ვალდებულების შემთხვევებსაც. ამდენად, არაერთი ქვეყნის კანონმდებლობა უკავშირებს შესრულების ადგილს იურიდიული პირის ადგილსამყოფელს.<sup>20</sup>

ამდენად, 362-ე მუხლის „ა“ პუნქტი, რომელიც ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთების შემთხვევას აწესრიგებს – შესრულების ადგილად მიიჩნევს ამ ნივთის ადგილმდებარეობას ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან. სასამართლო პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც სასამართლოს უმსჯელია ამ საკითხზე. ასე მაგალითად, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (№3კ/305-01, 2001 წლის 15 ივნისი, ქ. თბილისი) აღინიშნა: „...პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „რანდი I“-ის მიერ სარჩელის აღძვრის ერთ-ერთ საფუძველს სწორედ ადგილსამყოფელის მიხედვით ნივთის გადაუცემლობა წარმოადგენს. ხოლო რაც შეეხება ნივთის მიწოდების ადგილს, სკ 362-ე მუხლის თანახმად, თუ შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, მაშინ ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში, მიწოდება უნდა მოხდეს იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან იმყოფებოდა. კანონის აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ვინაიდან მყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად და სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის

<sup>19</sup> Peter Gauch, Walter R. Schlupe, Pierre Tercier, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

<sup>20</sup> საერთაშორისო კერძო სამართალში კი იურიდიული პირების ადგილსამყოფელი სახელმწიფოთა იურისდიქციის პრობლემასთანაა გადასაცემული, იხ. ამასთან დაკავშირებით უკიდურესად მკაცრი და სწინეველი დავის მონაწილე იურიდიულ პირთა იურიდიული გამოცემლობა „იურიდიანი“, თბ., 2002, გვ. 132-134.

მე-2 პუნქტის შესაბამისად სრულად ჰქონდა გადახდილი შუთანხმებული ღირებულება, გამყიდველს, ასევე, უნდა შეესრულებინა ნასყიდობიდან წარმოშობილი სახელშეკრულებო ვალდებულებანი და უნდა მოეხდინა მოძრავი ნივთის გადაცემა (მიწოდება) მიღება-ჩაბარების აქტის შედგენით მისი ადგილსამყოფელის მიხედვით, ანუ ნივთის გადაცემა უნდა მომხდარიყო „ანოპინოს შუშის ქარხანაში“.<sup>21</sup>

362-ე მუხლის „ბ“ პუნქტი კი სამი შესაძლო შესრულების ადგილიდან: (1) მოვალის, (2) კრედიტორის საცხოვრებელი ადგილისა და (3) ვალდებულების წარმოშობის ადგილიდან – პირველის სასარგებლოდ იხრება. მოვალის საცხოვრებელ ადგილზე მინიშნებას სხვა სახის ურთიერთობაშიაც აქვს ადგილი. ასე მაგალითად, მოვალის საცხოვრებელი ადგილი მიღებულია საფუძვლად საქმეების საერთო ქვემდებარეობის განსაზღვრისათვის. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს სასამართლოში სარჩელის წარდგენას მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი მე-15), თუ მოვალემ არ შეასრულა ვალდებულება, კრედიტორმა სარჩელი უნდა წარუდგინოს მისი საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული პირის ადგილსამყოფლის) მიხედვით. თუ პირს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი აქვს, საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ის, რომელსაც პირი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. ასეთის მითითების მოვალეობა კი მოსარჩელეს ეკისრება.<sup>22</sup> ამასთან, კანონმდებლობა ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც ვალდებულების შესრულების წინ იცვლება მოვალის საცხოვრებელი ადგილი ან საწარმოს ადგილსამყოფელი. სამოქალაქო კანონმდებლობა ამ

<sup>21</sup> საქართველოს უსენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, სექტემბერი, 2001 წ., ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2001, გვ. 979.

<sup>22</sup> თ ე ნ გ ი ზ ლ ი ლ უ ა შ ვ ი ლ ი, ვ ა ლ ე რ ი ხ რ უ ს ტ ა ლ ი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სანი“, 2004, გვ. 33.

შემთხვევაში განმარტავს, რომ თუ აღნიშნულ გარემოებათა გამო კრედიტორს წარმოეშობა დამატებითი ხარჯები, მოვალემ ეს ხარჯები უნდა აუნაზღაუროს მას. ამდენად, კოდექსი ვალდებულების შესრულების ადგილად კვლავ მოვალის საცხოვრებელ ადგილს (იურიდიულ მისამართს) მიიჩნევს და კრედიტორს მხოლოდ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას უტოვებს. გარკვეულად ისე გამოდის, თითქოს კრედიტორი იყოს ვალდებული თვალყური ადევნოს მოვალის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლას, რაც არ უნდა იყოს სწორი. ეს კი შემდეგი მოსაზრებით შეიძლება დავადასტუროთ: მართალია, რომ როდესაც კრედიტორი მიმართავს სასამართლოს, სასამართლოების ქვემდებარეობა განისაზღვრება მოვალის საცხოვრებელი ადგილით სარჩელის წარდგენის მომენტიდან (თუ კრედიტორმა შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი, მისი შეცვლილი საცხოვრებელი ადგილის, ან იურიდიული მისამართის მიხედვით), თუმცა, ჩვენი აზრით, ეს არ უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ ვალდებულების შესრულების ადგილად მივიჩნიოთ მოვალის იმჟამინდელი საცხოვრებელი ადგილი (ანუ შეცვლილი საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი). სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სარჩელი ყოველთვის არ არის საფუძვლიანი და საჭიროა მოპასუხეს გაუადვილდეს სასამართლოში გამოცხადება მისთვის წაყენებული პრეტენზიების უარსაყოფად. ნებაყოფლობითი შესრულების დროს კი, საპირისპიროდ, ივარაუდება, რომ მოვალე კრედიტორის უფლებას ცნობს, შესაბამისად, არ უნდა იყოს იმის საჭიროება, რომ კრედიტორმა თვალყური ადევნოს მოვალის მიერ საცხოვრებელი ადგილის შეცვლას. ჩვენი აზრით, რადგან მოვალემ შეიცვალა საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი, მან თავად უნდა იტვირთოს არა მარტო აქედან გამომდინარე დამატებითი

ხარჯების ანაზღაურება, არამედ სრულად აღმოფხვრას კრედიტორისათვის ამით გამოწვეული ყველა უარყოფითი სამართლებრივი შედეგი. სამწუხაროდ, ჩვენი კანონმდებლობა არსად არ ითვალისწინებს მოვალის მხრიდან თავისი ადგილსამყოფლის შეცვლის შესახებ კრედიტორისათვის შეტყობინების აუცილებლობას. თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლი ითვალისწინებს მისამართის შეცვლის შემთხვევებს უკვე საქმის წარმოების დროს და მხარეებს ავალდებულებს შეატყობინონ მისამართის შეცვლის შესახებ სასამართლოს. ამ ჭრილში გონივრულად მიმაჩნია უკრაინის სამოქალაქო კოდექსის მიდგომა საკითხისადმი, როდესაც ასეთი შეტყობინება სავალდებულოა.

კანონმდებლობა რიგ შემთხვევაში სპეციალურად განსაზღვრავს და აფიქსირებს საგანგებო წესებს ვალდებულების შესრულების ადგილთან დაკავშირებით, რომელთაც ხშირად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ.

1. მიბარების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კანონმდებლობა ითვალისწინებს მიბარებული ნივთის დაბრუნების ადგილს, ნივთის დაბრუნება უნდა მოხდეს ხელშეკრულებაში მითითებულ ადგილას, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მიღწეულია შეთანხმება სხვა ადგილზე დაბრუნების თაობაზე (მუხლი 772-ე).
2. კანონმდებლობა აუცილებლად მიიჩნევს შესრულების ადგილის განსაზღვრას დაზღვევის ხელშეკრულებაშიც. სადაზღვევო მოწმობა (პოლისი) უნდა შეიცავდეს „სადაზღვევო შესატანის მოცულობას, მისი გადახდის ადგილსა და ვადას“ (802-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი).
3. სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულია ვალ-

დებულების შეწყვეტა დეკონირებით. კოდექსის 437 მუხლით განსაზღვრულია, ასეთი საგნის „შენახვა უნდა მოხდეს შესრულების ადგილის მიხედვით“. ამდენად კანონმდებლობა შესრულების ადგილს უკავშირებს ვალდებულების დეკონირებით შეწყვეტის შემთხვევებს. ✕

#### § 4. ფულადი ვალდებულებების შესრულების ადგილი

ლოქტრინაში ფულადი ვალდებულება განისაზღვრება როგორც ვალდებულებით-სამართლებივი მოვალეობა, რომელიც ფულშია გამოხატული და ორიენტირებულია ფულის, როგორც არამატერიალური ქონებრივი ღირებულების გადაცემაზე.<sup>23</sup> სამართლებრივი გაგებით ფულადი ვალდებულება ითვალისწინებს მოთხოვნის არსებობას. ფულადია ვალდებულება, რომელშიც ფული ვალდებულების საგანს წარმოადგენს.

სამოქალაქო კოდექსი სპეციალურად გამოყოფს ვალდებულების შესრულების ადგილს ფულადი ვალდებულების დროს. „შესრულების ადგილის საეჭვოობისას ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფლის (საცხოვრებელი ადგილის ან იურიდიული მისამართის) მიხედვით (385-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამდენად, ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი განსხვავდება არაფულადი ვალდებულების შესრულების ადგილისაგან. თუ ამ უკანასკნელ შემთხვევაში მოვალის საცხოვრებელი ადგილია შესრულების ადგილი (362-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი) ფულად

<sup>23</sup> Bernard Eccher, დასახ. ნაშრ., გვ. 1122

ვალდებულებებში კრედიტორის საცხოვრებელი ადგილია შესრულების ადგილი.<sup>24</sup> როგორც ჩანს, ეს წესი გამომდინარეობს იქიდან, რომ ვალი, როგორც მასზე ამბობენ, არის „დასაბრუნებელი“. შვეიცარიულ სამართალში არსებობს აზრი, რომ „ფულადი ვალდებულება არის „მისატანი“, ის უნდა იქნეს გადახდილი იმ ადგილას, სადაც კრედიტორი ცხოვრობს გადახდის მომენტში. იგი ავალდებულებს მოვალეს, კრედიტორს სახლში მიუტანოს ან მიაწოდოს ფული საკუთარი ხარჯითა და რისკით. ვიდრე ადრესატი არ მიიღებს თანხას, მოვალე გათავისუფლებული არ არის“.<sup>25</sup>

უკრაინის სამოქალაქო კოდექსი ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებით შესრულების წესს განსაზღვრავს ვალდებულების შესრულების ადგილის განმსაზღვრელ 167-ე მუხლში. ფულადი ვალდებულება შეიძლება ატარებდეს როგორც დამოუკიდებელი ვალდებულების, ასევე შემხვედრი ვალდებულების ხასიათს და მისი შესრულება უნდა მოხდეს კრედიტორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.<sup>26</sup> საინტერესოა, რომ უკრაინული კანონმდებლობის მიხედვით, თუ ვალდებულების გაჩენიდან მისი შესრულების მომენტამდე კრედიტორი იცვლის საცხოვრებელ ადგილს, მან ამის შესახებ სათანადო წესით უნდა შეატყობინოს მოვალეს. თუ ასეთი შეტყობინება კრედიტორის მხრიდან არ განხორციელდა, მოვალის მიერ კრედიტორის ადრინდელ საცხოვრებელ ადგილას განხორციელებული შესრულება ითვლება ჯეროვან შესრულებად.<sup>27</sup>

<sup>24</sup> სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე (ბესარიონ ზოიძე), გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, გვ. 338.

<sup>25</sup> Pierre Engel, *Traté des obligations en droit Suisse, Dispositions générales du CO*, Neuchâtel, suisse, 1973, გვ. 427.

<sup>26</sup> Гражданский кодекс Украины, Научно-практический комментарий, Харьков, Одиссей, 1999, გვ. 264.

<sup>27</sup> იქვე.

საცხოვრებელი ადგილი განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლით დადგენილი შესაბამისი წესებით. თუ კრედიტორი ეწევა სამეწარმეო ან სხვა სახის საქმიანობას, მაშინ ვალი შეიძლება გადახდილ იქნას მის პროფესიულ დაწესებულებაში.

საქართველოს ევროპაში ინტეგრაციისაკენ აღებული გეზი საინტერესოს ხდის ამ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებს ფულად ვალდებულებებთან და ფულადი ვალდებულებების შესრულების ადგილთან მიმართებით. ევროს შემოტანასთან ერთად ევროპაში დღის წესრიგში დადგა სავალუტო სამართლის უნიფიცირების საკითხი, წამოიჭრა ევროს შემოღების კერძო-სამართლებრივი პრობლემატიკაც. ცხადია, ფულადი ვალდებულების საკითხი, მათ შორის ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილის საკითხი გადაჭრილია ნაციონალურ სამართალში, მაგრამ „ახალი ევროპული ნაციონალური სამართალი ცვლის და უნიფიცირებას უკეთებს ადრეულ ნაციონალურად განსხვავებულ სავალუტო სამართალს“.<sup>28</sup> სავალუტო სამართალსა და საერთაშორისო კერძო სამართალს შორის ფუნქციური კავშირია, რადგან სავალუტო სამართალი ფულის მოქმედი სამართლისათვის გარკვეულ წინაპირობას ქმნის, ამასთან, სავალუტო სამართალი, როგორც ფულის ძირითადი კანონი, მიეკუთვნება საჯარო სამართალს. მატერიალური სავალუტო სამართალი განსაზღვრავს, რა არის ვალუტის ერთეული, რამდენად ქმნიან მონეტები და ბანკნოტები ვალუტის ერთეულის მასას, რამდენად არის ესა თუ ის ვალუტა კანონიერი გადახდის საშუალება,<sup>29</sup> ხოლო ვალდებულებითი სამართალი ამ საკითხებთან დაკავშირებით წყვეტს, არის თუ არა ფული გადასახდელი, შემდეგ, რა მოცულობით და რა

<sup>28</sup> Bernard Eccher, დასახ. ნაშრ., გვ. 1120.

<sup>29</sup> Bernard Eccher, დასახ. ნაშრ., გვ. 1123.

ვალუტაში. ამასთან, ევროკავშირში ერთიანი ფულადი ერთეულის, ევროს შემოტანის შემდეგ, სავალუტო სამართალმა გავლენა იქონია ფულად-ვალდებულებით ურთიერთობებზეც, რადგან დადგა ვალდებულებით ურთიერთობებში მნიშვნელობის მქონე მართლწესრიგის საკითხის გარკვევის აუცილებლობა.

შესრულების ადგილი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ როგორც ადგილი, სადაც მოვალე თავისუფლდება თავისი ვალდებულებისაგან, არამედ მას აქვს გარკვეული მნიშვნელობა საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო სამართალში კომპეტენციის საკითხის გადაწყვეტისას. იმ ქვეყნებში, სადაც უკვე არსებობს ერთგვაროვანი კერძო სამართალი, არ არსებობს იმის საშიშროება, რომ ვალდებულებითი ურთიერთობანი, კონკრეტულად კი ვალდებულების შესრულების ადგილის საკითხი, არ იქნება ერთნაირად მოწესრიგებული. თუმცა, ევროპის ქვეყნებში უკვე საუბრობენ იმაზე, რომ „ერთგვაროვანი მოწესრიგება რა თქმა უნდა პრინციპში მოსალოდნელია არაერთგვაროვან საერთაშორისო სამართალში, არამედ საერთო მატერიალურ სამართალში“.<sup>30</sup>

საინტერესოა, როგორ არის მოწესრიგებული ვალდებულების შესრულების ადგილის საკითხი სხვადასხვა ქვეყნის მართლწესრიგის მიხედვით. ფრანგული სამართალი ფულად ვალდებულებას განიხილავს როგორც ვალდებულებას, რომელიც სრულდება მოვალის ადგილსამყოფლის მიხედვით, თუმცა უშვებს გამონაკლისს ნასყიდობის ხელშეკრულებებისათვის, როდესაც ეს ხორციელდება ნაღდი ანგარიშსწორებით და აქ ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი გადააქვს მატერიალური ვალდებულების შესრულების ადგილზე.

გერმანული სამართლის თანახმად, ფულადი ვალდებულებები, ისევე როგორც სხვა სახის ვალდებულებები მოვალის ადგილსამ-

<sup>30</sup> Bernard Eecher, დასახ. ნაშრ., გვ. 1125.

ყოფლის მიხედვით სრულდება, თუ ისინი თავად კრედიტორს გადაეცემა.<sup>31</sup>

იტალიური სამართალი განიხილავს ფულად ვალდებულებებს როგორც ვალდებულებებს, რომელთა შესრულებაც ხდება კრედიტორის ადგილსამყოფლის მიხედვით და ამასთანავე განსაზღვრავს ნასყიდობის ხელშეკრულებებში დოკუმენტების გადაცემის ადგილს, როგორც შესრულების ადგილს.<sup>32</sup> ასევე, როგორც ვალი, რომელიც ექვემდებარება გადახდას კრედიტორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, განიხილება ფულადი ვალდებულებები დანიაში, დიდ ბრიტანეთსა (ინგლისი, შოტლანდია, ჩრდილოეთ ირლანდია) და ირლანდიაში. ამასთან აღსანიშნავია, რომ შესრულების ადგილი, იმ ჭრილში, რომელიც განხილული იქნა ჩვენ მიერ, მთლიანად განეკუთვნება კერძო სამართალს. საჯარო-სამართლებრივი საგადასახადო ვალდებულებისათვის შესრულების ადგილთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოწესრიგება.

<sup>31</sup> Bernard Eccher, დასახ. ნაშრ., გვ. 1126.

<sup>32</sup> იქვე.

## ▷ თავი II. ვალდებულების შესრულების ვადები

### § 1. ვადები სამოქალაქო სამართალში ✕

დრო ცოცხალია და ცხოვრება დროებითი – ასე აღწერს დროის ცნებას ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი გასტონ ბაშლარი თავის ნაშრომში – „ვადის ხანგრძლივობის დიალექტიკა“.<sup>33</sup> ჯვარდა წარმოადგენს სამართლისათვის მეტად მნიშვნელოვან კატეგორიას. იგი სამართლებრივი ურთიერთობების დროში მოწესრიგების ერთ-ერთი აუცილებელი საშუალებაა. რეალურად მთელი იურიდიული ტექნიკა შეუღლებულია თარიღთან, იურიდიული ფაქტები ერთმანეთს მოსდევენ, უპირისპირდებიან, ეჯაჭვებიან და ეს ყველაფერი ზორციელდება თარიღთან მიმართებით. დრო, ესაა აუცილებელი თანამგზავრი ყველა იურიდიული ურთიერთობისა, რომელზედაც იგი ზემოქმედებს არა თავისთავად, არამედ ამა თუ იმ იურიდიული ფაქტების მეშვეობით.<sup>34</sup> ✕

ნებისმიერი თარიღი თავისთავად შეიცავს ინფორმაციას. როცა ვამბობთ, რომ დღეს არის 2004 წლის 28 აპრილი, ეს უკვე შემცველია ინფორმაციისა დროის გარკვეული მონაკვეთის თაობაზე. მართალია, ამ თარიღს სხვა დაზუსტებების გარეშე შეიძლება არანაირი მნიშვნელობაც არ ჰქონდეს, მაგრამ ნებისმიერი კონკრეტული თარიღი

<sup>33</sup> Gaston Bachelard, La dialectique de la durée, Paris, 1936, გვ. 10.

<sup>34</sup> Гамбаров Ю.С., Курс Гражданского права, Т.1, часть общая, С-Петербург, 1911, гв. 651.

არის ინფორმაცია. ამასთან, თარიღი-აღნიშვნა, ანუ თარიღი, რომელიც მითითებულია ამა თუ იმ აქტზე, შეიძლება არ იყოს რეალური, ანუ თარიღი აღნიშვნა ყოველთვის ზუსტი თარიღი არ არის. ამის მაგალითები პრაქტიკაშიც ხშირად გვხვდება, საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ციტატას საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინებიდან (№3კ/769, 14 მარტი, 2001 წელი, ქ. თბილისი). აღნიშნული განჩინებით გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2000 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილება, რის ერთ-ერთ მოტივსაც წარმოადგენდა ის, რომ 1999 წლის 22 მაისს დადებული ხელშეკრულების 1.1 პუნქტში აისახა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1999 წლის 11 ივნისის წერილი. პალატამ აღნიშნა, რომ „დროის მიხედვით უფრო ადრე დადებულ ხელშეკრულებაში შეუძლებელი იყო ასახულიყო უფრო გვიან გაცემული საგარანტიო წერილი“.<sup>35</sup>

ჯვადის სამართლებრივი ბუნების საკითხი ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, ამ ვადებით სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ სიბრტყეში ხდება. ასევე საინტერესოა თავად მხარეთა ნების გამოხატვის ხარისხი, ანუ ვადა ცალსახადაა დადგენილი თუ ბუნდოვანი და ნაგულისხმევია. „ვადა – დროის მონაკვეთია. ამ მონაკვეთში ხდება ყველა მოვლენა, რასაც კი ადამიანის გონება აცნობიერებს“.<sup>36</sup>

<sup>35</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, მარტი, 2001 წ., ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2001, გვ. 264.

<sup>36</sup> ბესარიონ ზოიძე, ვადების ცნება და ზოგადი დახასიათება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კერძო სამართლის განყოფილების 2001 წლის სამეცნიერო კულუკითი გვემით გათვალისწინებული ნაშრომი, ხელნაწერი, გვ. 2.

იულიუს კეისრის კალენდარი 17 საუკუნის მანძილზე ემსახურებოდა ძველ მსოფლიოს. რომის პაპმა გრიგორი XIII-მ მასში შესწორება შეიტანა. სხვადასხვა ქვეყნებში დროდადრო ახდენდნენ მის რეფორმირებას. უბეღესი დროიდან მოყოლებული თარიღის მითითება ნებისმიერი საბუთის აუცილებელი პირობა გახდა. დათარიღება ბუნებაში და საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში უკვე მომხდარი, აწმყოში ან მომავალში მოსახდენი ზღომილების ან მოქმედების კალენდარული დროის აღნიშვნაა.<sup>37</sup> „პრინციპი არის აქტის დათარიღება, გამონაკლისი ამის არგაკეთება“.<sup>38</sup> თანამედროვე სამოქალაქო კანონმდებლობა არაერთგან აღგენს თარიღის მითითების აუცილებლობას, ზოგ შემთხვევაში კი ამას იმპერატიულად მოითხოვს. ამის საილუსტრაციოდ მოვიხმობ სამოქალაქო კოდექსის 702-ე მუხლს, რომლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გადამზიდველი, რომელიც წინა გადამზიდველისაგან იღებს ტვირთს, ვალდებულია, გადასცეს ტვირთის მიღების დამადასტურებელი ვადამითითებული და მის მიერ ხელმოწერილი საბუთი.

ერთი შეხედვით, თარიღი იმპერატიული კატეგორიაა და ნებას აქ რაიმე ჩარევა არ შეუძლია. თუმცა, ეს ყოველთვის ასე არ არის. „თარიღისა და ნების შეთავსების საკითხის წამოჭრა ამ მოვლენისადმი იურისტის თვალით შეხედვის შედეგია“.<sup>39</sup>

სამოქალაქო უფლებების განხორციელება და დაცვა მჭიდროდ არის დაკავშირებული დროის ფაქტორთან. ვადები აწესრიგებენ სამოქალაქო ბრუნვას, განაპირობებენ ხელშეკრულებათა ჯეროვან შესრულებას. ბუნებრივია, რომ სამოქალაქო უფლებების განხორცი-

<sup>37</sup> დავით სუხიტაშვილი, სამართალი და დრო, თბ., 2004, გვ. 38.

<sup>38</sup> Revue trimestrielle de droit civil, directeur Phillippe Jestaz, Paris, année 1991, გვ. 101.

<sup>39</sup> Blanche Sousi-Roubi, Variation sur la date, Revue Trimestrielle de droit civil, Paris, 1991, გვ. 72.

ელემა და დაცვა დაკავშირებულია დროის ფაქტორთან. მით უფრო, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა, მისთვის დამახასიათებელი დინამიურობითა და დროის დეფიციტით, წარმოუდგენელია ვადებთან დაკავშირებული საკითხების სრულყოფილი და სწორი სამართლებრივი მოწესრიგების გარეშე. სამოქალაქო კანონმდებლობა დროის ფაქტორს უკავშირებს სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობას, შეცვლას და შეწყვეტას, ასევე იმ მოქმედებათა შესრულებას, რომელიც გათვალისწინებულია კანონით ან ხელშეკრულებით.

ჩნაკისრი ვალდებულების დროულ შესრულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სტაბილური სამოქალაქო ბრუნვისათვის. ვადების სამართლებრივი ბუნების შესწავლიდან ჩანს, რომ ვადა წარმოადგენს საზოგადოებრივი ურთიერთობების დროში ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

ვალდებულების სათანადოდ შესრულებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ შესრულებისათვის განსაზღვრული ვადა იყოს გონივრული. ვალდებულების შესრულების ოპტიმალური ვადების დადგენა არის მთავარი პირობა ამ ვადების დაცვისა. კანონი ითვალისწინებს ვადების მრავალ სახეობას, რაც უნდა განვასხვაოთ ვალდებულების შესრულების ვადისაგან.  $\chi$

სამართლის მეცნიერებაში დამკვიდრებული განსაზღვრებით, ვადა არის სამომავლო მოვლენა, რომლის დადგომაც უეჭველია. მის შესახებ ამბობენ, რომ ის „მიმდინარეობს“, რომ ის „ამოიწურა“. ის არის „განმავლობაში“, ის „სრულდება“, ის „ისპობა“ და ა.შ.

დრო ხან ფაქტს აქცევს უფლებად, ხან წარმოშობს უფლებას, ხან კიდევ აქარწყლებს მას. დრო აძლევს უფლებას ერთს და ართმევს მას მეორეს. ასე მაგალითად, ერთ-ერთი ქართველი იურისტი განძისა და ნაპოვარის ერთმანეთისგან გამიჯვნისას გადაძწყ-

ვეტად სწორედ დროის ფაქტორს მიიჩნევს.<sup>40</sup> ზოგ შემთხვევაში უფლება წარმოიშობა იმიტომაც, რომ ამ უფლების შესაბამისი ფაქტობრივი მდგომარეობა დიდი ხნის მანძილზე იყო დაცული, ასე მაგალითად, საკუთრების შექმნა ხანდაზმულობით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს საკუთრების ხანდაზმულობით შექმნის ინსტიტუტს, თუმცა შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა ხშირად არაადექვატურია.<sup>41</sup> ამის საპირისპიროდ უფლება ისპობა, თუ რაიმე ფაქტობრივი მდგომარეობა ასევე განსაზღვრული დროის მანძილზე არ ხორციელდება. რომის სამართალში ცნობილი იყო უხსოვარი დროის ცნება. თუ რაიმე გარემოება არსებობდა ისე დიდხანს, რომ ცოცხალ თაობას არ ახსოვს სხვაგვარი, ამ გარემოებას ჰქონდა კანონიერის პრეზუმცია. ასეთი წესი მოქმედებდა სერვიტუტებთან მიმართებით. არსებობდა სამი საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც ერთი მიწის ნაკვეთი ეკუთვნოდა მეორეს: „კანონი, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა, უხსოვარი ხანდაზმულობა, რომელიც ყოველთვის ითვლებოდა კანონად“.<sup>42</sup> ამასთან ის, რომ ესა თუ ის გარემოება არსებობდა უხსოვარი დროიდან არ წარმოშობდა რაიმე უფლებას, იგი მხოლოდ ადასტურებდა ამ უფლების არსებობას.

სამოქალაქო ბრუნვაში ვალებს ხშირად აიგივებენ მათ ნეგატიურ გამოვლენასთან – ამოწურვასთან, გასვლასთან. ასე მაგალითად, ვალებულების შესრულებას სწორედ შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის ამოწურვას უკავშირებენ. ამასთან არ შეიძლება

<sup>40</sup> იხ. ელადიმერ ლომიძე, საკუთრების შექმნის წყაროები ქართულ სამართალში, განისი, ნაყოფიერი, შექმნითი ხანდაზმულობა, ავტორუფერატი, თბ., 2005, გვ. 12.

<sup>41</sup> იხ. ამასთან დაკავშირებით „სასამართლო პრაქტიკის კომენტარი სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალში“ (ღალღი ლაზარაშვილი), თბ., 2003, გვ. 15.

<sup>42</sup> Римское частное право, под ред. И. Б. Новицкого и И. С. Перетерского, М., 2000, гв. 69.

არ აღინიშნოს ის პოზიტიური მომენტი, რასაც უდავოდ შეიცავს ვადა. იგი საზოგადოებრივ ურთიერთობაში დროის თვალსაზრისით სიზუსტის შეტანის საშუალებაა. ვადა არის სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედების კოორდინაციის ელემენტი, რადგან საჭიროების შემთხვევაში სწორედ ვადების დახმარებით ხდება მათი უფლებებისა და ვალდებულებების დროში განსაზღვრა.

ასევე, ვადის ცნება ხშირად გაიგივებულია დროის ცნებასთან. „ვალდებულების შესრულების დროდ ითვლება განსაზღვრული მომენტის დადგომა, როცა ვალდებულება შესრულებულ უნდა იქნეს“.<sup>43</sup> „შესრულების ვადა არის მომენტი (ან დრო), როდესაც მოვალე ახორციელებს ვალდებულების შესრულებას“.<sup>44</sup> ამასთან ეს მომენტი – არის დროის მეტნაკლებად მცირე მონაკვეთი. ვადა არის დროში არსებული მომენტი ან გარკვეული პერიოდი, „ვადისა და დროის ურთიერთმიმართება არის თანაფარდობა ზოგადისა და განსაკუთრებულისა... ურთიერთდამოკიდებულება... ობიექტურისა და სუბიექტურისა“.<sup>45</sup>

ვადა და დრო არსებითად ერთი და იგივე მოვლენის ამსახველი ცნებებია. ვადა აღნიშნავს დროის ამა თუ იმ მონაკვეთს, დრო კი ასახავს როგორც დროის მონაკვეთს, ანუ ვადას, ასევე დროს ზოგადად, როგორც მუდმივს, წარუვალს/კერაფერი შეაჩერებს დროის დინებას, მაშინ როდესაც ვადა, როგორც დროში არსებული – შეიძლება შეწყდეს/დრო თავისთავად არ წარმოადგენს იურიდიულ კატეგორიას, ასეთია ვადა, როგორც დროის გარკვეული მონაკვეთი, რომელ-

<sup>43</sup> ზურაბ ახელედიანი, ვალდებულებითი სამართალი, მცირე გამოცემა, თბ. 1999, გვ. 47.

<sup>44</sup> Peter Gauch, Walter R.Schluper, Pierre Tercier, დასახ. ნაშრ., გვ. 22

<sup>45</sup> В. П. Грибанов, Сроки в гражданском праве, М., 1967, გვ. 9.

საც სამართალი კონკრეტულ სამართლებრივ შედეგებს უკავშირებს.<sup>46</sup> განსაზღვრული დრო და განსაზღვრული ვადა ტოლფასოვანი ცნებებია, რადგან დათქმულ დროს განხორციელებული შესრულება შესაბამის ვადაში განხორციელებული შესრულების ტოლფასია. ყ ამასთან, რაიმე მოვლენის (მაგალითად, წყალდიდობის ან სხვა ბუნებრივი მოვლენის) ხანგრძლივობას არ შეიძლება ეუწოდოთ ვადა, რადგან შეუძლებელია ადამიანის მხრიდან მოვლენის ხანგრძლივობის რეგლამენტირება. ვადის აუცილებელი კომპონენტია მისი ადამიანის ნებისადმი დაქვემდებარება, ამ კრილში კი მოწესრიგებას ექვემდებარება მხოლოდ ადამიანების მოქმედება გარკვეული მოვლენების დადგომისას.

ვადები ზოგადად არ წარმოადგენენ იურიდიულ ფაქტებს, ეს უფრო მოწესრიგების მექანიზმია და თუ იურიდიული ფაქტის ხანგრძლივობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი დადგება, ვადის ხანგრძლივობა განისაზღვრება წინასწარ, როგორც წესი, ბევრად უფრო ადრე, ვიდრე თავად ვადა დადგება.

კანონი მეტწილად სამართლებრივ შედეგებს სწორედ ვადის ამოწურვას უკავშირებს და იშვიათად მისი დინების დაწყებას, მაგრამ ეს ვერ ამცირებს ვადის დასაწყისის იურიდიულ მნიშვნელობას. თუმცა, კანონი ამის შესახებ არაფერს იუწყება, მაგრამ ვალდებულების შესრულების ნებისმიერი ვადის დაწყება, ცვლის ვალდებულებას. ამ იურიდიული ფაქტის წყალობით, ურთიერთობა გადადის უფრო აქტიურ ფაზაში, აქამდე, ასე ვთქვათ, პოტენციური ვალდებულება (რომელიც ფორმალურად არსებობდა ხელშეკრულების დადების მომენტიდან) იქცევა „მოქმედად“. ამდენად, შეიძლება ითქ-

<sup>46</sup> იხ. ლადო ჭანტურია, დასკვნა თამარ ზარანდიას სადისერტაციო ნაშრომზე „სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადაები“ (ხელნაწერი), გვ. 3.

ვას, რომ იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა შეიძლება მივანიჭოთ მხოლოდ ვადა-პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს, ასევე დროის მომენტის დადგომას. X

ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ვადის დადგენა ნებელობითი აქტია, რადგან იგი დაკავშირებულია დროის მასშტაბის გონივრულ არჩევასთან და ვადის ფარგლების ნებელობით განსაზღვრასთან. სხვა საქმეა ვადის დადგომა, რომელიც თავისი ხასიათით უფრო მოვლენას განეკუთვნება. ამასთან, ნების ჩარევა ვადებთან დაკავშირებით ხდება მხოლოდ ვადის დადგენისას, რადგან ვადის შეცვლა ფაქტობრივად წარმოადგენს უკვე ახალი ვადის დანიშვნას ადრე მოქმედი ვადის გაუქმებით.

ახლა, რაც შეეხება ვადის მიმართებას გარიგების პირობასთან, რაზედაც ცივილისტიკურ დოქტრინაში ხშირია მსჯელობა. ვადა არის სამომავლო, მაგრამ დადგენილი მოვლენა, რომელზეც დამოკიდებულია ვალდებულების შესრულება ან მოქმედების შეწყვეტა. პირობა კი, არის სამომავლო, მაგრამ განუსაზღვრელი მოვლენა, რომელზედაც დამოკიდებულია რაიმე უფლების ან ვალდებულების წარმოშობა ან მისი მოქმედების შეწყვეტა.

X სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს პირობით გარიგებებს. ვალდებულებების შესრულება, იმის მიუხედავად, თუ როგორია მათი წყარო, შეიძლება დამოკიდებული გახდეს სხვადასხვა პირობაზე, რომელიც ეხება შესრულების ვადას, შესრულების საგანს ან სუბიექტს. სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლის შესაბამისად, პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა – ამ მოვლენის დადგომისთანავე. „90-ე მუხლით გათვალისწინებული პირობითი

გარიგება ისეთი გარიგებაა, რომლისთვისაც პირობას აქვს დამატებითი ფაქტის მნიშვნელობა და თვით გარიგებას კი არ განაპირობებს, არამედ ამ გარიგების იურიდიულ შედეგს განსაზღვრავს იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა ამ მოვლენის დადგომისთანავე.<sup>47</sup> „პირობის საშუალებით ხდება აწმყოსთან ჩვენი ემანსიპაცია და მომავლის დამორჩილება, მომავლის შემთხვევითობასთან სამართლებრივი ურთიერთობის შეგუება. აქ არა გვაქვს მომავალში ნების „თვითშეზღუდა“, პირიქით, პირობის წყალობით, ფართოვდება ნების „ბატონობის“ ფარგლები“.<sup>48</sup>

როგორც ვადა, ისე პირობა სამომავლო მოვლენებია, ამასთან, ვადა ან აყონებს ვალდებულების შესრულებას, ან ამოწურავს ვალდებულებას, ან არის ვალდებულების შესრულების მოთხოვნის წინაპირობა ან სპობს მას. პირობა სამომავლო მოვლენაა, და ამდენად მისი განხორციელება მერყევია. პირობის განუსაზღვრელობა აყონებს ვალდებულების შესრულების მომენტის წარმოშობას ან მის შეწყვეტას. სმართალია, ვადასა და პირობას მოქმედების მსგავსი მანერა აქვთ, ამასთან, ვადიან ვალდებულებას პირობისაგან განსხვავებით უეჭველი ხასიათი აქვს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ამ შემთხვევაში ვალდებულება უკვე არსებობს, თუმცა მისი შესრულება შეიძლება ჯერ არ იქნეს მოთხოვნილი. როდესაც ვალდებულება პირობითია, ეჭვი პირველ რიგში მის შესრულებასთანაა დაკავშირებული. ვადა და პირობა იმითაც ემსგავსებიან ერთმანეთს, რომ მათი მეშვეობით ხდება სახელშეკრულებო ვალდებულებების

<sup>47</sup> სახოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი (ბესარიონ ზოიძე), გამოქვეყნებულია „სამართალი“, თბ., 1999, გვ. 253-254.

<sup>48</sup> იქვე.

შესრულების დროში გაშლა.<sup>49</sup> ამასთან, არც ვადა, არც პირობა არ განსაზღვრავენ ხელშეკრულების არსებობას ან მის კანონიერ ძალას (როდესაც პირობით გარიგებებზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ სამოქალაქო კოდექსის 90-98 მუხლებით გათვალისწინებულ პირობას და არამც და არამც გარიგების ნამდვილობის პირობებს). ეს ნიშნავს იმას, რომ ვალდებულება არსებობს მათგან დამოუკიდებლად, ვადა და პირობა განსაზღვრავენ მხოლოდ მისი შესრულების მომენტს.

ჩვედის განსხვავება პირობისაგან სწორედ იმაშია, რომ პირობითი გარიგების შემთხვევაში პირობა შეიძლება არ დადგეს, ასე მაგალითად, გაყიდის თუ არა „ა“ რაიმე ნივთს, დამოკიდებულია იმაზე, იყიდის თუ არა იგი ამ ნივთს „ბ“-საგან. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს პირობასთან. თუ „ბ“-საგან ამ ნივთის შექმნა არაა საეჭვო, თუმცა განვადებულია, ანუ აუცილებლად მოხდება მომავალში, ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს ვადასთან. ჩრადგან ასეთ შემთხვევაში ეს უკანასკნელი არის მომავლის მოვლენა, მაგრამ დადგენილი, შეთანხმებული ხელშეკრულების დამდებ მხარეთა შორის. როდესაც საუბარია ისეთ მოვლენაზე, რომელიც ნამდვილად მოხდება, მაგალითად, პიროვნების გარდაცვალება, მაშინ ეს პირობა შეიძლება განვიხილოთ როგორც ვადა. რადგანაც გარდაცვალების თარიღი უცნობია, საქმე გვაქვს განუსაზღვრელ ვადასთან.<sup>50</sup>

სამოქალაქო კანონმდებლობა ერთმანეთისაგან განასხვავებს პოზიტიურ და ნეგატიურ პირობებს. პირობის ასეთი დაყოფა ჯერ კიდევ რომის სამართალში იღებს სათავეს.<sup>51</sup> თუ გარიგება დადებულია

<sup>49</sup> Jean Carbonnier, Droit Civil, 4/les obligation, 22ème edition refondue: 2000, janvier, Paris, გვ. 258.

<sup>50</sup> Laurent Aynes, Philippe Malaurie, Cours de Droit Civil, les obligations, 2-ème édition, Edition Cujas, 1990, Paris, გვ. 618.

<sup>51</sup> იხ. ამასთან ლაკაეშირებოი, И.Б. Новицкий и И.С.Перетерский, Римское Частное Право, М., изд. Юриспруденция, 2000, გვ. 269.

იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა დადგება განსაზღვრულ ვადაში, მაშინ პირობა ძალადაკარგულად ითვლება, თუკი ეს ვადა გავა და მოვლენა არ დადგა.

თუკი ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ პირობა შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ დროს. პირობა შეიძლება ძალადაკარგულად იქნეს მიჩნეული, როცა აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა უკვე შეუძლებელია (მუხლი 93-ე).

როდესაც გარიგების შესრულება დაკავშირებულია რაიმე მოვლენის დადგომაზე, საქმე გვაქვს პოზიტიურ პირობასთან. მაგრამ როგორც მოცემული მუხლიდან ჩანს, კანონმდებელი პირობას უკავშირებს განსაზღვრულ ვადას, რომელშიაც ეს პირობა უნდა განხორციელდეს. ასეთი ვადის განუსაზღვრელობის შემთხვევაში პირობა შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ დროს და ძალადაკარგულად იქნეს მიჩნეული, თუკი აშკარაა, რომ მოვლენა უკვე აღარ დადგება. წინეგატიური პირობის შემთხვევაში კანონმდებელი საუბრობს ვადაზე, რომელშიაც რაღაც მოვლენა არ უნდა განხორციელდეს, რათა პირობა ჩაითვალოს შესრულებულად.

ამდენად, ვადა არის დროის მომენტი, რომელიც იწურება განსაზღვრულ კალენდარულ დღეს, და ასეთ შემთხვევაში ცნობილია არა მარტო ის, რომ ეს ვადა დადგება, არამედ ისიც, თუ როდის დადგება ეს ვადა. წამისგან განსხვავდება ის შემთხვევა, როდესაც, მაგალითად, პირმა იკისრა მეორე პირის რჩენის ვალდებულება მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე. ნებისმიერი პირის სიცოცხლე დროში შეზღუდულია, ამიტომაც აღარაა საეჭვო, რომ ეს მოვლენა დადგება, თუმცა, მისი დადგომის თარიღი უცნობია. არის შემთხვევა, როდესაც უცნობია, დადგება თუ არა მოვლენა,

მაგრამ ცნობილია, როდის შეიძლება ის დამდგარიყო, ასე, მაგალითად, ამა თუ იმ პირის 100 წლის იუბილე, შეიძლება ეს მოვლენა არც დადგეს, მაგრამ თუ მოხდება, მისი დადგომის თარიღი თავიდანვე ცნობილია. და ბოლოს, როდესაც უცნობია დადგება თუ არა მოვლენა და ამდენად უცნობია, როდის დადგება იგი. ასე მაგალითად, ვინმეს გათხოვების, ან ცოლის მოყვანის თარიღი.

როგორც ვხედავთ, ცხოვრებაში ხშირია ვადისა და პირობის კომბინაციები, რაც კიდევ აქტუალურს ხდის პარალელების გავლებას ვადასა და პირობას შორის. ხშირ შემთხვევაში ვადიან ვალდებულებას ხდიან პირობაზე დაქვემდებარებულს. ვადა არის სამომავლო მოვლენა (ამით ის უახლოვდება პირობას), მაგრამ დადგენილი მოვლენა (ამით ის უპირისპირდება მას). დროის დინება წარუვალია, ამიტომ მის მიმართ არ გამოიყენება პირობითი ენა, როგორც ეს პირობითი გარიგებების შემთხვევაში გვაქვს და თავისთავად გაურკვევლობის ილუზიას ქმნის. პირობის დადგომას ყოველთვის თან ახლავს მისი განუხორციელებლობის ეჭვი.

## § 2. ვალდებულების შესრულების ვადის ცნება

ვალდებულების შესრულების ვადა არის დროის მომენტი, ან პერიოდი, როდესაც მოვალე ვალდებულია შეასრულოს ვალდებულება, კრედიტორი კი უფლებამოსილია მოითხოვოს მისი შესრულება. თვით შესრულების ვადის ცნება პასუხობს კითხვაზე: როდის, როდიდან

ან როდემდე შეუძლია მოვალეს განახორციელოს შესრულება.<sup>52</sup>

ვალდებულების შესრულების ვადა პასუხობს კითხვაზე: რა მომენტიდან არის შესაძლებელი შესასრულებელი მოქმედების მოთხოვნა. ამასთან, ვალდებულების შესრულების მოთხოვნა არსებობს ხელშეკრულების დადების მომენტიდან, თუმცა, მხარეებს შეუძლიათ უარი თქვან დაუყოვნებელი შესრულების პრინციპზე, ხელშეკრულებაში ვადის შესახებ შეთანხმების შეტანის გზით.

ვალდებულების შესრულება არის პროცესი, ამდენად იგი თავისთავად გულისხმობს გარკვეული დროის აუცილებლობას ვალდებულების შესასრულებლად.

ვალდებულების შესრულების ვადა მოიცავს ორ ძირითად ასპექტს, ეს არის შესრულების მოთხოვნის მომენტი და შესრულების მომენტი.<sup>53</sup>

შესრულების მოთხოვნის მომენტს წარმოადგენს ის დრო, რომლის დადგომის შემდეგაც კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს შესრულება. შესრულების მოთხოვნის მომენტი პასუხობს კითხვაზე როდის (როდიდან) ან როდემდე აქვს კრედიტორს მოთხოვნის უფლება. ამ მომენტის დადგომას ახლავს სამი ფაქტორი:

1. შესრულების მოთხოვნამდე – შესრულების ვალდებულება არსებობს, მაგრამ კრედიტორს არ აქვს მისი მოთხოვნის უფლება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვალდებულება არ „მომწიფებულა.“ ამდენად, გარკვეულ მომენტამდე

<sup>52</sup> ხაყ არო სამართალში განახსებავენ მოქმედების დროს შედეგის დროისაგან. ასე, მაგალითად, სისხლის სამართალში დანაშაულის ჩადენის დროა ქმედების ჩადენის დრო (ანუ დანაშაულებრივი ნების გამოვლინება). შედეგის დადგომის დროს მნიშვნელობა არა აქვს იხ. მერაბ ტურავა, სისხლის სამართალი, სოფადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2001, გვ. 11.

<sup>53</sup> Peter Gauch, Walter R. Schluper, Pierre Tercier, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება მხოლოდ იგულისხმება – იგი სავარაუდოა.

2. როგორც კი დადგება ვალდებულების შესრულების ვადა, კრედიტორს ეძლევა სრული თავისუფლება შეარჩიოს ვალდებულების შესრულების მომენტი.
3. ხანდაზმულობის ფაქტორი – რადგანაც კრედიტორის მოთხოვნის უფლებაც არ არის უვადო და მასზე მოქმედებს ხანდაზმულობის ზოგადი წესები. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ თვით კრედიტორის მოთხოვნა გახდეს ვადაგასული. ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის შემდეგ კრედიტორს არა აქვს უფლება მოითხოვოს ვალდებულების შესრულება.

საზოგადოდ, სახელშეკრულებო ვალდებულებანი სრულდება მათი წარმოშობიდან დროის მცირე მონაკვეთში, თუმცა, რიგი ვალდებულებების შესრულება დროის უფრო ხანგრძლივ შუალედში ხდება და იგი სამომავლო მოქმედებათა დროში ორგანიზებასთან არის დაკავშირებული. ვადა არის ასეთი ორგანიზების ყველაზე მარტივი საშუალება, რადგანაც ვალდებულების შესრულების ვადის დადგენით, მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ თარიღი – კონკრეტულად როდის შესრულდება მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებანი.

ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის შემდეგ მოვალეს სრული თავისუფლება აქვს განახორციელოს შესრულება და შეარჩიოს შესრულების მომენტი. ეს თავისუფლება გრძელდება მხოლოდ იმ ხანგრძლივობით, ვიდრე კრედიტორი არ მოითხოვს ვალდებულების შესრულებას.

ვადების ადგილი და მნიშვნელობა სამართლებრივი მოწესრიგების სისტემაში, დაკავშირებულია მათი წარმოშობის საფუძვლებთან. ეს

საფუძველი შეიძლება იყოს ნორმატიული ან ინდივიდუალური. შესაბამისად, ვალდებულების შესრულების პროცესის დროში მოწესრიგება ხდება იმპერატიულად ან დისპოზიციურად.

რადგანაც კანონისმიერი ვადების არა მარტო დადგენა, არამედ მათი ამოწურვაც არ არის დამოკიდებული სუბიექტთა ნებაზე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ ადგილი გვაქვს აბსოლუტურ მოვლენებთან.

საბჭოურ ლიტერატურაში დიდი ადგილი ეთმობოდა და ამის კვალობაზე თანამედროვე რუსულ ლიტერატურაშიც დიდია სამოქალაქო უფლებების დაცვისა და განხორციელების ვადებისადმი მიძღვნილი ლიტერატურა. ვალდებულების შესრულების ვადების საკითხი კი ნაკლებად იყო შესწავლილი. ხშირად მათ განიხილავდნენ, როგორც ხელშეკრულების ერთ-ერთ პირობას, ვალდებულების შესრულების ადგილთან ან შესრულების ხარისხთან ერთად. ამიტომ, ამ კატეგორიის ვადის არსი და მისი მიმართება ვადების სხვა სახეობებთან არასრულყოფილად იყო შესწავლილი. საბჭოურ ლიტერატურაში ვალდებულების შესრულების ვადები ცალკე განიხილა ვენიამინ გრიბანოვმა, რომელმაც ვადები ზოგადად დაყო სამოქალაქო უფლებების განხორციელებისა და დაცვის ვადებად.<sup>54</sup>

უნდა ითქვას, რომ ხშირად სახელშეკრულებო ურთიერთობებში ერთმანეთშია აღრეული ვალდებულების შესრულებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები. ხელშეკრულების ვადები განსხვავდება ვალდებულების შესრულების ვადებისაგან როგორც თავისი ხანგრძლივობით, ისე მიზნებითა და მათი გასვლის შედეგების მიხედვით. შეთანხმების ვადა აღნიშნავს მხოლოდ მხარეთა შეთანხმების მოქმედების ხანგრძლივობას, ხოლო ვალდებულების შესრულების ვადა – არის

<sup>54</sup> В. П. Грибанов, сроки в Гражданском праве, издательство «Знание», М., 1967, გვ. 13-14.

დროის მომენტი ან პერიოდი, რომლის დადგომისას/განმავლობაშიც მოვალემ უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება.

შესაძლებელია ამ ვადების დინების დასაწყისი ერთმანეთს დაემთხვეს, მაგრამ შეიძლება არც დაემთხვეს. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების დადებიდან ვალდებულების შესრულებამდე მნიშვნელოვანი (ხანგრძლივი) დროის მონაკვეთია, შესაძლებელია მოვალეს სულაც დაავიწყდეს თავისი ვალდებულების შესრულების ვადის დადგომა. ხშირად ამას მოსდევს ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევა. ამ არადროულ შესრულებას კრედიტორის მხრიდან შესწენება ასწორებს.

სამოქალაქო სამართალში ვადას ძირითადად განსაზღვრავენ როგორც დროის მონაკვეთს. ამასთან, ხელშეკრულების ვადები, ხანდაზმულობის ვადები, საგარანტიო ვადები შეიძლება იყოს მხოლოდ პერიოდები. იგივე შეიძლება ითქვას სააეტორო და მომიჯნავე უფლებების მოქმედების ვადებზე.<sup>55</sup> მათგან განსხვავებით, ვალდებულების შესრულების ვადა შეიძლება განისაზღვროს ვალდებულების შესრულების მომენტის სახით. საფიქრებელია, რომ ვადა-მომენტი და ვადა-პერიოდი მხოლოდ სხვადასხვა ხერხია სუბიექტის მართებულად მოქმედების ფარგლების დასადგენად.

როგორც უკვე აღინიშნა, ვალდებულების შესრულების ვადა სამოქალაქო-სამართლებრივი ვადების ცალკე სახეა. ვალდებულების შესრულების ვადა:

1. აწესრიგებს ნორმალურ სამოქალაქო ურთიერთობებს;
2. ყველაზე გავრცელებული და ეფექტური საშუალებაა ვალდებულების შესრულების პროცესის დროში მოწესრიგებისა.

<sup>55</sup> იხ. ამასთან დაკავშირებით, რომან შენგელია, სააეტორო და მომიჯნავე უფლებების მოქმედების ვადები, თენგიზ დიღუაშვილის საუბიძლეო კრებული, გვ. 127-134.

ვალდებულების შესრულების ვადის გასვლა არ იწვევს ვალდებულების ავტომატურად შეწყვეტას, მაგრამ შეიძლება გახდეს ვალდებულების შეწყვეტის ერთ-ერთი ელემენტი (კრედიტორის მოთხოვნასთან ერთად ვადაგასული ვალდებულების შეწყვეტის შესახებ). ასეთი ვადის ამოწურვა (ზოგ შემთხვევაში კი დინების დასაწყისი), არის დამატებითი კრიტერიუმი მოვალის მართლზომიერი საქციელის შეფასებისათვის. უმოქმედობა ხდება ვალდებულების შეუსრულებლობის შემადგენელი ელემენტი.

ვალდებულების შესრულების ვადების სამართლებრივი ბუნებისა და თავისებურებების დადგენის შემდეგ მიზანშეწონილია ასეთი ვადების დადგენის პროცესის გამოკვლევა.

ვალდებულების შესრულების ვადის დადგენის ეფექტურობა დამოკიდებულია თავად ვალდებულების ხასიათზე. სამოქალაქო სამართალში შესრულების ვადები ყველაზე მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ასეთ ვადებს არა მარტო ხანგრძლივობისა და განსაზღვრულობის ხარისხის მიხედვით, არამედ მათი წარმომშობი წყაროს სამართლებრივი ბუნების მიხედვითაც. ერთმანეთისაგან განასხვავებენ ვალდებულების შესრულების შემდეგ ვადებს: კანონისმიერ, სახელშეკრულებო, სასამართლოს მიერ ან კერძო არბიტრაჟის მიერ დანიშნულ შესრულების ვადებს.

ვალდებულების შესრულების ვადებზე საუბრისას ძალიან იშვიათად მოიხსენიებენ ცალმხრივ გარიგებებს, რაც, როგორც ჩანს, განპირობებულია სახელშეკრულებო ვადებთან შედარებით ასეთი ვადების ნაკლები გამოყენებით. ამასთან, ასეთი ვადების გამორიცხვა შეუძლებელია. აქ ის შემთხვევა გვაქვს, როდესაც პირი არა მარტო

უფლებამოსილია, არამედ ვალდებულია ცალმხრივად განსაზღვროს შესრულების ვადები. ასე მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 758-ე მუხლის მეორე ნაწილი პირდაპირ იტყობინება, რომ „კონკურსის გამოცხადებას ძალა აქვს მხოლოდ მაშინ, თუ იგი ითვალისწინებს განსაზღვრულ ვადას სამუშაოს შესასრულებლად“. კონკურსის პირობებში მითითებული ვადის დარღვევას მოჰყვება კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველ პირთა აცილება.<sup>56</sup> ამდენად, არა მხოლოდ ხელშეკრულებას, არამედ ცალმხრივ გარიგებასაც შეუძლია დაადგინოს ვალდებულების შესრულების ვადა.

თავისი ბუნების მიხედვით, ვადა შეიძლება იყოს უფლების მიმცემი ან შეღავათის მიმცემი.

უფლების მიმცემი ვადა არის კრედიტორის მიერ მოვალისათვის ვალდებულების შესასრულებლად ხელშეკრულებით მიცემული დროის მონაკვეთი. შეღავათის ვადად შეიძლება განვიხილოთ ვადები, რომლებიც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსით დამატებითი ვადების სახით (მუხლი 405-ე), როდესაც მოვალეს, რომელსაც დაუდგა ვალდებულების შესრულების ვადა ეძლევა დამატებითი საშელავათო ვადა ვალდებულების შესასრულებლად. ამასთან ამ შემთხვევაში ხდება მისი მდგომარეობისა და კრედიტორის საჭიროების მხედველობაში მიღება.<sup>57</sup> ფრანგულ სამართალში საშელავათო ვადებად მიიჩნევა მხოლოდ ისეთი ვადები, რომლებიც ინიშნება სასამართლოს მიერ.<sup>58</sup>

<sup>56</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (მაყვალა კახაძე), წიგნი მეათე, ტომი II, თბ., 2001, გვ. 22.

<sup>57</sup> Jean Carbonnier, დასახ. ნაშრ., გვ. 259.

<sup>58</sup> J. Жюллино де ля Морандьер, Гражданское право Франции, издательство иностранной литературы, М., 1960, გვ. 621.

ამდენად, ვალდებულების შესრულების ვადები საზოგადოებრივი ურთიერთობების დროში მოწესრიგების უნივერსალური საშუალებაა, და ეს შეიძლება განხორციელდეს როგორც ნორმატიული, ისე ინდივიდუალური ნების გამოვლენის საფუძველზე.

### § 3. ვალდებულების შესრულების კანონისმიერი ვადები

სამოქალაქო კოდექსი შეიცავს მთელ რიგ დებულებებს შესრულების ვადებთან დაკავშირებით. უმეტესწილად ეს ის შემთხვევებია, როდესაც მხარეებს თავად არ გაუკეთებიათ არავითარი დათქმა ვალდებულების შესრულების ვადებთან დაკავშირებით. აქ საქმე გვაქვს ნორმატიულ ვადებთან. ნორმატიულობა კი, საშუალებას იძლევა ეს ვადები გავრცელდეს საზოგადოებრივი ურთიერთობების ფართო წრეზე და შესრულების ვადა დადგინდეს არა ერთჯერადი, კონკრეტული ვალდებულებისათვის, არამედ ვალდებულებათა გარკვეული გვარისათვის. ზოგად-თეორიულ დონეზე სამართლის ნორმის ეს თვისება 'საყოველთაოადაა მიღებული. „სამართლის თითოეული ნორმა შეიცავს ზოგადი ხასიათის ქცევის წესს, რომელიც ერთ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევას კი არ ეხება, არამედ გულისხმობს მრავალჯერად გამოყენებას, აწესრიგებს ურთიერთობათა და მოვლენათა გარკვეულ სახეს“.<sup>59</sup>

<sup>59</sup> გივი ინჭიკიშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ., 1997, გვ. 116; ამასთან დაკავშირებით ასევე იხილეთ, გიორგი ხუბუა, სამართლის თეორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2004, გვ. 137 (295).

ამ შემთხვევაში, ვალდებულების შესრულების ვადა უშუალოდ კანონიდან გამომდინარეობს და ნორმატიული ნებით განისაზღვრება.<sup>60</sup>

ვადის დადგენა, როგორც წესი, მხარეთა პეროგატივაა, ისევე როგორც შეთანხმება ხელშეკრულების სხვა ძირითად პირობებზე, მაგრამ ხშირ შემთხვევაში კანონმდებლობა იძლევა „გამოსავალს“ თუ მხარეთა მიერ კონკრეტულ შემთხვევაში ვადა შეთანხმებული არ არის. ასე მაგალითად, ქირავნობისას, ქირა გადახდილ უნდა იქნეს ხელშეკრულების ვადის დამთავრებისას (553-ე მუხლის პირველი ნაწილი); სესხის შემთხვევაში, თუ ვალის დაბრუნების ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ ვალი დაბრუნებულ უნდა იქნეს კრედიტორის ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას (626-ე მუხლის პირველი ნაწილი) და სხვ. ამასთან, კანონისმიერი ვადები მეტწილად გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის შეთანხმებული. ხშირ შემთხვევაში, კანონისმიერ ვადებს თან ახლავს ალტერნატივა შეთანხმებული ვადების სახით.<sup>61</sup> შეიძლება ვიფიქროთ, რომ დომინირებული მდგომარეობა სწორედ მხარეთა მიერ სახელმწიფოებრივი თავისუფლების პრინციპებზე დაყრდნობით დადგენილ ვადებს უჭირავთ. იშვიათია შემთხვევები, როცა კანონისმიერი ვადები უალტერნატივოა.<sup>62</sup>

კანონმდებელი მრავალ ხერხს იყენებს ვადების ნორმატიული განსაზღვრისათვის, კერძოდ, როგორიცაა:

1. თავად ვადის ან მისი მაქსიმუმის განსაზღვრა;
2. იმ მომენტის განსაზღვრა, რომლის დადგომის შემდეგაც ვალდებულება ითვლება შესასრულებლად;
3. ვადების გამოთვლის წესების დადგენა;

<sup>60</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, (ბესარიონ ზოიძე), გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, გვ. 286.

<sup>61</sup> იქვე, გვ. 287.

<sup>62</sup> იქვე.

4. ზოგადი ხასიათის წესების დადგენა, რომელშიაც საუბარია ვალდებულების შესრულების ვადებზე ან მითითებულია ვალდებულების დროებით, სასწრაფო ხასიათზე;

5. ხდება მითითება ნორმატიული მოწესრიგების სხვა წყაროებზე. მოკლედ შეგვხოთ თითოეულ მათგანს.

თავად ვადის ან მისი მაქსიმუმის განსაზღვრისას კანონმდებლობა ადგენს ვალდებულების შესრულების ვადას ან მის მაქსიმუმს.<sup>63</sup> ბატონი იაკობ ფუტყარაძე ქართული ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტებისადმი მიძღვნილ ნაშრომში აღნიშნავდა, რომ „მართებული იქნება მოქმედი სამოქალაქო კოდექსით, დაწესდეს: ქირავნობის ზღვრული ოპტიმალური (მაქსიმალური ათწლიანი ან სხვაგვარი) ვადა“.<sup>64</sup> კანონმდებლობამ, ცხადია, შეიძლება დაადგინოს გარკვეული ვადები, მათ შორის მაქსიმალურიც, მაგრამ ქირავნობასთან დაკავშირებით ეს სრულიად გაუმართლებლად მეჩვენება. ამ საკითხთან დაკავშირებით დავეთანხმებოდით პროფესორ ბესარიონ ზოიძის მოსაზრებას, რომ ასეთი ვადის დადგენა ეწინააღმდეგება სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს. სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლით დადგენილია, რომ „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ, კანონის ფარგლებში თავისუფლად განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი“. ქირავნობის შემთხვევაში მხარეთა მიერ ვადის დადგენა ამ ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის ერთ-ერთი გამოვლინებაა.<sup>65</sup>

<sup>63</sup> ასე მაგალითად, ჩვენარმეთა შესახებ კანონი ითვალისწინებდა 15-დღიან ვადას საწარმოთა რეგისტრაციისათვის და სასამართლო ვალდებულებაც ამ 15-დღიანი ვადის განმავლობაში განახორციელოს რეგისტრაცია. იხ. ამასთან დაკავშირებით, შორენა ჯან-ხოთელი, „ჩვენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 'ზოგადი ნაწილი, კითხვა-პასუხებში, თბ., 2001

<sup>64</sup> იაკობ ფუტყარაძე, ქართული ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტები (ისტორიულ-თეორიული გამოკვლევა), ავტორეფერატი, თბ., 2002, გვ. 10.

<sup>65</sup> ბესარიონ ზოიძე, რეცენზია იაკობ ფუტყარაძის სადოქტორო დისერტაციაზე „ქართული ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტები“, ჟურნალი „ადამიანი და უინსტიტუცია“, №1, 2002, გვ. 172.

ამდენად, ვადის მაქსიმუმის განსაზღვრა ყოველთვის არ არის მისაღები ზერხი ნორმატიული მოწესრიგებისათვის.

ვალდებულების შესრულების პროცესის დროში მოწესრიგების სხვა საშუალებას წარმოადგენს იმ მომენტის განსაზღვრა, რომლის შემდგომაც ვალდებულება ჩაითვლება შესასრულებლად. ამ მომენტის ზუსტი დადგენა უკავშირდება ვალდებულების დროულ შესრულებას.

დოქტრინაში დიდი ყურადღება ექცევა ვალდებულების შესრულების დასრულების მომენტს. ამასთან, გარკვეული მნიშვნელობა აქვს შესრულების საწყის მომენტსაც. სასურველია, რომ ვალდებულების შესრულების საწყისი მომენტი (განსაკუთრებით კი გრძელვადიან ვალდებულებებში) ზუსტად იყოს განსაზღვრული. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ საწყისი ვადის იურიდიულ მნიშვნელობაზე. თუმცა, მეტი მნიშვნელობა, ცხადია, აქვს ვალდებულების შესრულების დასრულების მომენტს. ამასთან, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ვალდებულების შესრულების ფაქტობრივი დასრულება და ასეთი ფაქტობრივი შესრულების იურიდიული გაფორმების დასრულება, რომელიც, როგორც წესი, არის სწორედ ვალდებულების შესრულების მომენტი.

მესამე ფორმა ვალდებულების შესრულების ვადის ნორმატიული მოწესრიგებისა, არის ვადის გამოთვლის წესების დადგენა. ეს წესი გამოიყენება არა მხოლოდ ვალდებულების შესრულების ვადების მიმართ, არამედ ყველა სხვა ვადების მიმართ. სამოქალაქო კოდექსი ვადების გამოთვლის წესებს ნორმატიულად განამტკიცებს პირველი წიგნის მეოთხე კარში. კოდექსის 121-ე მუხლი პირდაპირ აწესებს, რომ კანონებში, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და გარიგებებში

მითითებული ვადების მიმართ გამოიყენება ამ თავში გათვალისწინებული წესები. ამასთან დაკავშირებით, ევროპის რიგ ქვეყანაში არსებობს ვადების ლეგალური ინტერპრეტაციის წესები. ლეგალური ინტერპრეტაციით, პირდაპირ დგინდება, თუ რას ნიშნავს თვის დასაწყისი, თვის შუა რიცხვი, თვის ბოლო. ამასთან, ვალდებულების შესრულებას ადგილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ „სამუშაო დღის საათებში“.<sup>66</sup> სამოქალაქო კოდექსი, როგორც აღინიშნა, ასევე ადგენს ვადების გამოთვლის წესებს (121-127-ე მუხლები). ასეთი წესების დადგენა საშუალებას იძლევა დამკვიდრდეს ვადების გამოყენების ერთიანი და ეფექტური პრაქტიკა.

მეოთხე ფორმა ვალდებულების შესრულების ვადის ნორმატიული მოწესრიგებისა, არის სწორედ ზოგადი ხასიათის წესების დადგენა, რომელშიაც საუბარია ვალდებულების შესრულების ვადაზე, ან რომლიდანაც იკვეთება ასეთი (მაგალითად, ნორმა – დეფინიციები, რომლებიც განსაზღვრავენ რაიმე ვადას), ან მიუთითებენ თავად ვალდებულების ვადიან, სასწრაფო, დროებით ხასიათზე.

ასე მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 447-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით, გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. აღნიშნული მუხლი ადგენს ნასყიდობის ურთიერთობის მონაწილეთა ქცევის ზოგად წესს. კანონი ცალკე აწესრიგებს უძრავ და მოძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის საფუძვლებს. ამასთან, როგორც განმარტა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა

<sup>66</sup> Peter Gauch, Walter R.Schluper, Pierre Tercier, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

პალატამ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (№3კ/305-01, 2001 წლის 15 ივნისი, ქ. თბილისი) „...გამყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულება იმის შესახებ, რომ ის მყიდველს გადასცემს მანქანა-დანადგარებზე მის კუთვნილ უფლებას და სხვა, არ ნიშნავს ასეთი უფლების იმწუთიერ გადაცემას და ასეთი ურთიერთობა, როგორც სახელმწიფოებრივი-ვალდებულებითი ურთიერთობა, წესრიგდება სახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებით“.<sup>67</sup> როგორც ვხედავთ, ვალდებულების შესრულების რაიმე კონკრეტული ვადა აღნიშნულ მუხლში არ იკვეთება. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში კი საუბარია იმაზე, რომ იმწუთიერი შესრულება არაა აუცილებელი, რაც, ცხადია, ასეც არის. ვალდებულების შესრულება პროცესია და გარკვეულ დროს მოითხოვს. თუმცა, რომ არ მოხდეს ვალდებულების შესრულების დროში გაუმართლებელი გაჭიანურება, აუცილებელია დადგინდეს ვალდებულების შესრულების სხვა ფარგლებიც. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს იმ ვადაში, რაც აუცილებელია ამისათვის საჭირო მოქმედებების ყველაზე სწრაფი განხორციელებისათვის.

რაც შეეხება ნორმატიული მოწესრიგების სხვა წყაროებს, აქ მხედველობაშია ის წყაროები, რომლებიც შეიძლება შეიცავდნენ ვალდებულების შესრულების ვადებს. ნორმატიული აქტებით ძირითადად წყდება შესრულების ვადების „სტრატეგიული“ საკითხები, როგორცაა სასამართლოებისა და თავად მხარეების უფლებამოსილება ვადების დანიშვნასთან დაკავშირებით. კანონმდებლობამ მხოლოდ კოორდინაცია უნდა გაუწიოს ვადების დანიშვნის საკითხს ყველა

<sup>67</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამიქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეებზე, სექტემბერი, 2001, ბაქურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2001, გვ. 977.

სახის ნორმატიულ აქტში და თუ ვადის დანიშვნისას არსებობს რაიმე გაუგებრობა, ეს ხშირ შემთხვევაში სწორედ ნორმატიული მოწესრიგების ხარვეზზე მიუთითებს. შესრულების კონკრეტული ვადები ნორმატიული აქტებით უფრო მაშინ დგინდება, როცა ეს აუცილებლობითაა გამოწვეული, მაგალითად, ვალდებულების განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე.

ხშირად კანონი ანიჭებს იურიდიულ ძალას ვალდებულების შესრულების იმ ვადებს, რომლებიც გამომდინარეობენ ჩვეულებიდან. აქ მხედველობაშია სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ითვალისწინებენ ეგრეთ წოდებულ ნაგულისხმევ ვადებს (ამ საკითხს ჩვენ ცალკე შევხებით).

ამგვარად, ჩვეულება ხელს უწყობს ვალდებულების შესრულების რეგლამენტირებას ღროში, თუმცა, სამართლებრივ მოწესრიგებაში დამოუკიდებელ როლს იგი არ ასრულებს. ჩვეულებას სჭირდება ნორმატიული საფუძველი, ანუ სამოქალაქო კოდექსის კონკრეტული მითითებითი ნორმა. ეს კი კონკრეტულ ჩვეულებას ანიჭებს გარკვეულ, მკაცრად განსაზღვრულ იურიდიულ ძალას. ამასთან, ამ ძალის იურიდიული საზღვრები დამოკიდებულია ჩვეულების ხარისხზე, ანუ ჩვეულება ამ შემთხვევაში შეფასებითა და სამართალშემფარდებელი ორგანოს ან სუბიექტის ინდივიდუალური გადაწყვეტილების ყველაზე სავარაუდო ვარიანტს გულისხმობს. კანონმდებელი ყოველთვის არკვევს ჩვეულების შინაარსს, მის შესაბამისობას სამოქალაქო სამართლის პრინციპებისადმი და მათ „ვარგისიანობას“ სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებისათვის.

## § 4. ვალდებულების შესრულების სახელშეკრულებო ვადები

მხარეთა მიერ ვალდებულების შესრულების ვადის დადგენა გამომდინარეობს სამოქალაქო სამართალში აღიარებული სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან. სახელშეკრულებო ვალდებულებათა სამართლებრივი წესრიგი ემყარება ნების ავტონომიის ფილოსოფიურ პრინციპს. როგორც აღნიშნავდა ცნობილი ფრანგი იურისტი ლეონ დიუგი, „ნების ავტონომია, ...არის თავისუფლების ელემენტი, ეს არის იურიდიული თავისუფლება, ...ადამიანის შესაძლებლობა ნებელობითი აქტის მეშვეობით შექმნას მართლზომიერი იურიდიული სინამდვილე“.<sup>68</sup> სახელშეკრულებო თავისუფლება ნების ავტონომიის იურიდიულად უფრო დასრულებული გამოხატულებაა. ხელშეკრულების შინაარსი მხარეთა მიერ დადგენის საგანია. მხარეები თავისუფლად განსაზღვრავენ, თუ რას მოიცავს მათი უფლება და მოვალეობა, იმ პირობით, რომ ეს არ დაარღვევს საჯარო წესრიგს.<sup>69</sup> ხელშეკრულება პირთა თავისუფალი ნების გამოვლენის აქტია. ესაა მხარეთა კერძო ავტონომიაზე აგებული ურთიერთობა. კერძო ავტონომია კი, გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერ პირს შეუძლია დადოს ნებისმიერი გარიგება, განსაზღვროს მისი შინაარსი და თვითონ შეარჩიოს თავისი კონტრაქტის<sup>70</sup>.

სახელშეკრულებო მოწესრიგების სფეროს გაფართოვება, ჩვენი აზრით, სამართლის პროგრესული განვითარების მანიშნებელია, რადგან

<sup>68</sup> Леон Дюги, Общие преобразования Гражданского права, М., 1919, გვ. 34.

<sup>69</sup> Philippe Delebecque, Eredéric-Jérôme Pansier, Droit de obligations, Responsabilité civile – contrat, 2 -em édition corrigée, Litec, Paris, 1998, გვ. 109.

<sup>70</sup> სოფო როინიშვილი, ხელშეკრულების თავისუფლება, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2001, №3, გვ. 64.

ასეთ დროს მხარეები თავისუფლად გამოხატავენ თავიანთ ნებას და თანხმდებიან მოსაწესრიგებელი ურთიერთობის ბელზე.<sup>71</sup> დისპოზიციურობა მხარეებს საშუალებას აძლევს თვითონ განსაზღვრონ თავიანთი უფლებანი და მოვალეობანი ხელშეკრულების მეშვეობით, ნაცკლად იმპერატიული მოწესრიგებისა, რომელიც მხარეებს არჩევნის საშუალებას არ უტოვებს. ამასთან, ხელშეკრულების თავისუფლება არ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც აბსოლუტური თავისუფლება, „სახელშეკრულებო თავისუფლების რეალიზაცია ხდება მხოლოდ შესაძლებლისა და დასაშვების ფარგლებში“.<sup>72</sup>

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპმა ნორმატიული ასახვა ჰპოვა სამოქალაქო კოდექსშიც. კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილი იტყობინება, რომ „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას...“ შესაბამისად, მხარეებს სრული თავისუფლება აქვთ, ერთმანეთში მორიგდნენ ვალდებულების შესრულების ვადებთან დაკავშირებულ საკითხებზე. ისინი საკუთარი ნებით განსაზღვრავენ თავიანთი ვალდებულების შესრულების საზღვრებს დროში. მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულებაში მიუთითონ შესრულების ვადა ან შესრულების ვადის დასაწყისი.

ვალდებულებით ურთიერთობათა სფეროში სახელშეკრულებო მოწესრიგებას უდავოდ ცენტრალური ადგილი უჭირავს შესრულების

<sup>71</sup> ჯონი ხეცურდიანი, ქართული ეკლესიის კონსტიტუციური საფუძვლები, თენგიზ ლილაუაშვილის საიუბილეო კრებული, თბ., გვ. 62.

<sup>72</sup> В. В. Иванов, К вопросу об общей теории договора, „Государство и право“, 2000, №12, გვ. 75.

ვადებთან დაკავშირებითაც. როდესაც ვალდებულების შესრულების ვადის განსაზღვრა ხელშეკრულებაში მხარეთა მიერ ხდება, მათ შეუძლიათ მათთვის ხელსაყრელი ვადის დადგენა.

ამდენად, უმჯობესია ვალდებულების შესრულების ვადა მხარეთა მიერ გათვალისწინებულ იქნეს ხელშეკრულებაში, ეს გაცილებით შეამცირებს დავის შესაძლებლობას, და თუ ასეთი დავა მაინც წარმოიშვა, გააიოლებს მის გადაჭრას.

ვადებთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია სხვადასხვა გარემოებანი, კერძოდ:

1. პირველ რიგში ვადები, სახელშეკრულებო იქნება ეს თუ კანონისმიერი, უნდა იყოს მკაფიოდ განსაზღვრული. ამ მოთხოვნას აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, თუმცა, ხშირად მისი შესრულება არ ხდება. სახელშეკრულებო ვადის არარსებობა ან არასაკმარისი სიზუსტე ართულებს ვალდებულების შესრულებას.

ვალდებულების შესრულების ვადების განსაზღვრისას უმჯობესია მხარეებმა იმ დონეზე დააკონკრეტონ თავიანთი მოვალეობანი, რომ ვალდებულების შესრულება დროულად დაიწყონ და ასევე დროულად დაასრულონ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვალდებულებათა უმეტესობის კონსტიტუციური ნაწილი სწორედ შესრულების საგანი და ვადაა.

რაც შეეხება „გონივრულ“ და „უმოკლეს“ ვადებს, ნორმატიული მოწესრიგებისას მათზე აპელირება მხოლოდ აუცილებლობისას უნდა ხდებოდეს, ვინაიდან კანონი ვადებს მკაფიოდ, გამოკვეთილად უნდა განსაზღვრავდეს და ამით ხელს უწყობდეს მხარეთა ურთიერთობის სტაბილუ-

რობასა და სიზუსტეს. ამიტომაც, მათი გამოყენება მით უფრო მიზანშეუწონელია ხელშეკრულებებში.

2. ვალდებულების შესრულების ვადების განსაზღვრისას მხარეები ხშირად იყენებენ ვალდებულების შესრულების საერთო და კერძო (შუალედურ) ვადებს, „საერთო ვადა წარმოადგენს ვალდებულების მთლიანად შესრულების, ხოლო კერძო კი – გარკვეული ნაწილის შესრულების ვადას“.<sup>73</sup> ამ შემთხვევაში აუცილებელია, რომ კერძო ვადები იყოს თანმიმდევრულნი, კოორდინირებულნი და გონივრულად მოსდევდნენ ერთმანეთს. ამასთან, ამ ჯაჭვის ბოლო რგოლი, ანუ უკანასკნელი შუალედური ვადის ამოწურვა უნდა ემთხვეოდეს ვალდებულების შესრულების საერთო ვადის ამოწურვას.
3. სხვა პირობას ვადებთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში წარმოადგენს ვადების გონივრულობა და რეალურობა, რაც ვალდებულების სათანადო ვადაში შესრულების საუკეთესო გარანტიაა.

სახელშეკრულებო ურთიერთობებში ვალდებულების შესრულების ვადების განსაზღვრის რამოდენიმე შესაძლო ვარიანტი არსებობს:

- განსაზღვრული ვადის შემთხვევაში – შესრულების დღე დადგენილია და ამ დღეს უნდა მოხდეს ვალდებულების შესრულება.
- შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნეს დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც უნდა განხორციელდეს შესრულება.

<sup>73</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი (ზურაბ ახვლედიანი), თბ., 1999, გვ. 308.

თავად ვადების დადგენის ორი ხერხი არსებობს – აბსოლუტური და რელატიური (შეფარდებითი).

პირველ შემთხვევაში შესრულების ზუსტი თარიღი ფიქსირდება კალენდარული ვადით. თავად ასეთი დადგენაც ორ ხერხს მოიცავს:

პირდაპირს – როდესაც დგინდება ზუსტი კალენდარული თარიღი – 2005 წლის 7 აგვისტო, თვის ბოლო რიცხვი.

არაპირდაპირს – რომელიც ემყარება დამატებით ცნობებს (მაგალითად: ერთ წელიწადში დადგენილი თარიღიდან მოყოლებული, ან პიროვნების 50 წლის იუბილის აღნიშვნის დღე).

ამასთან, შესრულების მომენტის დადგომა დამოკიდებულია იმაზეც, თუ რა სახის ვალდებულებებთან გვაქვს საქმე. შესაძლებელია მოხდეს ვალდებულების მთლიანად შესრულება, მთლიანად თანხის გადახდა, რაიმე ნივთის გადაცემა.

ზოლო, როდესაც სახეზეა პერიოდული ან ნაწილობრივი გადახდა, მაშინ ხდება ვალდებულების არაერთდროული, არამედ ნაწილ-ნაწილ შესრულება. შესაძლებელია ვალდებულების შესრულება ატარებდეს უწყვეტ ხასიათს, მაგალითად, რაიმე ნივთის სარგებლობაში გადაცემა.

ზოგიერთი ხელშეკრულება თავისი ბუნებით უკვე გულისხმობს გრძელვადიან ურთიერთობას. ამის მაგალითია ფრენშაიზინგის ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება უნდა იყოს გრძელვადიანი, რადგან ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს მოგების მიღების შესაძლებლობა, იმ დრომდე, როდესაც ხელშეკრულების ვადა ამოიწურება. მიჩნეულია, რომ გრძელ ვადად (ფრენშაიზინგის ხელშეკრულებისათვის) შეიძლება ჩაითვალოს მინიმალური ათი წელი, რადგან ამ პერიოდში ფრენშაიზინგის მიმღების მიერ

ჩადებულმა სახსრებმა უნდა მოიტანოს მოგება.<sup>74</sup>

ხელშეკრულების დადება მხარეებს შორის იქნებოდა აზრს მოკლებული, თუკი მხარეები არ ისახავენ მიზნად მის შესრულებას, ამიტომ ხელშეკრულების შესრულების განზრახვის არსებობა ნებისმიერი ხელშეკრულების აუცილებელი ნიშანია. ამ ნიშნის კვინტესენცია არის ეგრეთ წოდებული კლასიკური იმპერატივი – *pacta sunt servanda* – შეთანხმება უნდა შესრულდეს, რომელიც ლაიტმოტივივით გასდევს მთელს სახელშეკრულებო სამართალს. ცხადია, აქ საუბარია სახელშეკრულებო ვალდებულებებზე – ხელშეკრულების პირობებზე, რაც თავის მხრივ მხარეთა შეთანხმების შედეგია.

## § 5. განსაზღვრული და განუსაზღვრელი ვადები

X სიზუსტის მიხედვით, ერთმანეთისაგან განასხვავებენ დადგენილ (განსაზღვრულ) და დაუდგენელ (განუსაზღვრელ) ვადებს.<sup>75</sup> ვადა ყოველთვის არის სარწმუნო მოვლენა იმ თვალსაზრისით, რომ არსებობს იმის უეჭველობა, რომ იგი დადგება. მაგრამ უფრო ზშირად ცნობილია არა მარტო ის, რომ ვადა დადგება, არამედ ისიც, თუ როდის დადგება იგი. ეს ის შემთხვევაა, როდესაც არის რალაც თარიღი; 2005 წლის 7 აგვისტო თარიღია, ამდენად, აქ საქმე გვაქვს

<sup>74</sup> სანდრო ჯორბენაძე, ფრენშაიზინგის ხელშეკრულება, თბ., 1999, გვ. 32.

<sup>75</sup> ლიტერატურაში გვხვდება ასევე ვადების დაყოფა აბსოლუტურად განსაზღვრულ, შეყარლებით განსაზღვრულ და განუსაზღვრელ ვადებად. იხ. ამასთან დაკავშირებით ავთო კობახიძე, სამოქალაქო სამართალი, სოფადი ნაწილი, შპს გახეთ „საქართველოს მაცნე“-ს სტამბა, თბ., 2001, გვ. 357-358.

განსაზღვრულ ვადასთან. განუსაზღვრელი ვადა კი არის მოვლენა, რომლის დადგომაც სარწმუნოა, მაგრამ უცნობია როდის დადგება იგი. ამის კლასიკური მაგალითია პიროვნების სიკვდილი. უდავოა, რომ ეს მოხდება, მაგრამ უცნობია როდის.

ჯვარა განსაზღვრულია, როდესაც თარიღი ცნობილია. ის ან აღნიშნულია პირდაპირ, როგორც კონკრეტული ვადა და ერთ-ერთი დღეა კალენდრის თარიღებს შორის, მაგალითად 2005 წლის 10 დეკემბერი. ნათლად განსაზღვრული თარიღი გულისხმობს იმას, რომ ეს თარიღი ძირითადად შედგება თვის რიცხვისაგან (10), თვის სახელწოდებისაგან (დეკემბერი) და წელიწადისაგან (2005). მაშასადამე, იგი შეესაბამება კალენდარში მოცემულ რაიმე განსაზღვრულ დღეს, ის გამოხატავს ამ დღეს ჩვეულებრივ, ასეთი თარიღი სამწვეროვანი შემადგენლობისა: დღე, თვე, წელიწადი. თუმცა, ზოგჯერ იგი სახეშეცვლილია. ასე მაგალითად, 2005 წლის შობა, ან. 2005 წლის თამარობა. თარიღი-დღე იწყება 0 საათზე და მთავრდება 24 საათზე, ანუ მომდევნო დღის 0 საათზე. ამდენად ეს არის 24 საათიანი პერიოდი, რომლის ყველა მომენტს (თუ რაიმე დაზუსტება არ არსებობს) თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, ნებისმიერი მომენტი დროის ამ მონაკვეთში ერთი და იგივე თარიღია. განსაზღვრული ვადა ობიექტური მონაცემია, რადგან ადამიანები, რომლებიც თვითონ ირჩევენ თარიღს, თავადვე ექვემდებარებიან მას. ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხარეები შეთანხმდებიან წინა ან უკანა რიცხვით გააფორმონ ხელშეკრულება, ამით თარიღი სუბიექტური მაინც არ ხდება. მაგალითად, მხარეებმა 10 აპრილს გააფორმეს ხელშეკრულება, მაგრამ მისი დადების თარიღად მოუთითეს 5 აპრილი. ამ შემთხვევაში სინამდვილე სუბიექტთა ნებით იფარება. აქ უკვე სახეზეა არა თარიღი, როგორც ინფორმაცია, არამედ თარიღი,

როგორც აღნიშვნა.<sup>76</sup> ამდენად, თარიღი-აღნიშვნა შეიძლება ყოველთვის არ იყოს ზუსტი თარიღი.

წადა განუსაზღვრელია, როდესაც თარიღი, მოვლენის მოხდენის შესახებ არ შეიძლება ცნობილი იყოს: მაგალითად, პიროვნების გარდაცვალება ან მშენებლობის დასრულება.

სამოქალაქო კანონმდებლობა ხშირად იყენებს როგორც განსაზღვრულ, ისე განუსაზღვრელ ვადებს. განსაზღვრულ ვადებზეა საუბარი სამოქალაქო კოდექსის 531-ე მუხლში, რომლის თანახმადაც: „ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით“. იაკობ ფუტყარაძე ქართული ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტებისადმი მიძღვნილ ნაშრომში აღნიშნავს, რომ მოქმედ „სამოქალაქო კოდექსში შეიძინევა ერთგვარი შეუთანხმებლობა ქირავნობის ვადასთან დაკავშირებულ საკითხებში. კერძოდ, 531-ე მუხლით, „ცნება“ ქირავნობა განსაზღვრულვადიანი ხელშეკრულებაა, 559-ე მუხლის მე-3 ნაწილით კი იგი განუსაზღვრელი ვადითაც იგულისხმება“.<sup>77</sup> ❧

სამოქალაქო კოდექსი ქირავნობასთან დაკავშირებით არაერთგან აწესებს ქირავნობის ვადის გაგრძელებას განუსაზღვრელი ვადით. ასე მაგალითად, 559-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ დამქირავებელი სარგებლობს ნივთით ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც და გამქირავებელი ამაზე არ ედავება, მაშინ ხელშეკრულება განახლდება განუსაზღვრელი ვადით. 560-ე მუხლი საუბრობს განუსაზღვრელი ვადით ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელების მოთხოვნის უფლებაზე და ამბობს: „თუ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით არის დადებული,

<sup>76</sup> Revue trimestrielle de droit civil, directeur Philippe Jestaz, Paris, année 1991, გვ. 36.

<sup>77</sup> იაკობ ფუტყარაძე, ქართული ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტების (ისტორიულ-თეორიული გამოკვლევა), ავტორიფერატი, თბ., 2002, გვ. 10.

მაშინ დამქირავებელს შეუძლია არაუგვიანეს ორი თვისა ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტამდე წერილობითი განცხადებით მოითხოვოს ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელება განუსაზღვრელი ვადით..“ 569-ე მუხლის (მიწის ნაკვეთის ქირავნობის ხელშეკრულების ფორმა) მეორე წინადადება, ასევე ამბობს, „...ფორმის დაუცველობის შემთხვევაში ივარაუდება, რომ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არის დადებული“. ამდენად, ქირავნობასთან დაკავშირებით დასახელებული 559-ე მუხლი არ არის ერთადერთი, სადაც საუბარია ქირავნობის ვადის განუსაზღვრელობაზე ამა თუ იმ ფორმით. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, ქირავნობის ცნებას ეს არ ეწინააღმდეგება. ამ საკითხთან დაკავშირებით, მივემხრობოდი ბატონი ბესარიონ ზოიძის მოსაზრებას, რომ „ამ შემთხვევაში გამოთქმა „განსაზღვრული“ ზოგადი შინაარსის შემცველია და გულისხმობს გარკვეულ ვადას, ღროებით სარგებლობას, რომელიც დოქტრინაში მიღებული დაყოფით შეიძლება იყოს როგორც „პირდაპირ განსაზღვრული“, ისე „განუსაზღვრელი“.<sup>78</sup> ასევე დავეთანხმებოდი მისივე მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ უმჯობესი იქნებოდა აღნიშნულ მუხლში ტერმინ „განსაზღვრული ვადის“ ნაცვლად ყოფილიყო ქირავნობის საგნის გადაცემა „ღროებით სარგებლობაში“, როგორც ამას ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 535-ე მუხლი, რაც ასეთი სახის განმარტების აუცილებლობას აგვარიდებდა.<sup>79</sup> ამასთან განუსაზღვრელვადიანი ვალდებულება არ ნიშნავს მის მუდმივ ხასიათს. ამ ჭრილში აღსანიშნავია კიდევ ერთი თავისებურება, რაც მუდმივი ვალდებულებების აკრძალვის

<sup>78</sup> ბესარიონ ზოიძე, რეცენზია იაკობ ფუტკარაძის სადოქტორო დისერტაციაზე „ქართული ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტები“, შურნალი „აღამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2002, გვ. 172.

<sup>79</sup> იქვე.

სახელწოდებითაა ცნობილი. მართალია ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს განუსაზღვრელი ვადით, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ვალდებულება შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს. ვალდებულებათა დროში შეუზღუდავობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც თავისუფლების ხელყოფა. დაუშვებელია, რომ ერთხელ ნაკისრი ვალდებულება მოვალისათვის სამუდამო ტვირთად იქცეს და არ ჰქონდეს მისგან თავდახსნის მართლზომიერი საშუალებანი. ამასთან, ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს კრედიტორის მთელი სიცოცხლის ხანგრძლივობით (სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება (941-950 მუხლები), მაგრამ ეს გათვალისწინებული და დაშვებულია კანონმდებლობით, რასაც ვერ ვიტყვით მოვალის მთელი სიცოცხლის მანძილით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, რადგან დაუშვებელია, რომ მოვალე მუდმივად იყოს დავალბული.

## § 6. ვადა მოვალის, კრედიტორის და საერთო ინტერესში

ინტერესი დროში არსებული ფასეულობაა და ამიტომაც, როცა იგი გაქარწყლებულია, უფლების დაცვას აზრი ეკარგება.<sup>80</sup> აუცილებელია დროის თვალსაზრისით მხარეთა ურთიერთსაპირისპირო ინტერესის შეთანხმება, რათა დავის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს შესაბამისი რეაქციის მოხდენა.<sup>81</sup> ამდენად, მნიშვნელოვანია

<sup>80</sup> ბესარიონ ზოიძე, ვადების ცნება და სოფიადი დახასიათება, გვ. 7.

<sup>81</sup> Josef Esser, Eike Schmidt, Schuldrecht, Band I, Allgemeiner Teil, Heidelberg 1984, გვ. 222.

იმის ცოდნა, თუ ვისი ინტერესი დევს ვადაში. თუ ვადა მხოლოდ ერთი მხარის ინტერესს შეადგენს, ამ მხარეს შეუძლია მასზე ცალმხრივად უარი თქვას. თუ იგი კრედიტორის ინტერესს შეადგენს, მთელ რიგ შემთხვევებში (რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით), მას შეუძლია მოითხოვოს ვადამდე შესრულება (დაუყოვნებელი შესრულების მოთხოვნის უფლება), თუ ის მოვალის ინტერესს შეადგენს, მას შეუძლია ვადამდე განახორციელოს შესრულება (ასევე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში). თუ ვადა ორივე მხარის ინტერესშია, აუცილებელია მხარეთა შეთანხმება ამ შეთანხმებულ ვადაზე უარის სათქმელად ან მის შესაცვლელად.

საზოგადოდ, თუ ხელშეკრულება ვადიანია, ივარაუდება, რომ ვადა მოვალის ინტერესშია,<sup>82</sup> რადგან ვალდებულების შესრულების მომენტის მომავალში გადაწვევით მოვალეს ეძლევა დრო მის შესასრულებლად. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 364-ე მუხლი შესაძლებლობას აძლევს მოვალეს ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე შეასრულოს ვალდებულება, თუკი კრედიტორი საპატიო მიზეზით უარს არ იტყვის შესრულების მიღებაზე. კრედიტორის საპატიო მიზეზი შეფასებითი კატეგორიაა, და ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის შეიძლება განსხვავებული იყოს.

ზოგჯერ ვადა ხელშეკრულებაში კრედიტორის ინტერესს შეადგენს. თუმცა ასეთი შემთხვევები გამონაკლისია და შედეგიც შესაბამისად განსხვავებული. ასე მაგალითად, მიბარების ხელშეკრულებაში მიმბარებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს შესანახად მიმბარებული ნივთის დაბრუნება – იმ შემთხვევაშიც, თუ შენ-

<sup>82</sup> საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1187-ე მუხლი პირდაპირ ამბობს, რომ ვადა ყოველთვის მოვალის სასარგებლოდ დადგენილად ივარაუდება. იხ. Л. Жюллио де ля Морандьер, დასახ. ნაშრ., გვ. 623.

ახვისათვის ვადა განსაზღვრული იყო (მუხლი 770-ე). ეს დებულება გამომდინარეობს იქედან, რომ ვადა ამ შემთხვევაში მხოლოდ მიმბარებლის ინტერესებს შეადგენს და არა შემნახველისას, რადგან შემნახველს არა აქვს ამ ნივთით სარგებლობის უფლებაც კი (მუხლი 767-ე).

ხშირ შემთხვევაში ვადა კრედიტორისა და მოვალის საერთო ინტერესებშია და მაშინ არც ერთს არა აქვს უფლება მასზე ცალმხრივად თქვას უარი. ამის კლასიკური მაგალითია პროცენტიანი სესხი, როდესაც ვალის დაფარვა არ შეიძლება იყოს განხორციელებული დათქმულ ვადაზე ადრე, ორივე მხარის საამისო თანხმობის გარეშე, რადგან მსესხებელი დაინტერესებულია ბოლომდე შეინარჩუნოს ფულადი სახსრები, ხოლო გამსესხებლის ინტერესი მდგომარეობს განხორციელებული დაბანდების სტაბილურობაში.

## § 7. ნაგარაუდევი და გონივრული ვადები

ვალდებულების შესრულების პროცესში ფართოდ გამოიყენება ასევე ნაგარაუდევი ვადები. ამ ვადების გასაღებს იძლევა კოდექსის 265-ე მუხლი. კერძოდ, მასში ისეთ შემთხვევებზეა საუბარი, როდესაც „ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა“. სწორედ ეს „სხვა გარემოებებში ნაგულისხმევი ვადები“ შეიძლება მივიჩნიოთ ნაგარაუდევი ვადებად. ასეთი სხვა გარემოებები კი შეიძლება იყოს მრავალი და იგი სავაჭრო ჩვეულებებიდან და ტრადიციებიდანაც გამომდინარეობდეს.

შინაარსის მიხედვით, ნავარაუდევ ვადა სხვა გარემოებებიდან გამომდინარე ვადაა.

ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი ვადები ყოველთვის დამოკიდებულია ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა სავარაუდო განზრახვაზე. ზოგ შემთხვევაში ეს განზრახვა გამომდინარეობს თვით ხელშეკრულების ტექსტიდან ან სხვა გარემოებებიდან. არის შემთხვევები, როდესაც ასეთი ვადა გამომდინარეობს თავად ვალდებულებითი ურთიერთობის ხასიათიდან. ✓

თუმცა, ზოგადად ტერმინი „ნავარაუდევ ვადები“ შეიძლება სხვა მნიშვნელობითაც გამოიყენებოდეს და სულაც არ აღნიშნავდეს ისეთ ვადას, რომლის სათავეც მხარეთა ნებაში უნდა ვეძიოთ. ფართო გაგებით, ეს არის თუნდაც კანონმდებლობიდან გამომდინარე ვადა.

ამ ჭრილში შეიძლება განვასხვავოთ ნავარაუდევ (პრეზიუმირებული) ვადების ორი სახე, ეს არის კანონმდებლობიდან გამომდინარე ვადები და მხარეთა ნებიდან გამომდინარე ვადები. თავად კანონმდებლობიდან გამომდინარე ვადები, თავის მხრივ, შეიძლება დაყვით კანონმდებლობით პირდაპირ ნავარაუდევ და ისეთ ვადებად, რომელიც გამომდინარეობს რაიმე არსებული გარემოებებიდან და კანონის მოთხოვნებიდან (მაგალითად, დამატებითი ვადის დანიშვნა). თუმცა, მათ შორის მკაცრი ზღვარი არ უნდა იყოს. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ორივე ვადა საერთო ჯამში სწორედ კანონმდებლობიდან გამომდინარე ვადაა.

ამასთან, თუ უფრო ღრმად გავაცნობიერებთ ნაგულისხმევი ვადების ბუნებას, დავინახავთ, რომ ამ შემთხვევაში, ვადებზე საუბრისას ხშირად ივარაუდება განგრძობადი ვადა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ არსებობს სულ ცოტა ორი ტიპი ნაგულისხმევი ვადებისა:

1. ვადები, რომლებიც მზარეებს აქვთ ნაგულისხმევი, მაგრამ არ არის სადმე ასახულ-დაფიქსირებული.

2. ვადები, რომელიც პირდაპირ გამოძინარეობენ გარემოებებიდან. ყველა შემთხვევაში ნაგულისხმებ ვადებთან დაკავშირებული პრობლემა გამოწვეულია შეთანხმების გამოხატვის უკმარისობით, ამასთან, ასეთი ვადა არ გამოიყენება მხოლოდ ზუსტი განზრახვის მკაფიოდ გამოხატვის შემთხვევაში. როდესაც ნავარაუდევ ვადას სასამართლო ადგენს, ყველა შემთხვევაში სასამართლო მხოლოდ მზარეების მიერ ნავარაუდევ განზრახვას, მათ ნამდვილ ნებას ადგენს.

ნებისმიერ შემთხვევაში პრობლემას წარმოშობს შეთანხმების არასაკმარისი სიზუსტე. ვადა აუცილებელი ელემენტია ვალდებულების შესრულებისათვის. რაც უფრო დეტალურად და გასაგებად არის შედგენილი ხელშეკრულება, ვადის მიუთითებლობის შემთხვევაში, სხვა გარემოებების ზუსტი მითითებით ხდება ნაგულისხმევი ვადის ვარაუდი. ამდენად, ასეთ შემთხვევაში, სრულყოფილად შეიძლება ჩაითვალოს ის პირობები, რაც ნაგულისხმევი ვადის დასადგენად არის საჭირო. უფრო გაადვილებულია საქმე, როდესაც ნაგულისხმევია შუალედური ვადა, ასეთ შემთხვევაში იგი შესაბამისობაში უნდა იყოს წინამორბედ და შემდგომ ვადასთან. გაცილებით ნაკლებსავარაუდოა რაიმე გაუგებრობა, როდესაც შეთანხმებაში აღნიშნულია არსებითი, ანუ ძირითადი ვადები.

ზოგჯერ თავად სამართლის ნორმა ადგენს ჰიპოთეზურ ვადას და ხელშეკრულება შეიძლება არც კი აზუსტებდეს მას. ასეთ შემთხვევაში ნაგულისხმევი ვადა ის ვადაა, რომელიც ხელს შეუწყობს სამოქალაქო ბრუნვის ეფექტურობას.

ნავარაუდევი ვადა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ნებისმიერ ვადას. ნავარაუდევი ვადა შესაბამისობაში

უნდა იყოს ხელშეკრულებაში აღნიშნულ ვადებთან ან მის საერთო შინაარსთან. ვინაიდან ასეთი ვადები ეფუძნება მხარეთა ნაგულისხმევ ნებას, ნაკლებად სავარაუდოა, მათ ჰქონოდათ განზრახვა დაერღვიათ ხელშეკრულებაში აღნიშნული ვადა. ამდენად, მხარეთა მკაფიოდ გამოხატულ, ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადასთან შეუსაბამობა არ უნდა არსებობდეს. ამასთან ნაგულისხმევი ვადა არ უნდა იყოს უკანონო, საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო. ასევე ნებისმიერი ნაგულისხმევი ვადა შეზღუდულია კრედიტორის მხრიდან გაფრთხილებით და შეიძლება მოვალის მხრიდან უმოქმედობის ვითარებაში მისი გაგრძელება არც მოხდეს. თუმცა, მოვალეს უფლება აქვს გამოთქვას პრეტენზია, თუ ის თვლის, რომ ასეთი გაფრთხილება არის უსამართლო, და წარმოადგენს ხელშეკრულების ზუსტი ან ნაგულისხმევი ვადის დარღვევას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ნაგულისხმევ ვადებად შეიძლება მივიჩნიოთ ის ვადა, რომელიც აუცილებელია ხელშეკრულების ნორმალური შესრულებისათვის.

შესაძლებელია, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნას შესრულება, რომელიც შეუძლებელია მხარეთა თანამშრომლობის გარეშე. ასეთ შემთხვევაში მხარეები თანხმდებიან ისეთ პირობებზე, როდესაც ორივე მხარე იღებს ვალდებულებას თავის მხრივ გააკეთოს ყველაფერი ასეთი შესრულებისათვის. უდავოა, რომ ასეთი ხელშეკრულება დამოკიდებულია სწორ თანამშრომლობაზე. თუმცა, როდესაც საქმე გვაქვს ხელშეკრულებასთან, რომელშიაც ასეთი თანამშრომლობის ვადები მაქსიმალურად დაზუსტებულია, სირთულეებიც ნაკლებად ჩნდება. ნებისმიერ შემთხვევაში, მხარეებისათვის ამოსავალი უნდა იყოს ის, რომ მათ მიერ განსაზღვრული ვადებით დაწესებული თანამშრომლობა ხელშეკრულების შესრულებას არ გახდის შეუძლებელს.

როდესაც ხელშეკრულების ენა არ არის ზუსტი, და ის არ განსაზღვრავს რაიმე ვადას ვალდებულების შესასრულებლად, ვალდებულება უნდა შესრულდეს მისაღები, გონივრული დროის ფარგლებში. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მოვალემ ვალდებულება უნდა შეასრულოს გაჭიანურების გარეშე, ანუ იგი შესრულების მიმართ არ უნდა მოქმედებდეს დაუდევრად.

ამდენად, თუ მაგალითად ხელშეკრულებაში არ არის განსაზღვრული დროის ფარგლები, დავუშვათ რა ვადაში უნდა ჩამოტვირთოს ტვირთის მიძღვამ ტვირთი, ივარაუდება, რომ ტვირთი უნდა დაიცალოს გონივრული, მისაღები დროის ფარგლებში.

შეიძლება ითქვას, რომ ნაგულისხმევი ვადების ზღვარი – მათი განმარტების ზღვარია. სასამართლო ნაგულისხმევი ვადების დადგენისას არ აკეთებს იმაზე მეტს, ვიდრე ლოგიკურად ასაბუთებს შეთანხმებულად ნავარაუდევ ვადას. ამასთან ასეთი დასაბუთება უნდა ეყრდნობოდეს პრაქტიკასა და კომერციულ ბრუნვაში მიღებულ ტრადიციებს. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში სასამართლო მხოლოდ ავსებს იმ ხარვეზებს, რაც ხელშეკრულებაში ვადების მიუთითებლობამ გამოიწვია.

ნავარაუდევი ვადა უნდა იყოს გონივრული. არაგონივრული ვადა აქარწყლებს არა მარტო უფლებას, არამედ პირველ რიგში, სპობს თავის თავს.<sup>83</sup> ქამიტომაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია აქვე შევეხოთ თვით გონივრული ვადების არსს. გონივრული უნდა იყოს უპირველესად კანონით ზუსტად განსაზღვრული ვადები. იგი ისე უნდა შემოიფარგლოს, რომ შესაძლებელი იყოს უფლების გამოყენება – დაცვა მანამ, სანამ არსებობს დაცვის ინტერესი.<sup>84</sup> ჯდა მართლაც, თუ ვადის განსაზღვრა მოხდა ისე, რომ მხარემ დაკარგა ინტერესი

<sup>83</sup> ბესარიონ ზოიძე, თამარ ზარანდია, მოძღვრება ვადის (დროის) სამართლებრივი ბუნების შესახებ, ჟურნალი „სამართალი“, 2003, გვ. 23-24.

<sup>84</sup> ბესარიონ ზოიძე, ვადის ცნება და სოციალური დახასიათება, გვ. 7.

შესრულებისადმი, შესრულების საჭიროებაც არ იარსებებს. საერთოდ კი, ნებისმიერი ვადა, ეს იქნება ზუსტად განსაზღვრული თუ ნავარაუდევ ვადა, უნდა იყოს გონივრული.

გონივრული ვადა იგივე ნავარაუდევ ვადაა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მასზე კანონმდებელი საუბრობს, საქმე გვაქვს კანონმდებლობით ნავარაუდევ ვადასთან. მისაწესრიგებელი ურთიერთობების ნაირგვარობისა და მათი ხშირი ცვალებადობის გამო, კანონს მოეთხოვება მეტი ელასტიურობა, და მის მიერ ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრული ვადა, შეიძლება ძალიან მალე შესაცვლელი იქნეს. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ დღევანდელი სამოქალაქო ბრუნვა განსხვავდება ძველისაგან დროში მოქმედებითაც, ის რაც ძველად შეიძლება შესრულებულიყო ერთ წელიწადში, ახლა შეიძლება ერთ დღეში შესრულდეს. ამდენად, შეიცვალა არა მხოლოდ ის გარემო, რომლის დროსაც შეიძლება მიღებულიყო ესა თუ ის ნორმა, არამედ დროის შეგრძნებაც არსებითად შეიცვალა. დროის დინამიკა დღეს გაცილებით უფრო სწრაფია, ვიდრე თუნდაც რამდენიმე წლის წინ. თანამედროვე სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციები მოსამართლეს უფლებამოსილებას ანიჭებს საკითხი გადაწყვიტოს არა მხოლოდ კანონის გრამატიკული განმარტების, არამედ ლოგიკური განმარტების საფუძველზე გონივრული არგუმენტების მიხედვით.<sup>85</sup> ამდენად, იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი ადგენს ვადებთან დაკავშირებით ტერმინებს: „გონივრული ვადა“, „დაუყოვნებლივი შესრულება“, „შესაბამის ვადაში“ და ა.შ. სახეზეა სასამართლოების მიერ კანონის განმარტების კომპეტენცია. განმარტების ზოგად პრინციპებთან ერთად, ვადების ინტერპრეტაციისას

<sup>85</sup> ლადო ჯანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის სიახლად ნაწილში, თბ., 1997, გვ. 109.

გამოიყენება სხვა დამატებითი კრიტერიუმებიც.

სამოქალაქო კოდექსი ხშირად იყენებს „გონივრულ ვადას“. 335-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ მეწარმე, რომელსაც უხდება სხვა პირთა საქმიანი ოპერაციების შესრულება, მიიღებს ოფერტს ამგვარი საქმეების შესრულებაზე იმ პირისაგან, რომელთანაც იმყოფება საქმიან კავშირში, მაშინ იგი ვალდებულია გონივრულ ვადაში უპასუხოს ამ წინადადებას; 356-ე მუხლი, რომელიც აწესრიგებს ხელშეკრულებიდან გასვლის ვადას, მეორე წინადადებაში იმპერატიულად მოითხოვს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის „ვადა უნდა იყოს გონივრული“; კოდექსის 399-ე მუხლის (უარი გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობებზე) მე-3 ნაწილის შესაბამისად, უფლებამოსილ პირს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე გონივრულ ვადაში მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება ხელშეკრულების მოშლის საფუძველი; 405-ე მუხლის (დამატებითი ვადის დაწესება ვალდებულების დარღვევისას) მეხუთე ნაწილით მოვალე უფლებამოსილია განუსაზღვროს კრედიტორს ხელშეკრულებაზე უარის თქმის გონივრული ვადა; 659-ე მუხლის მიხედვით კი, თუ მოგზაურობის მომწყობი არ აღმოფხვრის ხარვეზებს ტურისტის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, მაშინ ტურისტს შეუძლია თვითონ აღმოფხვრას ხარვეზები და მოითხოვოს მათზე გაწეული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება; მსგავსია კოდექსის 88ნ-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული გონივრული ვადა (გარანტიის ვალდებულება ბენეფიციარის მოთხოვნის მიღებისას).

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო სპეციალურად არ ადგენს „გონივრული ვადის“ სტანდარტს და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ახდენს იმის შეფასებას, ხომ არ მოხდა კონკრეტული პიროვნების საქმის განხილვის გაჭიანურება ან თუ ასეთს ადგილი ჰქონდა, იყო ეს თავად განმცხადებლის თუ სახელმწიფო

ორგანოების მიზებით. სასამართლო „გონივრულ ვადებს“ სამართალწარმოების ხანგრძლივობის შეფასებისათვის იყენებს. ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც კომისია და სასამართლო განიხილავენ საკითხს იმის შესახებ, აკმაყოფილებს თუ არა სამართალწარმოება „გონივრული ვადის“ სტანდარტს, არის შესაბამისი საქმის სირთულე; გზა, რომლითაც ხელისუფლების ორგანოებმა განიხილეს საქმე, თავად მოსარჩელის ქცევა, კერძოდ, საქმის გაჭინურება ხომ არ იყო თავად მოსარჩელის ბრალით. ასევე მხედველობაში მიიღება საქმის სხვა გარემოებანი, რომლებითაც შეიძლება გამართლებულ იქნეს სამართალწარმოების გაჭინურება.<sup>86</sup> საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაშიც ყოფილა შემთხვევები, როდესაც სასამართლოს უმსჯელია საპროცესო ვადის გონივრულობაზე,<sup>87</sup> ასე მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის ერთ-ერთ განჩინებაში (№3/327-01, 2001 წლის 21 მარტი, ქ. თბილისი) აღნიშნულია, რომ 5-დღიანი ვადა, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლომ დაუნიშნა მოპასუხეს, იყო არაგონივრული. „მართალია, საპროცესო ვადის დანიშვნა სასამართლოს (მოსამართლის) მიხედვებით უნდა გადაწყდეს, მაგრამ... 5 დღე საკაცაო სასამართლოსაც ამ შემთხვევაში არაგონივრულ ვადად მიაჩნა“.<sup>88</sup> „მართლმსაჯულება გონივრულ ვადაში უნდა განხორციელდეს“.<sup>89</sup> მსგავსი სტანდარტები ალბათ საინტერესოა „გონივრული ვადების“ არსის დასადგენად.

<sup>86</sup> იხ. ამისთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და მისი ოქმების სტანდარტებთან (ნ ა ნ ა მ ქ ე დ ლ ი ძ ე), ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა, 2005, გვ. 136-137.

<sup>87</sup> საპროცესო ვადებთან დაკავშირებით იხ. საქმის განხილვის გადადების და წარმოებით შეჩერების სამართლებრივი რეგულირება, მ ა რ ი ა მ ც ი ს კ ა ძ ე, თერგის ლილუაშვილის საიუბილეო კრებული, გვ. 273-287.

<sup>88</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, იელისი, 2001 წ. ბაკურ სულაკაურის გამოცემლობა. თბ., 2001 გვ. 701.

<sup>89</sup> ბესარიონ ზოიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 6.

## § 8. განმვადებელი, აღმკვეთი და დამატებითი ვადები

ქრთმანეთისაგან განასხვავებენ განმვადებელ და აღმკვეთ ვადებს. ზოგადად ვადა, როგორც მას ითვალისწინებს სამოქალაქო კანონმდებლობა, არის განმვადებელი, რადგან იგი ითვალისწინებს შესრულებას მომავალში. ამასთან, ვადა შეიძლება იყოს აღმკვეთიც. იგი ამოწურავს დროის გარკვეული მონაკვეთის შემდეგ შესასრულებელ ვალდებულებას.

აღმკვეთი ვადა სპობს ვალდებულებას, რადგან ამ ვადის დასრულებასთან (ამოწურვასთან) ერთად ილევ ვალდებულების შესრულების ვადა.

განმვადებელი ვადის შემთხვევაში კრედიტორს არ შეუძლია განახორციელოს რაიმე მოქმედებები მოვალის მიმართ, რადგან ვადა არ არის ამოწურული. ამასთან, მას შეუძლია განახორციელოს გამაფრთხილებელი მოქმედებანი.

მეტწილად განმვადებელია უფლების განხორციელებისათვის დადგენილი ვადები, ასე მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-ე მუხლის თანახმად, მოპასუხეს უფლება აქვს აღძრას შეგებებული სარჩელი საქმის მოშზადების დამთავრებამდე<sup>90</sup> ამ ვადის გაშვების შემდეგ „მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული სარჩელი სასამართლო პექრობის დამთავრებამდე, თუ სასამართლო საპატოოდ მიიჩნევს ვადის გაშვებას“<sup>90</sup>. ვალდებულება განმვადებელი ვადით არის უკვე არსებული ვალდებულება, რომლის შესრულებაც კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ გარკვეული დღის

<sup>90</sup> იხ. ამასთან დაკავშირებით თენგიზ ლილუაშვილი, სამოქალაქო საქმეთა წარჩიება სასამართლოში, გამომცემლობა „ჯისიანი“, თბ., 2001.

დადგომის შემდეგ. „ის, რაც ექვემდებარება გადახდას განსაზღვრულ დროს, – ამბობს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1186-ე მუხლი, არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ამ ვადაზე ადრე“.<sup>91</sup>

ნებისმიერი სამომავლო მოვლენა ან ზუსტი თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მიერ, შეიძლება აღებულ იქნას ხელშეკრულების საწყის წერტილად, ან მისი ამოწურვის თარიღად: პირველ შემთხვევაში სახეზეა განმვადებელი ვადა, მეორე შემთხვევაში კი აღმკვეთი.<sup>92</sup> ზოგ შემთხვევაში ხელშეკრულება შეიცავს ორივე მათგანს, ასე მაგალითად, ხელშეკრულების დადება 1 აგვისტოდან (განმვადებელი ვადა) 31 აგვისტომდე (აღმკვეთი ვადა). ხშირად ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილ-ნაწილ შესრულებას. მაგალითად, განვადებით ნასყიდობის შემთხვევაში საგნის გადაცემა ხდება დაუყოვნებლივ, ხოლო გადახდა კი განაწილებულია დროის განსაზღვრულ მონაკვეთზე. ამ შემთხვევაში შეიძლება საუბარი რამოდენიმე განმვადებელ ვადაზე – ვალდებულების თითოეული ნაწილის შესრულებისათვის. ან კიდევ, მაგალითად, როდესაც იჯარაზე ვსაუბრობთ, იჯარის გამცემის ვალდებულება გრძელდება მხოლოდ აღმკვეთ ვადაზე, ხოლო ქირაუნობისას კი – დამქირავებლის ვალდებულება გადაიხადოს ქირა, განაწილებულია თვეებად ან კვარტალებად, იმის მიხედვით, თუ როგორ არის ეს მოლაპარაკებული მხარეებს შორის.

განმვადებელი ვადა მიზნად ისახავს დააზუსტოს მომავალი თარიღი, თუ როდის შესრულდება ხელშეკრულებაში შეტანილი ვალდებულება. განმვადებელ ვადას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოვალე ვალდებულია მხოლოდ ამ ვადის დადგომის შემდეგ შეასრულოს

<sup>91</sup> Л. Жуллино де ла Морандьер, დასახ. ნაშრ., გვ. 622.

<sup>92</sup> Alan Bénabent, Droit civil, les obligations, Quatrième édition, Montchrestien, Paris, 1994, გვ. 154.

ვალდებულება. ფრანგული სამართალი იცნობს ასევე რეტროაქტიურ ვადას, როდესაც მხარეები შეთანხმდებიან, რომ მათი ხელშეკრულება იყოს ჩათვლილი ისე, თითქოს მან დაიწყო მოქმედება ხელშეკრულების დადებამდე. მაგალითად, 18 თებერვალს დადებული ხელშეკრულება ჩაითვალოს ძალაში 1 იანვრიდან.<sup>93</sup> ამასთან, ასეთ ხელშეკრულებას არა აქვს იურიდიული ძალა მესამე პირთათვის, თვით მხარეთათვის კი – იგი საეჭვოა.

ვალდებულების შესრულების ვადებთან მჭიდრო კავშირშია დამატებითი ვადები, რომელიც ასევე შედის მხარეთა ინტერესში. უნდა აღინიშნოს, რომ დამატებითი ვადის ინსტიტუტის არსებობით ხაზგასმულია, რომ ქართული სამოქალაქო სამართალი შესრულებაზე ორიენტირებული სამართალია და მისი უმთავრესი მიზანი ვალდებულების შესრულებაა, და არა მოვალის პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის. ამის დასტურია სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლი, რომელიც ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში იმპერატიულად არ აყენებს ზიანის ანაზღაურების მოვალეობას და მართალია, მუხლის სახელწოდებაა „ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას“ – ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას მუხლის მხოლოდ პირველი ნაწილი ითვალისწინებს. მუხლის მეორე ნაწილი სწორედ დამატებითი ვადის განსაზღვრაზე საუბრობს. ვალდებულების სათანადო დროს შეუსრულებლობის შემთხვევაშიც კი დამატებითი საშეღავათო ვადის დანიშვნით, მოვალეს ეძლევა შესაძლებლობა შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. თავად ამ ვადის ხანგრძლივობა დამოკიდებულია დარღვეული ვალდებულების

<sup>93</sup> იქვე.

ხასიათზე და იგი საკმარისი უნდა იყოს შესასრულებლად.<sup>94</sup> დამატებითი ვადის უშედეგოდ ამოწურვის შემდეგ, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. თუმცა, როგორც დავინახეთ, დამატებითი ვადის დანიშვნა მხოლოდ ალტერნატივაა, რომელიც კრედიტორს შეუძლია არც გამოიყენოს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც კრედიტორისათვის მნიშვნელოვანია შესრულება და სწორედ ამიტომ მიღის იგი ამ დათმობაზე და განსაზღვრავს შესრულების დამატებით ვადას, რითაც საშუალებას აძლევს მოვალეს შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. ამასთან, დამატებითი ვადის განსაზღვრისას კრედიტორი უნდა იმედოვნებდეს, რომ ვალდებულება შესრულდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთი ვადის დადგენა თავიდანვე აზრს მოკლებულია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (№3-319, 10 მარტი 2000 წელი, ქ. თბილისი) მიუთითებს, რომ, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის ვალდებულების შესრულებისათვის დამატებით განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გავიდა... საქმის მასალებით დადგენილია, რომ ა. ლორიამ უარი თქვა ხელშეკრულებაზე, ვინაიდან ზ.ურუშაძემ ვალდებულების შესრულებისათვის დამატებით განსაზღვრულ

<sup>94</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე (ბენსარიონ ზოიძე), თბ., 2001, გვ. 379.

ვადამი ვერ შეძლო ხელშეკრულების შესრულება.<sup>95</sup>

დამატებითი ვადები ხშირად არ შეესაბამება მხარეთა საერთო ინტერესებს, მაგრამ სამართლიანად არის მიჩნეული. გადახდის-უუნარო მოვალეს, რომელსაც დაუყოვნებელი შესრულების უნარი არ გააჩნია, უნდა მიეცეს გადავადება, მთლიანი ვალდებულების დაუყოვნებელი დაფარვის მოთხოვნის ნაცვლად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §242 საშუალებას აძლევს სასამართლოს ასეთი დამატებითი ვადა დაადგინოს კრედიტორის ნების საწინააღმდეგოდ.<sup>96</sup>

ფრანგულ სამართალში დამატებითი ვადის დადგენის უფლება აქვს მოსამართლეს. ამგვარი ვადის არსებობას ფრანგული ცივილისტიკა უკავშირებს ეგრეთ წოდებულ „ზომიერი ვადის“ ცნებას, რომელსაც ვალდებულების შესასრულებლად ადგენდა მოსამართლე. მაშინაც კი, როდესაც ვალდებულების შესრულების ვადა მხარეებს შორისაა შეთანხმებული, მოსამართლეს შეუძლია მისი შეცვლა, საშუავათო-დამატებითი ვადის დადგენით, თუმცა, ასეთი უფლების გამოყენება ხდება გამონაკლისის სახით. ფრანგულ სამართალში ასეთი დამატებითი ვადის მაქსიმალური ხანგრძლივობა ორი წელია. ამასთან, ეს ვადა აითვლება სასამართლოს გადაწყვეტილებიდან და ამდენად მისი მოქმედება ხანგრძლივდება ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტამდე.<sup>97</sup>

<sup>95</sup> საქართველოს უსენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი, ნაწილი I, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, 2000, №6, გვ. 256.

<sup>96</sup> Josef Esser, Elke Schmidt, დასახ. ნაშრ., გვ. 223.

<sup>97</sup> Peter Gauch, Walter R.Schluper, Pierre Tercier, დასახ. ნაშრ., გვ. 25

## § 9. ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულება

სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრულ ვადებთან ერთად ფართოდ ითვალისწინებს განუსაზღვრელ ვადებსაც, რომელთა დადგენისას ხშირად გამოიყენება ტერმინები: „დაუყოვნებლივ“, „მაშინვე“, „შესაბამის ვადაში“, „ნებისმიერ დროს“, „გონივრულ ვადაში“ და სხვ. იმდენად, რამდენადაც ამ ნორმებით მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ამ ტერმინების შინაარსობრივი მნიშვნელობის გარკვევა და ვადების გამოთვლის სწორი წესის დადგენა აუცილებელია, მით უფრო, რომ კოდექსი განმარტავს მხოლოდ ისეთი ვადების გამოთვლის წესებს, რომელთაც დინების დასაწყისი მხარეებს განსაზღვრული აქვთ.

ჩვეულებრივ, ვალდებულება უნდა შესრულდეს დაუყოვნებლივ: გაყიდვის შემთხვევაში, მაგალითად საფასური გადახდილი უნდა იქნეს იმავედროულად, როდესაც ნივთი შემძენს გადაეცემა.<sup>97</sup>

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ტერმინი დაუყოვნებლივ განმარტებულია როგორც „რაც არ დაუგვიანებიათ, მაშინვე, დაუგვიანებლად, დაუყოვნებლივ შეუდგება საქმეს – დაუყოვნებლივ გაემგზავრება“,<sup>98</sup> ქართულ სინონიმთა ლექსიკონში – როგორც სასწრაფო.<sup>99</sup> ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი იძლევა ტერმინ immediate-ს შემდეგ განმარტებას: უშუალო, პირდაპირი, გადაუდებელი, გადადების გარეშე, დაუყოვნებელი; უახლესი.<sup>100</sup>

ნებისმიერ შემთხვევაში ხელშეკრულების არსებობისას აუცილებელია მხარეთა ურთიერთსაპირისპირო ინტერესების შეხამება. როგორც წესი, თუ ვალდებულების შესრულების დრო წინასწარ

<sup>97</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომიანი, თბ., 1986, გვ. 196.

<sup>98</sup> აღექსანდრე ნეიშანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 169.

<sup>100</sup> დავით წულაია, ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2005, გვ. 443.

განსაზღვრული არ არის, არსებობს დაუყოვნებლივი შესრულების მოთხოვნის უფლება.<sup>101</sup> „თუ ვალდებულების შესრულების დრო წინასწარ არ არის განსაზღვრული, მაშინ კრედიტორს შეუძლია წაუყენოს ვალდებულების შესრულების მოთხოვნა და მაშინვე მოითხოვოს შესრულება. ამდენად, იგი ფლობს დაუყოვნებელი შესრულების მოთხოვნის უფლებას, როგორც ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის ძირითად პრინციპს“.<sup>101</sup> შეიძლება ითქვას, რომ მოვალისათვის უფრო ხელსაყრელია ვალდებულების შესრულების დროის წინასწარი დადგენა, ამ შემთხვევაში ის აიცილებდა ვალდებულების დაუყოვნებელი შესრულების შესაძლებელ მოთხოვნას. გერმანული კანონმდებლობის მსგავსად არის გადაჭრილი ეს საკითხი ქართულ სამოქალაქო კოდექსშიც, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლი ითვალისწინებს ვალდებულების შესრულებას შესრულების ვადისათვის განსაზღვრული ვადის არარსებობისას: „თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს.“

ტერმინი „ნებისმიერ დროს“ არ აღგენს რაიმე კონკრეტულ ვადას, იგი კრედიტორს უტოვებს შესაძლებლობას მისი სურვილისამებრ აირჩიოს შესრულების დრო.

ამდენად, განუსაზღვრელვადიანი ვალდებულებების შემთხვევაში ვალდებულება უნდა შესრულდეს დაუყოვნებლივ – კრედიტორის მხრიდან მოვალისათვის შესრულების მოთხოვნის წაყენების

<sup>101</sup> Josef Esser, Eike Schmidt, Schuldrecht, 65. Aufl., S. 222.

მომენტიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვალე ჩაითვლება შესრულების ვადის გადამცილებლად.

ფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებელი, საუბრობს კრედიტორის უფლებაზე, ნებისმიერ დროს მოითხოვოს შესრულება – გულისხმობს მოვალის შესაბამის ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შეასრულოს იგი, ხოლო მეორე ფრაზა საუბრობს მოვალის დამოუკიდებელ უფლებაზე, სურვილის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეასრულოს ვალდებულება.

როგორც ჩანს, კრედიტორის მხრიდან შესაბამისი მოთხოვნის არარსებობისას მოვალის შესაძლებლობა დაუყოვნებლივ განახორციელოს შესრულება სხვას არაფერს უნდა ნიშნავდეს თუ არა გადადების, გადავადების გარეშე, მაშინვე შესრულებას. „დაუყოვნებელი შესრულება გულისხმობს მოვალის უშუალო რეაქციას. მან იმდენად ჩქარა უნდა იმოქმედოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია ობიექტური მასშტაბების მიხედვით, კერძოდ, საჭიროა, რომ მოვალე საამისოდ მოემზადოს, რათა შესრულება განხორციელდეს“.<sup>102</sup>

კოდექსის 367-ე მუხლში საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ვალდებულების შესრულებისათვის მოვალის სასარგებლოდ განსაზღვრულია რაიმე ვადა. ეს ვადა შეიძლება იყოს როგორც კანონისმიერი, ისე სახელშეკრულებო. ამ დროს, თუკი მოვალე გადახდისუუნარო გახდა ან შეამცირა შეპირებული უზრუნველყოფა, ან საერთოდ ვერ წარმოადგინა ეს უკანასკნელი – კრედიტორს შეუძლია დაუყოვნებლივ მოითხოვოს შესრულება. ეს კანონის დისპოზიციური ნორმაა, რადგანაც კრედიტორს შეუძლია ასევე არ მოითხოვოს შესრულება. ნორმა მხოლოდ დაუყოვნებლივი მოთხოვნის

<sup>102</sup> საქართველოს საოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მესამე (ბესარიონ ზოიძე), გამომცემლობა სამართალი, თბ., 2001, გვ. 291.

უფლებას აძლევს კრედიტორს. როგორ უნდა გავიგოთ ტერმინი დაუყოვნებლივ ამ კონკრეტულ შემთხვევაში? როგორც ჩანს, იმ მომენტიდან, როდესაც კრედიტორისათვის ცნობილი გახდა მოვალის გადახდისუუნარობის ან სხვა ამ მუხლში აღწერილი გარემოებების თაობაზე, მას ეხსნება გზა მოსთხოვოს მოვალეს ვალდებულების შესრულება. სავარაუდოა, რომ იმ მომენტიდან, რაც კრედიტორისათვის ცნობილი გახდა ამ გარემოებების თაობაზე, მას ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს შესრულება. თავისთავად აღნიშნულ მუხლში აღწერილი გარემოებების შემთხვევაში, კრედიტორს მოვალისადმი მოთხოვნის წაყენების უფლება ეძლევა და ტერმინი დაუყოვნებლივ მხოლოდ ხაზს უსვამს კრედიტორის შესაძლებლობას გადაუდებლად განახორციელოს ეს ქმედება. ტერმინი დაუყოვნებლივ, რომელიც ამ შემთხვევაში გამოყენებულია დაუყოვნებელი მოთხოვნის კონტექსტში, ვრცელდება როგორც მოთხოვნის უფლებაზე, ისე შესრულების ვალდებულებაზე. ამდენად, დაუყოვნებლივი მოთხოვნის უფლება გულისხმობს დაუყოვნებლივ შესრულების ვალდებულებას. დაუყოვნებელი შესრულების მოთხოვნის წაყენებას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მას მოყვება ასევე დაუგვიანებელი შესრულება. ამიტომაცაა, რომ იგი უნდა განვიხილოთ როგორც ერთი მოვლენის შემადგენელი ორი ნაწილი, როცა დაუყოვნებლივი მოთხოვნის უფლებას შედეგად მოსდევს დაუყოვნებლივ შესრულების ვალდებულება.

სამოქალაქო კოდექსის დასახელებული მუხლიდან ჩანს, რომ როდესაც ვალდებულების შესრულების ვადა განსაზღვრული არ არის, კრედიტორს აქვს ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულების მოთხოვნის უფლება და შესაბამისად ვალდებულების შესრულების სათანადო დროდ უნდა მივიჩნიოთ დროის მონაკვეთი, რომელიც უშუალოდ მოსდევს ვალდებულების წარმოშობას კრედიტორის მიერ

შესრულების მოთხოვნის მომენტამდე, მოვალე, რომელიც კრედიტორის შეხსენების გარეშე ნებისმიერ დროს ასრულებს ვალდებულებას მისი გაჩენის მომენტიდან, ივარაუდება, რომ ამ ვალდებულებას ასრულებს სათანადო დროს. ამასთან, იქედან გამომდინარე, რომ კრედიტორს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მოითხოვოს შესრულება, გულისხმობს იმას, რომ მოვალე ვალდებულია განახორციელოს შესრულება, შეხსენებამდე ან საამისოდ მზად იყოს ვალდებულების გაჩენის მომენტიდან. ამასთან, უნდა ითქვას, რომ დაუყოვნებელი შესრულება ყოველთვის დროის მცირე მონაკვეთში ცხადია ვერ განხორციელდება. ზოგიერთი ვალდებულების შესასრულებლად, თავად ამ ვალდებულების ბუნებიდან გამომდინარე, აუცილებელია გარკვეული დრო (მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულება), ზოგ მათგანს სჭირდება საგანგებო მომზადება (მაგალითად, შესრულების საგნის გაგზავნა შესრულების ადგილზე). ზოგ შემთხვევაში ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია კრედიტორის მხრიდან გარკვეული მოქმედებების განხორციელებაზე. ამდენად, შეუძლებელია შემუშავდეს რაიმე ერთიანი სტანდარტი ამ მუხლით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევისათვის. ყოველ კონკრეტულ ვითარებაში ვალდებულების შესრულებისათვის მოვალეს უნდა მიეცეს საკმარისი ვადა, რაც გამორიცხავს შესრულების შეუძლებლობას.

მხარეთა შეთანხმებით, ვალდებულების შესრულების ვადას ზოგჯერ ადგენს თავად კრედიტორი. ამ შემთხვევაში კრედიტორი კარგავს დაუყოვნებელი მოთხოვნის უფლებას. მაგალითად, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ვალდებულების შესრულებისათვის რაიმე ვადა არ დაწესდება და მოვალე შეასრულებს ვალდებულებას „შეძლებისდაგვარად“ ან „პირველი შესაძლებლობისთანავე“. ამდენად, ამ შემთხვევაშიც ვალდებულების შესრულების ვადა განუსაზღვრელია, მაგრამ

შეთანხმების ძალით, კრედიტორმა უარი თქვა დაუყოვნებელი შესრულების მოთხოვნის უფლებაზე. სამოქალაქო კოდექსის 1488-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მამკვიდრებლის კრედიტორებმა ექვსი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც მათთვის ცნობილი გახდა სამკვიდროს გახსნის შესახებ, უნდა წარუდგინონ მოთხოვნა მემკვიდრეებს, რომლებმაც მიიღეს სამკვიდრო, მოთხოვნის ვადის დადგომის მიუხედავად“.<sup>103</sup> შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ საუბარია იმ შემთხვევებზეც, როდესაც ვალდებულების შესრულების ვადის არჩევანი მოვალეზეა. თუ მამკვიდრებელმა თავის სიცოცხლეში ვალდებულება არ შეასრულა, შესრულების ვალდებულება გადადის მემკვიდრეებზე. ამასთან, კანონმდებელი აღნიშნული მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით აწესებს განსხვავებულ ვადებს იმ შემთხვევისათვის, როდესაც კრედიტორისათვის ცნობილი იყო სამკვიდროს გახსნის შესახებ და იმ შემთხვევისათვის, როცა ამის თაობაზე მან არ იცოდა.

კოდექსის 330-ე მუხლით გათვალისწინებული ტერმინის „მაშინვე“ მიმართება საინტერესოა ტერმინ „დაუყოვნებლივთან“. დასახელებულ მუხლში საუბარია თანამყოფი და არათანამყოფი პირებისათვის გაკეთებულ ოფერტზე, ამდენად, აქ საორგანიზაციო ვადებთან გვაქვს საქმე. მუხლის პირველი ნაწილი იმპერატიულად გვეუბნება, რომ პასუხი თანამყოფი პირებისათვის გაკეთებულ ოფერტზე მაშინვე უნდა იქნეს მიღებული. როგორც ამ ტერმინს განსაზღვრავს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, „მაშინვე – იმ წამსვე, იმავე დროს, დაუძახეს თუ არა მ. გამოიხედა“.<sup>104</sup>

<sup>103</sup> სამკვიდროს გახსნის ვადებთან დაკავშირებით იხ. სასამართლო პრაქტიკის კომენტარი სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალში (ეკა ზარნაძე), გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2003, გვ. 111-118.

<sup>104</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, გვ. 285.

ტერმინ დაუყოვნებლივში ყველაზე მნიშვნელოვანია დაყოვნების, ანუ დაგვიანების არარსებობა, რაც თავის მხრივ ნიშნავს იმას, რომ შედეგიც დაუგვიანებლად დადგება. ამ შემთხვევაში არსებითია მოქმედების იმწუთიერობა, მაგალითად, ა-მ ბ-ს გადახდის უნარობის შესახებ შეიტყო ღამის 2 საათზე და მას სურს განახორციელოს საკუთარი უფლება – დაუყოვნებლივ მოითხოვოს შესრულება. ეს არ გულისხმობს მოქმედების იმწუთიერად განხორციელებას. კრედიტორს შეუძლია გამოიყენოს პირველი ობიექტური შესაძლებლობა და მეორე დილას, მაგრამ დაუგვიანებლივ განახორციელოს ეს უფლება. ტერმინ მაშინათვეს შემთხვევაში კი, როგორც აღინიშნა, არსებითია იმწუთიერობა. მაგალითად, თანყოფი პირების შემთხვევაში აქცეპტი ოფერტზე უნდა შესრულდეს იმ მომენტამდე, ვიდრე ოფერენტსა და აქცეპტანტს შორის არის ურთიერთობის საშუალება, ანუ ობიექტურად ისინი იმყოფებიან პირისპირ.

სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მყიდველი მეწარმეა, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი. ამდენად, ეს ვალდებულება შეიძლება განვიხილოთ როგორც ამ მოქმედების ობიექტურად შემჭიდროვებულ ვადაში - დაგვიანების გარეშე განხორციელების მოვალეობა და არა როგორც იმწუთიერი ვალდებულება.

მეწარმე რომ ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი, სწორედ ამას უკავშირებს კანონი შემდგომში ნივთის ნაკლის გამო პრეტენზიის წარდგენის შესაძლებლობას. კანონით ეს ვადა განისაზღვრება „ნივთის ნაკლის აღმოჩენიდან შესაბამისი ვადით“ ან „იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნივთის ნაკლის არსებობა“ და ამ ვადის ათვლა იწყება მეწარმის მიერ ნივთის „დაუყოვნებლივ“ შემოწმების და ნაკლის

აღმოჩენის მომენტიდან. ამდენად, ამ მუხლის მიხედვით სავარაუდოა, რომ გამოთქმა „დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი“ უნდა გულისხმობდეს ნივთის შემოწმებას დროის მაქსიმალურად შეზღუდულ შუალედში, პირველივე შესაძლებლობისთანავე. როგორც ჩანს, აქ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სუბიექტური ფაქტორი, არამედ ობიექტური გარემოებანიც. როდესაც კანონი საუბრობს ვადაზე, რომლის განმავლობაშიც მეწარმისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ნივთის ნაკლის არსებობა, სავარაუდოა, რომ აქ იგულისხმება ობიექტური ფაქტორი, ესე იგი ვადა, რომლის განმავლობაშიც მეწარმეს ობიექტურად უნდა მიეღო ნივთის ნაკლის შესახებ მონაცემები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ტერმინი „დაუყოვნებლივ“ აუცილებლად გულისხმობს შედეგთან კავშირს, ვინაიდანაც დაყოვნების შედეგი სწორედ ისეთია, რასაც ვადის გადაცილების შემდეგ აქვს ადგილი. ამდენად თუ პირს ევალებოდა დაუყოვნებელი მოქმედება და მან ეს არ განახორციელა, სასწრაფო ვადის გადაცილება ყველა თავისი შედეგით.<sup>105</sup>

ეს ვარაუდი დასტურდება სამოქალაქო კოდექსის 543-ე მუხლითაც, სადაც საუბარია დამქირავებლის მოვალეობაზე რიგი გარემოებების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს გამქირავებელს. ხოლო 567-ე მუხლში საუბარია იმ შემთხვევებზე, როდესაც „დამქირავებელი ქირავნობის ურთიერთობის დამთავრების შემდეგ უკან არ აბრუნებს გაქირავებულ ნივთს, მაშინ დამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს დაყოვნების განმავლობაში დადგენილი ქირის გადახდა, როგორც ზიანის ანაზღაურება.“ ამ ნორმიდან აშკარაა, რომ დაყოვნება აქ გამოყენებულია დაგვიანების, ვადის გადაცილების მნიშვნელობით.

<sup>105</sup> Karl Larenz, Lehrbuch Des Schuldrechts, „München“, 1987, გვ. 347.

სამოქალაქო კოდექსის 627-ე მუხლი საუბრობს ვალის დაუყოვნებლივ მოთხოვნის უფლებაზე. „გამსესხებელს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესდება, რითაც საფრთხე შეექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას“. „სესხის დაუყოვნებლივ დაბრუნების მოთხოვნის უფლების განხორციელების დროს არა აქვს მნიშვნელობა იმას, ხელშეკრულებაში მისი დაბრუნების ვადა მხარეებს შორის განსაზღვრული იყო თუ არა“.<sup>106</sup> უნდა ითქვას, რომ ამ მუხლში აღწერილი დაუყოვნებელი შესრულების უფლება მსგავსია 367-ე მუხლში მოხსენიებული დაუყოვნებელი შესრულების უფლებიან, რადგანაც კანონმდებელი ადგენს რიგ გარემოებებს, რომლებიც შემდგომ ხდება საფუძველი ვალდებულების ამგვარად შესრულებისა. თუ საზოგადოდ ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით ეს გარემოებებია მოვალის გადახდის უუნარობა ან შეპირებული უზრუნველყოფის შეწყობა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კანონმდებელი საუბრობს მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის არსებით გაუარესებაზე, რითაც საფრთხე ექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას. ეს უფლება მაშინაც არსებობს თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება წინ უსწრებდა ხელშეკრულების დადებას და გამსესხებლისათვის იგი ცნობილი გახდა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ.

კანონმდებლობა ბევრგან საუბრობს პირის დაუყოვნებელი მოქმედების ვალდებულებაზე, ასე მაგალითად: „ვალდებულმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს უპირატესი შესყიდვის უფლების მქონეს იმ ხელშეკრულების შინაარსი, რომლის დადებასაც ის აპირებს

<sup>106</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეთოხე, ტომი I (რომან შენგელია), თბ., გამომცემლობა „სამართალი“, 2001, გვ. 235.

მესამე პირებთან” (517-ე მუხლის პირველი ნაწილი); „ მიხსლოებითი ზარჯთაღრიცხვის ისეთი გაზრდის შესახებ, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი იყო ხელშეკრულების დადებისას, მენარდემ დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს შემკვეთს” (631-ე მუხლის მე-2 ნაწილი); „თუ ზიანის შესახებ შეტყობინება ეგზავნება ექსპედიტორს, მაშინ იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს შეტყობინება მზღვეველს ან მზღვეველებს” (736-ე მუხლის მეორე წინადადება); „თუ საქონელი, რომელიც შესანახად გადაეცა შემნახველს, გადაცემისას დაზიანებული ან დაუკომპლექტებელი აღმოჩნდება, რაც გარეგნული დათვალიერებითაც შესამჩნევია, მაშინ შემნახველი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ამის თაობაზე მიმბარებელს (782-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადება); შემნახველი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს მიმბარებელს, თუ იგი შესანახად მიბარებულ საქონელს გადაიტანს სხვა საწყობში...“ (784-ე მუხლის პირველი წინადადება) და სხვ. ვალდებული პირის მსგავსი დაუყოვნებელი მოქმედების ვალდებულება ხშირად ნორმატიულადაა განმტკიცებული საჯარო-სამართლებრივ აქტებშიც. ასე მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლება-შეზღუდული პირის... დაუყოვნებლივ გათავისუფლების ვალდებულებას. როგორც ჩანს, ამ ტერმინის შინაარსობრივი დატვირთვა ამ შემთხვევაში მსგავსია სამოქალაქო სამართალში არსებულისა და ნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომელიც მსწრაფლ უნდა განხორციელდეს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს დაუყოვნებელი მოქმედების შემთხვევას აუცილებელ მოგერიებასთან დაკავშირებით (28-ე მუხლის მე-3 ნაწილი), რომელშიაც, როგორც

ჩანს, ტერმინი „დაუყოვნებლივ“ გამოყენებულია იმწუთიერი მოქმედების მნიშვნელობით, დაყოვნების, დროის დაკარგვის გარეშე.

სისხლის სამართლის კოდექსი ხშირად იყენებს ტერმინ „დროულს“ (მუხლი 215-ე, მუხლი 322-ე), რომელიც, როგორც ამ მუხლების ანალიზიდან ჩანს გულისხმობს მოქმედებას, რომელიც თავის მხრივ შეიძლება განხორციელდეს როგორც იმწუთიერად, ისე გარკვეული დროის შემდეგ, მაგრამ დაგვიანების გარეშე – დროულად. შეიძლება დავასკვნათ, რომ დაუყოვნებელი მოქმედება პირის ვალდებულებაა დაგვიანებისა და დაყოვნების გარეშე განხორციელოს მოქმედება – ობიექტურად პირველი შესაძლებლობისთანავე. „დაუყოვნებლივ მოქმედებს მხოლოდ ის, ვინც გარკვეული, ობიექტურად საჭირო დროის ფარგლებში მოქმედებს ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად“.<sup>107</sup>

## § 10. ვადამდელი შესრულება

ვიდრე ვალდებულების შესრულების ვადა არ დამდგარა, ვალდებულება არ არის შესასრულებელი, ამდენად ვალდებულების შესრულების მოთხოვნა ამ ვადის დადგომამდე დაუშვებელია. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი ასევე განამტკიცებს ვალდებულების „დათქმულ დროში“ შესრულების პრინციპს. ეს წესი ზოგადია ყველა ვალდებულებისათვის და გამოიყენება იმისდა

<sup>107</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე (ბესარიონ ზოიძე), გამომცემლობა სამართალი, თბ., 2002, გვ. 291.

მიუხედავად, თუ რა საფუძველზე წარმოიშვა ვალდებულება. უდავოა, რომ ვალდებულების შესასრულებლად ვადის განსაზღვრისას კრედიტორი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს შესრულების განხორციელება ამ ვადის ამოწურვამდე. მაგრამ ამ წესიდან, მხარეთა ნამდვილი ნების გათვალისწინებით შეიძლება დაწესდეს გამონაკლისიც. კერძოდ, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო რაიმე უზრუნველყოფა, რომელიც მოვალემ ვერ წარმოადგინა, ან შეამცირა იგი, ან გახდა გადახდისუუნარო, ასეთ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსის 367-ე მუხლი საუბრობს შესრულების დაუყოვნებლივ მოთხოვნის უფლებაზე, რასაც შედეგად მოსდევს მოვალის ვალდებულება, განხორციელოს შესრულება ვადამდე. სწორედ მოვალის მიერ შეპირებული უზრუნველყოფის შემცირება ან მისი წარმოუდგენლობა შესაბამისად არაარად აქცევს ვადის თაობაზე ხელშეკრულებაში არსებულ შეთანხმებას. სწორედ ამიტომაც, რომ კრედიტორს ამ შემთხვევაში აქვს დაუყოვნებელი შესრულების მოთხოვნის უფლება.

ამასთან, მოვალისათვის ვალდებულების შესასრულებლად გარკვეული ვადის დადგენა ემყარება იმის ვარაუდს, რომ მოვალეს ამ ვალდებულების შესასრულებლად სჭირდება გარკვეული დრო. ამდენად, ვინაიდანაც მოვალისათვისაა ეს დადგენილი, მას შეუძლია არ დაელოდოს ამ ვადის დადგომას და ვადამდე შეასრულოს ვალდებულება.<sup>108</sup> მოვალე, ცხადია, კარგავს ამ უფლებას, თუ ვადა ხელშეკრულებაში კრედიტორის სასარგებლოდ იყო ჩადებული. ამ

<sup>108</sup> ყრანგული სამართალი მოვალის მხრიდან ვადამდელი შესრულების განხორციელების უფლებას უკავშირებს იმას, რომ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1187-ე მუხლის თანახმად, ვადის დადგენა მოვალის სასარგებლოდ ხდება და სწორედ ამას უკავშირდება მოვალის უფლება ვადაზე ცალმხრივად თქვას უარი. იხ. *Жюлино де ла Морандьер*, *დასახ ნაშრ*, გვ. 623.

შემთხვევაში მოვალის მოთხოვნით ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელება, შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ამას საჭიროდ ჩათვლის კრედიტორი. მოვალის ცალმხრივი უფლება ვადაძლე შეასრულოს ვალდებულება, სამოქალაქო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, მაშინაა, თუკი პატივსაცემი მიზეზით კრედიტორი უარს არ იტყვის შესრულების მიღებაზე. ამდენად, ვადაძლე შესრულების უფლება ვერ განხორციელდება, თუ კრედიტორი უფლებამოსილია უარი თქვას მასზე. თუკი კრედიტორი უარს ამბობს შესრულების მიღებაზე, ხოლო მოვალე მინც ასრულებს ვალდებულებას, შესრულება ვერ ჩაითვლება განხორციელებულად. მაგრამ თუ კრედიტორი მიიღებს შესრულებას, ივარაუდება, რომ მან შესრულების მიღებაზე უარის თქმის უფლება არ გამოიყენა და ამდენად, ვალდებულება ითვლება შესრულებულად. ამასთან, კანონმდებლობა ღუმილით უვლის გვერდს საკითხს, შეიძლება თუ არა მოვალემ უკან გამოითხოვოს ვადაძლე განხორციელებული შესრულება. ვფიქრობთ, რომ ვადაძლე შესრულება, რომლის მიღებაზეც კრედიტორმა თანხმობა განაცხადა, არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენებდა მას, თუ იარსებებდა მოვალის უფლება უკან გამოეთხოვა იგი. მართალია, კანონმდებლობა ამ საკითხს ღიად ტოვებს, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობიდან გამომდინარე, მოვალის მხრიდან ვადაძლეული შესრულების უკან გამოთხოვის უფლებას სამოქალაქო კოდექსი არ აღიარებს. თუმცა, მოვალის უფლება, უკან მოითხოვოს უკვე განხორციელებული შესრულება, ალბათ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან არ იცოდა, რომ ვალდებულების შესრულება ხორციელდებოდა ვადაძლე და ვადა ჯერ არ იყო დამდგარი. ამავე აზრს ავითარებს პროფესორი რომან შენგელია

თავის ნაშრომში „კონდიქციურ ვალდებულებათა საფუძვლები“. ავტორი ეხება რამოდენიმე შემთხვევას, როდესაც დაუშვებელია მიღებული ქონების დაბრუნება. ასეთ ქონების ერთ-ერთ სახედ ავტორი მიიჩნევს ქონებას, რომელიც გადაცემულია ვალდებულების შესასრულებლად შესრულების ვადაზე ადრე. აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით, მოვალე ვადაზე ადრე გადასცემს, ხოლო კრედიტორი იღებს ქონებას, რომლის გადაცემაც ვალდებულებითაა განსაზღვრული. ფაქტობრივად ვალდებულება შესრულებულია ვადაზე ადრე. საერთო წესის მიხედვით, მოვალეს უფლება აქვს ვალდებულება შეასრულოს ვადაზე ადრე, თუ სხვა რაიმე არ გამოძინარეობს კანონის, ხელშეკრულების ან ვალდებულების შინაარსიდან.<sup>109</sup>

ცალკეულ შემთხვევებში ვადაზე შესრულების დაუშვებლობა შეიძლება თვით ვალდებულებითი ურთიერთობის ბუნებიდან გამომდინარეობდეს. როგორც წესი, სესხის ვადაზე დაბრუნებისას კრედიტორი არაა უფლებამოსილი უარი თქვას მის მიღებაზე. მაგრამ თუკი სესხი პროცენტია, მაშინ კრედიტორი დაინტერესებული არ იქნება ვადაზე მიიღოს იგი და უარის თქმის სამართლიანი საფუძველიც იარსებებს.<sup>110</sup> ამის დასტურია სამოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლი, რომელიც საუბრობს ხელშეკრულების შეწყვეტასა და ვალის დაბრუნებაზე. ამ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად: „ხელშეკრულების შეწყვეტის ვადა შეადგენს სამ თვეს. თუ პროცენტები არ არის შეპირებული, მოვალეს შეუძლია ვალი დააბრუნოს ვადაზე. პროცენტია სესხის ვადაზე დაბრუნება დასაშვებია მხოლოდ

<sup>109</sup> რომან შენგელია, „კონდიქციურ ვალდებულებათა საფუძვლები“, სერგო ჯორბენაძე 70, საიუბილეო კრებული, ნორმა, თბ., 1996, გვ. 71.

<sup>110</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე (ბესარიონ ზოიძე), გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, გვ. 284.

მხარეთა წინასწარი შეთანხმებით ან გამსესხებლის თანხმობით”. როგორც ჩანს, კანონმდებლობა განსხვავებულად აწესრიგებს ამ საკითხს პროცენტური და უპროცენტო სესხის შემთხვევაში.

სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს ვადაძლე შესრულების მოთხოვნის შემთხვევებს, თუმცა ზოგადი პრინციპის თანახმად, „თუ განსაზღვრულია რაიმე დრო, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ კრედიტორს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა ამ ვადაძლე, ხოლო მოვალეს შეუძლია ვალდებულების შესრულება ვადაზე ადრე“ (სამოქალაქო კოდექსის 366-ე მუხლი). ამ დებულებიდან შეიძლება დაეასკვნათ, რომ განსაზღვრულვადიან ვალდებულებებში ვადაძლე შესრულების მოთხოვნა მხოლოდ გამონაკლისია, ხოლო ზოგადი წესით, ვალდებულების შესრულება მხოლოდ სათანადო ვადაში შეიძლება მოითხოვებოდეს. დაუდასტურებელი ეჭვი კი წყდება მოვალის სასარგებლოდ.

საინტერესოა სამოქალაქო კოდექსის 577-ე მუხლი, რომელიც ეხება ლიზინგის ხელშეკრულების ფორმას. ამ მუხლში საუბარია ლიზინგის ხელშეკრულების აუცილებელ ატრიბუტებზე, სადაც მთლიანი ფასის, სალიზინგო საზღაურის თანხასა და მისი გადახდის ვადებთან ერთად კანონმდებელი საუბრობს საბოლოო გადახდის თანხაზე, და „ხელშეკრულების ვადაძლე შესრულებისას – მისი გამოთვლის წესზე“. ამდენად, შესაძლო გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად კანონმდებელმა იმპერატიულად დაადგინა, რომ თითოეული ლიზინგის ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს მითითებას იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდება საბოლოო გადახდის თანხის გამოთვლა ხელშეკრულების ვადაძლე შესრულების შემთხვევაში. ცხადია, მეტი სიზუსტე მხოლოდ დადებითად იმოქმედებს ამ ურთიერთობათა სტაბილურობაზე.

სამოქალაქო კოდექსის 588-ე მუხლი საუბრობს საიჯარო ქონების ვადაზე უკან დაბრუნებაზე, „1. თუ მოვალე საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტამდე ქონებას უკან აბრუნებს, იგი საიჯარო ქირის გადახდისაგან მხოლოდ მაშინ თავისუფლდება, თუ თავის სანაცვლოდ შესთავაზებს ახალ გადახდისუნარიან და შეიჯარისათვის მისაღებ მოიჯარეს. ახალი მოიჯარე თანახმა უნდა იყოს, იჯარის ხელშეკრულება მიიღოს იმავე პირობებით. 2. თუ მოიჯარე ვერ შესთავაზებს ასეთ მოიჯარეს, მან საიჯარო ქირა უნდა იხადოს საიჯარო ურთიერთობის დასრულებამდე“. ამდენად, ვალდებულების ვადაზე შეწყვეტა ამ შემთხვევაში არ ხდება მხოლოდ მოიჯარის მიერ ქონების დაბრუნებით, არამედ საჭიროა მოიჯარემ შეიჯარეს შესთავაზოს ახალი მოიჯარე. „თუ მოიჯარე ვერ შეარჩევს შეიჯარისათვის მისაღებ პიროვნებას, იგი ვალდებულია იჯარის ვადის გასვლამდე იხადოს ქირა და შეასრულოს ყველა სახელშეკრულებო ვალდებულება“.<sup>111</sup>

მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში ვალდებულება უნდა შეასრულოს მისმა მემკვიდრემ. შესაძლებელია შესრულების ვადა არც იყოს დამდგარი, მაგრამ კრედიტორის მხრიდან ვადაზე შესრულების მოთხოვნა მაინც არსებობს. სამოქალაქო კოდექსის 1490-ე მუხლის შესაბამისად, „თუ მოთხოვნა კრედიტორის მიერ მოთხოვნის შესრულების ვადაზე იყო წარდგენილი, მაშინ მემკვიდრეს უფლება აქვს გადადოს შესრულება ვადის დადგომამდე“. ამდენად, „მემკვიდრეებს უფლება აქვთ, მაგრამ ვალდებული არ არიან შეასრულონ მოთხოვნა ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე“.<sup>112</sup> განსახილველ

<sup>111</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I (თამარ ჩიტოშვილი), გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, გვ. 175.

<sup>112</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე (ზურაბ ახვლედიანი), გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2000, გვ. 518.

შემთხვევაში არსებობს მხოლოდ ვადამდე შესრულების მოთხოვნა და არა ასეთი შესრულების ვალდებულება.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებებისათვის დადგენილი ზოგადი პრინციპების შესაბამისად (6.1.5. მუხლის მეორე პუნქტი), მხარის მიერ ვადამდე შესრულების მიღება ვერ ახდენს გავლენას მის მიერ შესასრულებელი (შემხვედრი) ვალდებულების ვადაზე, თუკი ეს ვადა იყო დანიშნული მეორე მხარის მიერ თავისი ვალდებულების შესრულების ვადისაგან დამოუკიდებლად.

## § 11. ერთდროული შესრულება

ორმხრივად შესასრულებელ ხელშეკრულებებში, როდესაც საუბარია ერთდროულ შესრულებაზე, ფაქტობრივად ადგილი აქვს შესრულებათა გაცვლას. ერთდროული შესრულება აქ გულისხმობს იმას, რომ ვალდებულებანი ერთდროულად უნდა შესრულდეს.<sup>113</sup> ერთდროული შესრულების მაგალითი ალბათ გაცვლითი სავალუტო ოპერაციებია, მათი კლასიკური ფორმით, ან მარტივი ნასყიდობა, რასაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ ნასყიდობა „ხელიდან - ხელში“. ერთდროულ (სინქრონულ) შესრულებად შეიძლება განვიხილოთ გაცვლის ხელშეკრულებაც (521-ე მუხლი), რადგან კანონში საუბარია ურთიერთგადაცემაზე და შეიძლება ვიფიქროთ ამ

<sup>113</sup> ერთდროულობასთან დაკავშირებით იხ. დავით სუხიტაშვილი, საჩხარალო და დრო, თბ., 2004, გვ. 52-54.

ურთიერთგადაცემის ერთდროულ (სინქრონულ) ხასიათზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთდროულობა, ერთდროული შესრულებისას პირობითია და არ უნდა გავიგოთ ისე, რომ „შესრულების გამოხატველი მოქმედებები ყოველთვის ერთდროულად განხორციელდება“.<sup>114</sup> ერთ-ერთი მხარე, ცხადია, ვალდებულია პირველმა განახორციელოს შესრულება, თუმცა, ამ შემთხვევაშიც, მოვალეს შეუძლია არ შეასრულოს თავისი ვალდებულება, ვიდრე კრედიტორი თვითონ არ შეასრულებს, ან სულ ცოტა, არ შესთავაზებს თავისი საკუთარი შესრულების განხორციელებას. ეს აზრი იკითხება სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლიდან, რომლის თანახმადაც „იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა.“ ამდენად, კანონმდებელი გამონაკლისის სახით ადგენს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ერთ-ერთი მხარე ვალდებულია შესრულება განახორციელოს წინასწარ. კანონმდებელი ხშირად თვითონ განსაზღვრავს, თუ ვის ევალება პირველმა მოახდინოს თავისი წილი შესრულება ორმხრივ ხელშეკრულებებში (მაგალითად, ქირავნობისას ქირის გადახდის ვალდებულება, მუხლი 553-ე). ეს შეიძლება გამომდინარეობდეს ასევე თავად სახელშეკრულებო ურთიერთობათა ბუნებიდან და მხარეთა შეთანხმებიდან.

ერთდროული შესრულების ბუნებიდან საგანგებოდ გამომდინარეობს, რომ ერთი მხარის მიერ თავისი ვალდებულების შესრულება ყოველთვის გულისხმობს, რომ მეორე მხარეს თავის მხრივ ასევე

<sup>114</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე (ბესარიონ ზოიძე), გამოქვეყნებულია „საჩართალი“, თბ., 2001, გვ. 298.

აკისრია თავისი ვალდებულების შესრულების მოვალეობა.<sup>115</sup> ამასთან დაკავშირებით, შეიძლება ვისაუბროთ ეგრეთ წოდებულ „დაკავების უფლებაზე“. სამოქალაქო კოდექსის მე-500 მუხლის თანახმად: „თუ მყიდველი დროულად არ მიიღებს ნივთს ან თავის დროზე არ გადაიხდის ფასს, გამყიდველი ვალდებულია შეინახოს ნივთი; გამყიდველს უფლება აქვს დაიტოვოს ნივთი ან დააკავოს გზაში მანამ, ვიდრე მყიდველი არ აუნაზღაურებს შესაბამის ხარჯებს.“ დაკავების უფლებას თავის მხრივ სწორედ მეორე მხარის შესრულების ვალდებულება წარმოშობს. ამ შემთხვევაში დაკავების უფლებაში იგულისხმება არა პირდაპირი გაგებით „გზაში დაკავების“ უფლება, არამედ შესრულების დროში გადავადების უფლება შემხვედრი შესრულების განხორციელებამდე.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთდროული შესრულება გვაქვს მაშინ, როდესაც მეორე მხარეს სწორედ დაკავების უფლება აქვს შემხვედრი შესრულების განხორციელებამდე. რადგანაც მეორე მხარის მიერ ორმხრივ ხელშეკრულებებში თავისი ვალდებულების შესრულება შესრულების ზოგადი პრინციპიდან გამომდინარეობს, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, თუ დროის რა მონაკვეთში უნდა განხორციელდეს ეს შესრულება და წარმოშობს თუ არა მცირე დროში მისი შეუსრულებლობა რაიმე საპასუხო უფლებას. დაკავების უფლება შემხვედრი შესრულების უზრუნველყოფის ერთგვარ საშუალებას წარმოადგენს.

კრედიტორმა, თავის მხრივ, რომ უნდა განახორციელოს მისი წილი შესრულება, ეს ორმხრივი ხელშეკრულების ბუნებიდან გამომდინარეობს. ამ შესრულების იმავდროული განხორციელება კი, სწორედ ერთდროულ შესრულებაზე მიუთითებს. სხვა სიტყვებით

<sup>115</sup> Peter Gauth, Walter R.Schluemp, Pierre Tercler, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

რომ ვთქვათ, კრედიტორს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, ყველა ზომა უნდა ჰქონდეს მიღებული ვალდებულების შესასრულებლად. თუ თავად კრედიტორს არა აქვს განხორციელებული მისი წილი შესრულებისა, ანუ არა აქვს იგი შეთავაზებული, მოვალე უფლებამოსილია დროში გადადოს (გადაავადოს) თავისი შესრულება. ამ შემთხვევას შეიძლება შეუსრულებლობის გამო-ნაკლისი უფლება ეწოდოს. ამასთან, ერთდროული შესრულება, თავისი ორმხრივი ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება მოგვევლინოს ასევე თანმიმდევრობითი შესრულების ან უწყვეტი, მიმდინარე შესრულების სახით.

საინტერესოა, როგორ წყდება საკითხი, როდესაც ერთდროული შესრულების ვალდებულების მქონე მხარეებიდან ერთ-ერთისათვის ცნობილი გახდება მეორე მხარის გადახდისუუნარობის შესახებ. კანონმდებლობა არაფერს ამბობს კონკრეტულად ამ შემთხვევაზე. მსგავს ვითარებაზე საუბარია სამოქალაქო კოდექსის 367-ე მუხლში, რომელიც ამ მდგომარეობას (მოვალის გადახდისუუნარობის, ან მის მიერ შეპირებული უზრუნველყოფის შემცირების ფაქტს) უკავშირებს კრედიტორის მხრიდან შესრულების დაუყოვნებლივ მოთხოვნის უფლებას. გადახდისუუნარობა თავის მხრივ მდგომარეობს იმაში, რომ მხარე აღარ ფლობს საკმარის საშუალებებს თავისი ვალდებულების შესასრულებლად. ვალდებულებათა შესახებ ზოგად დებულებებში ამ კონკრეტულ შემთხვევაზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ თუ ამოვალთ უკვე ნახსენები მე-500 მუხლში მოცემული დაკავების უფლების მიზნიდან და გავითვალისწინებთ, რომ ორმხრივ ხელშეკრულებებში თითოეული მხარე კრედიტორიცაა და მოვალეც, დაუშვებელია ნორმის არარსებობამ შეზღუდოს მოთხოვნის მქონე კრედიტორის ეს უფლება. ამდენად, ორმხრივი შესრულებისას,

კანონმდებლობით დაცულია მოვალის ინტერესები, კერძოდ, მოვალეს უფლება ეძლევა უარი თქვას თავისი ვალდებულების შესრულებაზე, ვიდრე მის უფლებებს საპასუხო შესრულებაზე რაიმე სახის საფრთხე ემუქრება. ეს დებულებაც ასევე იკითხება სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლის შინაარსიდან, რომელიც თავის წილ შესრულებაზე მხარეს აძლევს უარის თქმის უფლებას, საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე. ეს დებულება, უპირველეს ყოვლისა, იცავს იმ მხარეს, რომელსაც პირველს ევალება განახორციელოს შესრულება.

სამოქალაქო კოდექსის 354-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად წარმოშობილი ვალდებულებები მხარეებმა უნდა შეასრულონ ერთდროულად. ერთდროული შესრულება ნიშნავს, რომ მხარეებმა ერთმანეთს ფიზიკურად უნდა გადასცენ ის, რაც მათ მიიღეს.<sup>116</sup>

## § 12. ხელშეკრულების განახლების ვადები

დროს შეუძლია დაარღვიოს ხელშეკრულების თავდაპირველი წონასწორობა. ხშირად მხარეებს გათვალისწინებული აქვთ თავიანთი ხელშეკრულების ხანგრძლივობა ამომწურავი ვადის დანიშვნით; ეს ვადა შეიძლება იყოს განსაზღვრული (მაგალითად, ერთი წლის ვადით) ან განუსაზღვრელი (ხელშეკრულება, დადებული მშენებლობის ხანგრძლივობით). ხშირად ხელშეკრულებაში მითითებულია

<sup>116</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე (ლადო ჭანტურია), გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001, გვ. 254.

უბრალოდ დროის „მაქსიმუმი“, თავისი ბუნებით ასეთი ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებას გავს. ზოგ შემთხვევაში კანონი აწესებს მინიმალურ ხანგრძლივობასაც, ან ასეთ ვადებს უკავშირებს გარკვეულ შედეგს, მაგალითად, 10 წელზე მეტი ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით.

მთელი ამ ხნის მანძილზე ხელშეკრულება ატარებს სავალდებულო ხასიათს. ამასთან, მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, თუ მათთვის ხელშეკრულების შესრულება არასასურველი გახდება, მოშალონ იგი კანონით დადგენილი წესით.

უნდა ითქვას, რომ, როდესაც საქმე განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებასთან გვაქვს, მხარეებს მეტი შესაძლებლობა აქვთ თავი „დაიძვრიონ“ არასასურველი ვალდებულების შესრულებისაგან. უფრო მეტიც, გერმანული წყაროების მიხედვით, ვადად ითვლება მხოლოდ კალენდარული ვადა, რომელიც პირდაპირ არის განსაზღვრული კალენდარული თარიღით. ლარენცის აზრით, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ვადის დანიშვნა, მხარეთა მიერ ვალდებულების დროული შესრულების განზრახვის გამოვლინებად.<sup>117</sup>

მართალია, აღმკვეთი ვადა ბოლოს უღებს ხელშეკრულებას, მაგრამ შესაძლებელია მისი განახლებაც. ასე მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 559-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად თუ დამქირავებელი ნივთით სარგებლობს ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც და გამქირავებელი ამაზე არ ედავება, მაშინ ხელშეკრულება განახლდება განუსაზღვრელი ვადით. მსგავსად არის გადაწყვეტილი საკითხი ფრენშაინგის შემთხვევაშიც. 612-ე მუხლის მეორე ნაწილით თუ ხელშეკრულების ხანგრძლივობა აღემატება 10 წელს, ყოველი მხარე უფლებამოსილია მოშალოს ხელშეკრულება მოშლისათვის

<sup>117</sup> Karl Larenz. Lehrbuch Des Schuldrechts, „München“ 1987, გვ. 347.

აუცილებელი ერთწლიანი ვადის დაცვით. თუ არც ერთი მხარე არ იყენებს ხელშეკრულების მოშლის ამ უფლებას, ხელშეკრულება გაგრძელდება ორი წლით. ვადის გასვლის გამო ან მხარეთა ინიციატივით ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ისინი უნდა შეეცადონ, ვიდრე მათ შორის საქმიანი ურთიერთობანი ფაქტობრივად დამთავრდებოდეს, ურთიერთდობის პრინციპების დაცვით გააგრძელონ ხელშეკრულება იმავე ან შეცვლილი პირობებით.

სშირ შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულების ხანგრძლივობის გაგრძელება განუსაზღვრელი, ან რაიმე განსაზღვრული ვადით, რასაც მხარეები ღუმილით ადასტურებენ. ამდენად, თუ ერთ-ერთი მხარე არ გამოხატავს საწინააღმდეგო განზრახვას, ხელშეკრულების განახლება ითვლება უსიტყვოდ შეთანხმებულად.

ამდენად, თუკი მხარეები აგრძელებენ ხელშეკრულების შესრულებას ვადის ამოწურვის შემდეგაც, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ხელშეკრულება გრძელდება შეთანხმების არარსებობის მიუხედავად. ასე მაგალითად, იჯარის შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება იღება ათ წელზე მეტი ვადით, მაშინ ამ ვადის გასვლის შემდეგ თითოეულ მხარეს შეუძლია საიჯარო ურთიერთობა მოშალოს 561-ე მუხლით დადგენილ ვადაში (მუხლი 582-ე). სამოქალაქო კოდექსის 561-ე მუხლი კი თავის მხრივ ითვალისწინებს ხელშეკრულების მოშლის სამთვიან ვადას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმის ვითარებიდან, ან მხარეთა შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამდენად, საიჯარო ურთიერთობებში თუ მხარეები ვადის გასვლის შემდეგ ფაქტობრივად ასრულებენ ხელშეკრულებას, იგი ავტომატურად ითვლება განახლებულად, სპეციალური შეთანხმების მიუხედავად, თუ ხელ-

შეკრულებაში არ არის ამის საპირისპირო დებულება. რადგანაც საქმე აღძვეთ ვადასთან გვაქვს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელშეკრულების ვადა ამოწურულია და ამდენად საქმე გვაქვს არა პირველადი ხელშეკრულების ვადის გაგრძელებასთან, არამედ იგივე პირობების მქონე ახალ ხელშეკრულებასთან.<sup>118</sup>

რაც შეეხება ამ ახალი ხელშეკრულების ხანგრძლივობას, ხშირ შემთხვევაში იგი განუსაზღვრელი ვადით დადებულიად ითვლება, რადგანაც არ არსებობს რაიმე შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს მის ხანგრძლივობას (ქირავნობის მაგალითი); ზოგჯერ კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ ხელშეკრულების განახლების ვადას (მაგალითად, ფრენშაიზინგისას ეს ვადა 2 წელიწადია); ამდენად, ახალი ხელშეკრულებით, არ იცვლება ადრე არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ბუნება. ამასთან, ხელშეკრულების ვადასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული მთელი რიგი შეზღუდვები ვრცელდება განახლებული ხელშეკრულების ვადაზეც, კერძოდ, როგორც უკვე აღინიშნა ფრენშაიზინგთან დაკავშირებით, კანონი ცალსახად ადგენს 2-წლიან ვადას, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის შემთხვევაში კი, თუ იჯარის ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ ხელშეკრულების ყოველ მხარეს შეუძლია საიჯარო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ათი დღისა განაცხადოს მომდევნო საიჯარო წლისათვის იჯარის ხელშეკრულების მოშლის თაობაზე (606-ე მუხლის პირველი ნაწილი). აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ იჯარის ხელშეკრულების გაგრძელება შესაძლებელია მხოლოდ კალენდარული წლით. ამასთან, თუ ეს ხელშეკრულება განახლდა რამოდენიმე საიჯარო წლის განმავლობაში, შეიძლება

<sup>118</sup> Alan Bénabent, Droit civil, les obligations, Quatrième édition, Montchrestien, Paris, 1994, გვ. 158.

ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს ერთმანეთის მომდევნო, რამოდენიმე ხელშეკრულებასთან. ხელშეკრულების განახლებაზე უარის თქმის უფლება კი არსებობს ყოველი ახალი ვადის (იჯარის შემთხვევაში ყოველი კალენდარული წლის) ბოლოს. განახლების ვადის ასეთი განსაზღვრა, ისევე როგორც საერთოდ სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ვადის კანონისმიერი განსაზღვრა, გამომდინარეობს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ინტერესებიდან და თავად ამ ურთიერთობის სპეციფიკიდან, კერძოდ იქედან, რომ, სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარის ხელშეკრულების დადება ან განახლება უფრო მოკლე ვადით დაუშვებელია ამ ინსტიტუტის ბუნებიდან გამომდინარე.

ცალკე შეიძლება გამოვყოთ ეგრეთ წოდებული გამაფრთხილებელი ვადები. მეტწილად ეს არის ვადები, რომლებიც გამოიყენება ხელშეკრულებათა მოშლის დროს. ასე მაგალითად, ქირაენობისას, ხელშეკრულების მოშლის ვადა შეადგენს სამ თვეს, როცა საქმის გარემოებებიდან ან მხარეთა შეთანხმებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს (მუხლი 561-ე). ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებით, იგივე წესები გამოიყენება იჯარისა და ლიზინგის შემთხვევაში. ასეთივე სამთვიანი ვადაა გათვალისწინებული დაზღვევის ხელშეკრულებაშიც (მუხლი 806-ე). ფრენშაიზინგის ვითარებაში, ამ ხელშეკრულების „გრძელვადიანი“ ხასიათიდან გამომდინარე, „გრძელვადიანია“ მისი მოშლის ვადაც, კერძოდ, როგორიცაა ერთწლიანი ვადა (მუხლი 612-ე). ვალდებულებაზე უარი შეიძლება ითქვას ნებისმიერ დროს, მაგრამ საამისოდ მეორე მხარეს უნდა მიეცეს მომზადების საშუალება. ამიტომაცაა, რომ აქ შეიძლება ვისაუბროთ წინასწარ, გამაფრთხილებელ ვადაზე, თუმცა, ზოგჯერ მხარეს შეუძლია ასეთი ვადის დაცვის გარეშე ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. კერძოდ, მაშინ, როდესაც ვადა იმ მხარის ინტერესში

შედის, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მისი ცალმხრივი მოქმედება. მაგალითად, ნარდობისას, შემკვეთს უფლება აქვს საბუღალტრო დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე (მუხლი 636-ე), ცხადია, ასეთ შემთხვევაში შემკვეთს დაეკისრება მენარდის მიერ შესრულებული საბუღალტრო ანაზღაურებისა და ხელშეკრულების მოშლით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. საერთოდ, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული გამაფრთხილებელი ვადები სამი თვიდან ერთ წლამდე მერყეობენ. ამ ვადების მნიშვნელობა იმაშია, რომ მხარე დაზღვეულია ხელშეკრულების უეცარი შეწყვეტისაგან, ამან შეიძლება ზიანი მოუტანოს მას. ამ ვადის დაუცველობას კი შეიძლება მოყვეს ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება, ცხადია, თუკი მას რეალურად ექნება ადგილი.

### § 13. მოვალისა და კრედიტორის მიერ ვადის გადაცილება

მსგავსად რომის სამართლის დებულებებისა, საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსიც სწორედ შესრულებაზეა ორიენტირებული. „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას“ – ასეთია კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა. თუმცა კეთილსინდისიერება არა მხოლოდ სამოქალაქო სამართლის, არამედ მთლიანად კერძო სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია. კეთილსინდისიერების

პრინციპი მოწესრიგებულია ერთიანი სამართლებრივი ჩარჩოების შემქმნელ საერთაშორისო კოდიფიკაციებშიც.<sup>119</sup> მნიშვნელოვანია იგი საკორპორაციო სამართალშიც.<sup>120</sup> ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც მხარის მოქმედების კეთილსინდისიერება სწორედ ვადასთან მიმართებით შეფასებულა.<sup>121</sup>

ვალდებულების შესრულების ვადა დგება მაშინ, როდესაც კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს შესრულება. სახელშეკრულებო ურთიერთობებში საუბარია ვადაზე, რომელიც დადგენილია კანონით, ხელშეკრულებით, ან გამომდინარეობს ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან. მხარე, რომელმაც არ შეასრულა ვალდებულება შესაბამის ვადაში, ითვლება ვადის გადამცილებლად.

უფრო ხშირად საქმე გვაქვს მოვალის მიერ ვადის გადაცილებასთან. მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადა გადაცილებულია, თუ მოვალე საკუთარი ბრალით არ შეასრულებს თავის ვალდებულებას სათანადო დროს. ვალდებულების შეუსრულებლობა სწორედ იმ დროს, როდესაც ვალდებულების შესრულების დრო

<sup>119</sup> იხ. და ვით კერესელიძე, სამოქალაქო კოდექსის სოციალური დებულებები, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №1, 2004, გვ. 34.

<sup>120</sup> ამასთან დაკავშირებით ფართოდ იხილეთ, II გერმანულ-ქართული სამოქალაქო სამართალში, სიმპოზიუმის მასალები, ლალი ლაზარაშვილი, აქციონერთა უფლებები ინფორმაციის მიღების, კონტროლის თაობაზე და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება, გვ. 262-275; მიხეაძე კორტი, სააქციო საზოგადოების გამგეობის კეთილსინდისიერების ვალდებულება, გვ. 276-302; ლადო ჭანტურია სააქციო საზოგადოების დირექტორების კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება ქართულ სამართალში, გვ. 320-339; იოჰანეს ზემლერი, სამეთვალყურეო საბჭოს კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება, გვ. 353-373; შალვა პაპუაშვილი, სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის ვალდებულება ქართულ სამართალში, გვ. 389-397; რუდიგერ ფონ როზენი, კეთილსინდისიერების ვალდებულება და პასუხისმგებლობის მნიშვნელობა საკრედიტო ბაზრისა და სააქციო საკითხების განვითარებისათვის, გვ. 403-419; თბ., 2003; ასევე, გია ლილუაშვილი, კომერსანტი და კეთილსინდისიერება, ეურნალი „უწყება“, 1997, №3.

<sup>121</sup> იხ. სასამართლო პრაქტიკის კომენტარი სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალში (გია ლილუაშვილი), თბ., გვ. 82.

დადგა, თავისთავად არ წარმოადგენს ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებას, ამ მომენტიდან კრედიტორს ეხსნება შესრულების მოთხოვნის შესაძლებლობა. სწორედ ამ შესაძლებლობითაა განპირობებული მოთხოვნის იურიდიული ძალა.

მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილებისათვის აუცილებელია:

1. მოთხოვნის ვადის ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის დადგომა. მოვალის მიერ ვადის გადაცილების აღიარებისათვის საჭიროა, რომ მოთხოვნა „მომწიფდეს“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არსებობს მოვალის მიერ ვადის გადაცილება თუ კრედიტორს არ აქვს სასარჩელო მოთხოვნის წარდგენის უფლება – *”Nulla intellegitur mora fieri, ubi nulla petitio est“*.<sup>122</sup>

ხშირად თავად ვალდებულების საგნის ან მოვლენის თვისებიდან გამომდინარე, მოთხოვნის გაცხადება სრულიად ზედმეტია იმისათვის, რომ ვადა გადაცილებულად ჩაითვალოს, რადგან ასეთი მოთხოვნა შესაძლებელია იყოს თვით მოვლენაში, რომელმაც ვალდებულება წარმოშვა.

2. კრედიტორის მხრიდან შეხსენება შესრულების შესახებ შეიძლება განხორციელდეს როგორც ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე, ისე ასეთი ვადის დადგომის შემდეგ. განსხვავება ამ ორ მოვლენას შორის ის არის, რომ წინასწარ შეხსენებას არანაირი სამართლებრივი შედეგი არ მოსდევს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების შესრულების ვადა არ არის დადგენილი და

<sup>122</sup> Римское частное право. под. ред. Проф. И. Б. Новицкого и проф. И. С. Перетерского. М., 1996, с. 273.

შეხსენება უპირატესად ამ ვადის დაზუსტება-გარკვევას ისახავს მიზნად. წინასწარი შეხსენება ანუ გაფრთხილება არის კრედიტორის განაცხადი, რომელიც მიმართულია მოვალისადმი. ამ განაცხადით კრედიტორი მოითხოვს ვალის გადახდას დაგვიანების გარეშე. გაფრთხილება არ ითვალისწინებს იმაზე მითითებას, თუ რა შედეგი მოჰყვება ვალის გადახდის ვადის გადაცილებას, მაგრამ შინაარსობრივად იგი ითვალისწინებს მოვალის ვალდებულებას. შევსებული ქვითრის გაგზავნა, როგორც წესი, არ არის გაფრთხილება, ეს უფრო შეტყობინებაა ვალის რაოდენობის შესახებ. კრედიტორს ყოველთვის აქვს უფლება ვალდებულების შესახებ შეახსენოს მოვალეს. რომის სამართალში ტერმინი *interpellare* (შეხსენება) გვხვდება შეურაცხყოფის შესახებ მოძღვრებებში. „*Si quis non debitorem quasi debitorem appellaverit iniuriae faciendi causa, iniuriarum tenetur*“ – ვინც შეახსენა პირს, რომელიც არ არის მოვალე, ისე, თითქოსდა ის იყოს მოვალე, მისი წყენინების მიზნით, ის პასუხს აგებს წყენინებისათვის.<sup>123</sup> არსებობდა დებულება, რომლის თანახმადაც შეხსენება მიზნად არ უნდა ისახავდეს თავად მოვალის წყენინებასაც, როდესაც საუბარია უსაფუძვლოდ გაკეთებულ შეხსენებაზე. თუ კრედიტორმა შეახსენა მოვალეს, რომელიც მზად იყო გადაეხადა, მისი წყენინების მიზნით, ის პასუხს აგებს ამ წყენისათვის.<sup>124</sup>

რაც შეეხება შემდგომ შეხსენებას, რომელიც ხორციელდება ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის შემდეგ, რიგი ქვეყ-

<sup>123</sup> იქვე, გვ. 274.

<sup>124</sup> იქვე.

ნებისა სწორედ ასეთი შეხსენების არსებობას უკავშირებენ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების აღიარებას.

მეცნიერებაში სადავოა საკითხი იმის თაობაზე, შეიძლება თუ არა, რომ შეხსენება განახორციელოს შესრულების მიღებაზე არაუფლებამოსილმა პირმა. კნიეპის აზრით, არასრულწლოვანს შეუძლია მშობლების ნაცვლად შეხსენოს ვალდებულ პირს ვალდებულების შესრულების შესახებ.<sup>125</sup> ამ მოსაზრებას არ იზიარებს გ. დერბურგი. იგი თვლის, რომ ამან „შეიძლება მიგვიყვანოს სრულიად არამიზანშეწონილ შედეგებამდე“, რადგან „ვალდებულების შესრულება შეიძლება იმ დროს კრედიტორისათვის არასასურველი იყოს“.<sup>126</sup>

პაულუსს ლიბრო გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ასეთ დროს საუბარი უნდა ეხებოდეს არა ზოგადად რწმუნებულებას, როგორც მშობლისა და შვილის მაგალითზე გვაქვს, არამედ სპეციალურ უფლებამოსილებას კონკრეტულ ვალდებულებასთან მიმართებაში. მხოლოდ ასეთ დროს შეიძლება საუბარი კრედიტორის „ნამდვილ ნებაზე“.<sup>127</sup>

შეხსენების ნამდვილობა დამოკიდებულია იმ გარემოებებზე, რომლებშიც იგი გაკეთდა. ვადის გადაცილების სამართლებრივ შედეგს წარმოშობს მხოლოდ ისეთი შეხსენება, რომელიც გაკეთდა შესაბამის დროსა და შესაბამის ადგილას. შესრულების ვადის დადგომამდე გაკეთებული შეხსენება არ იწვევს ვადის გადაცილების შედეგებს.<sup>128</sup>

<sup>125</sup> Г. Дербург, Обязательственное право. М., 1991, гл. 107.

<sup>126</sup> იქვე.

<sup>127</sup> Paulus Libro, 37 ad edictum, l.24. §2. D.h.t.22.1. იხ. Г. Дербург, დასახ. ნაშრ., გვ. 107

<sup>128</sup> Римское частное право. под ред. Проф. И. Б. Новицкого и проф. И. С. Перетерского, М., 1996, гл. 274.

როგორც ღვეინახეთ, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა განსაზღვრავს შესრულების შეხსენების (გაფრთხილების) ნამდვილობის პირობებს, უფრო ზუსტად კი ვის მიერ და რა ფორმით უნდა მოხდეს შეხსენება. ამ კუთხით, შეხსენება ექვემდებარება ზოგად წესებს, რომლებიც განსაზღვრავენ განცხადების ნამდვილობის პირობებს ხელშეკრულების დადების ან ნებისმიერი სხვა სამართლებრივი მიზნით. რაც შეეხება ფორმას, რადგან ზოგადი წესით, ხელშეკრულების დადება არ საჭიროებს რაიმე განსაკუთრებულ ფორმას, მით უფრო არ შეიძლება ასეთი მოვითხოვოთ შესრულების შეხსენების ნამდვილობისათვის. სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა შეტყობინების (შეხსენების) სხვადასხვა ხერხს იცნობს, ეს შეიძლება იყოს ზეპირი, წერილობითი, ნოტარიალურად დამოწმებული ან საამისოდ გამოყოფილ ადგილზე გაკრული შეტყობინება (როგორც ეს მაგალითად მრავალბინიან სახლებში გვაქვს).<sup>129</sup> უდავოა, რომ ვალის გადახდევინების სასარჩლო განცხადების შეტანა, უფრო ზუსტად კი მევალისათვის სასამართლოში გამოძახების უწყების გადაცემა წარმოადგენს გაფრთხილების ყველაზე მკაცრ ფორმას.

საინტერესოა, როგორ ჰპოვა ასახვა ჯერ კიდევ რომის სამართლისათვის ცნობილმა ამ ინსტიტუტმა თანამედროვე ქვეყნების სამოქალაქო სამართალში.

ფრანგული სამოქალაქო კოდექსი მოვალის მიერ ვალის გადაცილების აღიარებას უკავშირებს სწორედ კრედიტორის მიერ მოვალესთან ოფიციალური შეტყობინების გაგზავნას შესრულების შეხსენების თაობაზე. ასეთი შეტყობინება უნდა მოხდეს ოფიციალური

<sup>129</sup> იხ. ამასთან დაკავშირებით ნინო უბერი, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა და მისი წინარე ისტორია, ეურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 2004, გვ. 75.

აქტით (*La mise en demeure*)<sup>130</sup>. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ის, რაც მოვალეს უნდა გადაეცა ან გაეკეთებინა, შეიძლებოდა გადაცემულიყო ან გაკეთებულიყო მხოლოდ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში და ეს დრო მოვალემ გაუშვა (მუხლი 1146) ან თუ ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ მოვალე ვადაგადაცილებულად ჩაითვლება განსაზღვრული აქტის გარეშეც, ვადის დადგომის მომენტიდან. ამდენად, ფრანგული სამართლის მიხედვით, მხოლოდ ვალდებულების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შიშველი ფაქტი, თუნდაც ეს ვადა იყოს ზუსტად განსაზღვრული, არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ვალდებულების შესრულების დაგვიანება აღიარებულ იქნეს ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად, ყველა აქედან გამომდინარე შედეგით.

ამასთან, შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებაში გათვალისწინებულ იქნეს, რომ მოვალე ვალდებულების შესრულების ვადას გადააცილებს მისთვის რაიმე ოფიციალური შეტყობინების გაგზავნის გარეშე, ამ ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის ძალით, რაც უთანაბრდება შეტყობინების გაგზავნას.

საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკა სავაჭრო გარიგებებში ვალდებულების შესრულების დაგვიანებისათვის საკმარისად მიიჩნევს კრედიტორის მხრიდან ჩვეულებრივი დეპეშის ან წერილის გაგზავნას დაუყოვნებლივი შესრულების მოთხოვნით. ოფიციალური შეხსენების გაგზავნა არ არის სავალდებულო ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიც, კერძოდ, როდესაც მოვალის ბრალით შესრულება შეუძლებელი ხდება. ასე მაგალითად: მოვალის დაუდევარი დამოკიდებულების გამო ნივთის დაღუპვის შემთხვევაში, ან თუ მოვალე წინასწარ უცხადებს

<sup>130</sup> Code civil, Imprime en France, Dalloz, 1997-1998.

კრედიტორს უარს თავისი ვალდებულების შესრულებაზე, ან თავად ითხოვს ხელშეკრულების ბათილობას.<sup>131</sup>

გერმანიის სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თუ მოვალე არ ასრულებს ვალდებულებას, რომლის შესრულების ვადაც დამდგარია, კრედიტორის მხრიდან შეხსენების შემდეგაც, ის ითვლება ვადაგადაცილებულად. შესრულების შეხსენებას უთანაბრდება შესრულების თაობაზე სასამართლოში სარჩელის შეტანა (§284). ამასთან, იმავე პარაგრაფის მე-2 აბზაცის თანახმად, მოვალე ითვლება ვადაგადაცილებულად წინასწარი გაფრთხილების გარეშე თუ ვალდებულების შესრულების ვადად დადგენილი იყო კალენდარულად განსაზღვრული დღე.

ამდენად, ნებისმიერ ვადაგანსაზღვრულ ხელშეკრულებებში, როდესაც შესრულების ვადა დამდგარია, ვადა გადაცილებულად ითვლება თავისთავად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დადგომის მომენტიდან. ამასთან, გერმანული წყაროების მიხედვით, ვადად ითვლება მხოლოდ კალენდარული ვადა, რომელიც პირდაპირ არის განსაზღვრული კალენდარული თარიღით, მიიჩნევენ რა, რომ „მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მიიჩნიოს ვადის დანიშვნა, მხარეთა მიერ ვალდებულების დროული შესრულების განზრახვის გამოვლინებად, საამისო შეხსენების მიუხედავად“.<sup>132</sup> ამდენად, ამ საკითხში იგი განსხვავდება ფრანგული კოდექსისაგან, სადაც, როგორც დავინახეთ შეხსენება არ არის საჭირო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ მოვალე ჩაითვლება ვადაგადაცილებულად განსაზღვრული აქტის გარეშეც, შესრულების ვადის დადგომის მომენტიდან (მუხლი 1139).

<sup>131</sup> იხ. М а й С. К., Очерк общен части буржуазного обязательственного права, М., 1953, გვ. 155; A. Collin et H. Capitant, Cours élémentaire de droit civil Français, T.II, 1935, გვ. 89-90.

<sup>132</sup> Karl Larenz. Lehrbuch Des Schuldrechts, München, 1987, გვ. 347.

საკითხისადმი ასეთი მიდგომის ისტორიული ძირები რომის სამართალში უნდა ვეძიოთ. სწორედ რომაელი იურისტების ცალკეული დებულებებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით შესრულებისათვის გარკვეული კალენდარული დღის განსაზღვრისას, ვადის გადაცილება დგებოდა შეხსენების გარეშე – ავტომატურად (*ipso iure*). ეს წესი რომაულ წყაროებში პირდაპირ არ გვხვდება, მაგრამ შემდგომში გლოსატორების მიერ ფორმულირებულია ანდაზის სახით: „*Dies interpellar pro homine*“. რაც ითარგმნება: განსაზღვრულად დადგენილი დღე შეახსენებს ადამიანის მაგიერ.

შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების შესრულების ვადის დადგომის მომენტიდან მოვალე ვარდება ვადაგადაცილებული მოვალის მდგომარეობაში, კრედიტორის მხრიდან შეხსენების არსებობის შემთხვევაში. იმავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, შეხსენება არ არის საჭირო, თუ ვალდებულების შესრულებისათვის წინასწარ იყო შეთანხმებული გარკვეული დღე, ან თუ ეს დღე ასევე წინასწარ იყო გაცხადებული, თუ განაცხადი გაკეთდა შესაბამისი წესითა და ფორმით.

ავსტრიის სამოქალაქო სამართლის მიხედვით, შეხსენება შესრულების თაობაზე საჭიროა მხოლოდ ხელშეკრულებაში ვადის განუსაზღვრელობის დროს, სხვა შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში მითითებულია შესრულების ვადა, შესრულების შეხსენების აუცილებლობას კანონი არ ითვალისწინებს.

იაპონიის სამოქალაქო კოდექსი მოვალის მიერ ვადის გადაცილებას ეხება მხოლოდ ერთ, 412-ე მუხლში. ამასთან კოდექსი ერთმანეთისაგან საერთოდ არ ასხვავებს დაგვიანებასა და ვადის გადაცილებას. ამ მუხლის შინაარსიდან ჩანს, რომ არავითარი შეხსენება

კრედიტორის მხრიდან მოვალისადმი საჭირო არ არის. შეხსენების აუცილებლობას არ ითვალისწინებს ასევე შევდეთის სამართალი და ინგლისურ-ამერიკული სამართალი.

იტალიური სამოქალაქო კოდექსით, შემთხვევები, როდესაც ადგილი უნდა ჰქონდეს შეხსენებას, განისაზღვრება საკმაოდ ფართოდ. კრედიტორი ვალდებულების შესრულების შეხსენების ვადის გასვლის შემდეგ შეხსენების ვალდებულებიდან თავისუფლდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესრულება უნდა განხორციელებულიყო მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (მუხლი 1221).

რაც შეეხება საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, აქ მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების საკითხებს აწესრიგებს კოდექსის მესამე კარის მეორე თავი.

მე-400-ე მუხლში – მოვალის მიერ ვადის გადაცილების ცნება – განმარტებულია, რომ მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებად ითვლება, თუ

ა) შესრულებისათვის დადგენილ დროში ვალდებულება არ შესრულდა;

ბ) შესრულების ვადის დადგომიდან კრედიტორის მიერ გაფრთხილების შემდეგაც იგი არ ასრულებს ვალდებულებას;

ამდენად, ვადის გადაცილების აღიარების პირველ პირობად კოდექსი სწორედ შესრულების ვადის დადგომას მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ზოგადად ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება დგება ავტომატურად, ხელმწიფო-ლებით გათვალისწინებული ვადის დადგომის მომენტიდან, გაფრთხილების გარეშე. მართალია, მე-400 მუხლის მე-2 ნაწილში საუბარია გაფრთხილებაზე, მაგრამ როგორც ჩანს, აქ საქმე ეხება გამონაკლის შემთხვევებს, ანუ მხოლოდ იმ ვალდებულებებს,

რომელთათვისაც აუცილებელია შეხსენება. უნდა ითქვას, რომ საკითხი ქართულ კოდექსში გადაწყვეტილია გერმანული კოდექსის მსგავსად, იმ განსხვავებით, რომ გერმანულ კოდექსში საკითხი უფრო დაკონკრეტებულია და მკვეთრად არის გამოყოფილი ვალდებულებები, რომელთათვისაც გაფრთხილება არ არის საჭირო – ესენია კალენდარული თარიღით განსაზღვრული ვალდებულებანი. განუსაზღვრელი ვადით, უვადოდ ან პირობით დადებულ ხელშეკრულებებს ასეთი გაფრთხილება ესაჭიროებათ. ვფიქრობთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტატორები, საკითხის გადაწყვეტის სწორედ ასეთ გზას დაადგებიან, მით უფრო, რომ ამის საფუძველს იძლევა გერმანული სამართალიც, რომლის შემოქმედებითი რეცეპციის შედეგაც წარმოადგენს კოდექსის აღნიშნული მუხლი.

შეხსენება არ არის საჭირო, თუ მევალე თავს არიდებს მას. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც შეუძლებელია მისი პოვნა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან იმ ადგილას, სადაც ხელშეკრულებით დანიშნული იყო შესრულება და ამასთან, მას არსად დაუტოვებია თავისი ადგილსამყოფლის მისამართი და კრედიტორის ცდები, შეაზსენოს – უშედეგოა. ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელი იურისტი მომზსენი თვლიდა, რომ კრედიტორს ამის შესახებ უნდა განეცხადებინა სასამართლოს წინაშე.<sup>133</sup> მისი საპირისპირო აზრის იყო ბრინცი, რომელიც თვლიდა, რომ საკმარისი იყო, რომ კრედიტორი პირადად, ან მისი სახელით ნოტარიუსი მისულიყო მევალის ბინაში და იქ შეეღვინა აქტი გადახდის მიღწევის უშედეგო მცდელობის შესახებ.<sup>134</sup>

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 365-ე მუხლი ითვალისწინებს ვალდებულების შესრულებას შესრულების ვადისათვის

<sup>133</sup> Денбург Генрих, დასახ. ნაშრ. გვ. 108.

<sup>134</sup> იქვე გვ. 109.

განსაზღვრული ვადის არარსებობისას: „თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს“.

მოცემული მუხლის სიტყვასიტყვით განმარტებას გარკვეულ ულოგიკურობამდე მივყავართ, ვალდებულია თუ არა მოვალე დაუყოვნებლივ შეასრულოს ვალდებულება და რაც უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი წარმოდგენილი ნაშრომისათვის, რა შემთხვევაში გადააცილებს მოვალე შესრულების ვადას ვადაგანუსაზღვრელი ხელშეკრულების დროს.

თუ ფრაზებს „კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება“ და „ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს“ განვიხილავთ როგორც აზრობრივად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებებს, გამოდის, რომ შესრულება დამოკიდებულია მოვალის ნებისაგან. ე.ი. კრედიტორის მხრიდან მოთხოვნის არსებობის შემთხვევაშიც კი მოვალეს აქვს არჩევანი, „შეუძლია“ დაუყოვნებლივ შეასრულოს იგი (შეუძლია არა). საკითხს იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს ტერმინი „დაუყოვნებლივ“, ჩვენ უკვე შევეხეთ ამ ნაშრომში, ახლა კი ამ მუხლის სწორ ინტერპრეტაციას მივუბრუნდეთ.

ფვიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში, როდესაც კანონმდებელი საუბრობს კრედიტორის უფლებაზე, ნებისმიერ დროს მოითხოვოს შესრულება – გულისხმობს მოვალის შესაბამის ვალდებულებას დაუყოვნებლივ შეასრულოს იგი, ხოლო მეორე ფრაზა საუბრობს მოვალის დამოუკიდებელ უფლებაზე, სურვილის შემთხვევაში დაუყოვნებლივ განახორციელოს შესრულება.

ამდენად, ვადაგანუსაზღვრელი ვალდებულებების შემთხვევაში ვალდებულება უნდა შესრულდეს დაუყოვნებლივ – კრედიტორის მხრიდან მოვალისათვის შესრულების ვალდებულების წარდგენის მომენტიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვალე ჩაითვლება შესრულების ვადის გადამცილებლად.

პასუხისმგებლობის საკითხი ვალდებულების შესრულების ვადის ჭრილში საკმაოდ რთულია. მეცნიერებში დღემდე იწვევს დავას, საჭიროა თუ არა მოვალის მიერ ვადის გადაცილების აღიარებისათვის და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის ბრალის არსებობა. სწორედ ამიტომ არის, რომ ამ საკითხს თანამედროვე ქვეყნების სამოქალაქო კოდექსები ხშირად რადიკალურად განსხვავებულად წყვეტენ. სამართლებრივი სისტემების უმრავლესობისათვის უცხოა არაბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი. თეორიაში მას ხშირად ობიექტურ პასუხისმგებლობად მოიხსენიებენ. რომის სამართალში ვადის გადაცილების საკითხი დაკავშირებული იყო ბრალთან. დაგვიანება უნდა მოხდეს მოვალის ბრალით – ასეთი იყო რომაელი იურისტების მკაცრი განაწესი. ამდენად, ბრალის არსებობა ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების აღიარებისათვის პრინციპული მოთხოვნაა. არსებობდა სხვაობა ურჩსა და კეთილსინდისიერ მოვალეს შორის, ისევე, როგორც სანივთო სამართალში კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ მფლობელს შორის. ამასთან, იმისათვის, რომ ასეთ მიდგომას არ გამოეწვია ზოგადად კრედიტის შერყევა, არსებობდა დებულება, ვინც თავისდროულად არ გადაიხდა ვალი, უკვე ამ ფაქტის ძალით ივარაუდება ბრალეულად. ამიტომაც არის, რომ მტკიცების ტვირთი პრაქტიკულად ეკისრება მოვალეს, მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს მხოლოდ მოთხოვნის ვადის დადგომა და მიმყოლი შეხსენების არსებობა (საჭიროების შემთხვევაში). მას

არ ევალდება იმის მტკიცება, რომ მოპასუხემ იცოდა ვალდებულების შესახებ. თუ მოვალეს სურს უარყოს მისი მხრიდან რაიმე ბრალის არსებობა, თავის მხრივ უნდა მიუთითოს გამამართლებელ გარემოებებზე. მოვალეს შეუძლია თავი გაიმართლოს იმით, რომ არ იცოდა მოთხოვნის არსებობის შესახებ. ამასთან, ივარაუდება, რომ მოვალე, რომელმაც საქმე მიიყვანა სასამართლომდე, იმის მაგივრად, რომ გადაეხადა ვალი, აცილებს ვალდებულების შესრულების ვადას და იგი შეიძლება გამართლებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ დაამტკიცებს, რომ მისი რწმენა, ვალდებულების არარსებობის შესახებ, იყო საკმაოდ საფუძვლიანი.

მოვალეს, რომელმაც გადააცილა ვალდებულების შესრულების ვადას, ეკისრება ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკი. რომელი იურისტები მოვალის ბრალით დარღვეულ ვალდებულებას „უკვდაყოფდნენ“ – „*Veteres constituerunt, guotiens culpa intervenit debitoris, perpetuari obligationem*“ – „რადგან ადგილი აქვს მოვალის ბრალს, ვალდებულება მტკიცდება, წესდება სამარადისოდ“.<sup>135</sup> თუ ვადის გადაცილებისას, ვალდებულების საგანი, მაგალითად, მონა იღუპება, მოვალე პასუხს აგებს ისე, თითქოს მონა იყოს ცოცხალი. რომის სამართლის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ შესრულების ვადის გადაცილების დროს, ზოგადი წესისაგან განსხვავებით, მოვალე ვალდებული იყო გადაეხადა ყველაზე მაღალი ფასი, როგორც ჰქონდა ვალდებულების საგანს გარიგების დადებისა და მსჯავრის დადების მომენტებს შორის.<sup>136</sup>

არამართლზომიერად მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით მოქმედებდა აკვილიას კანონის ანალოგიური წესი,

<sup>135</sup> Римское частное право. под. ред. Проф. И. Б. Новицкого и проф. И. С. Перетерского, М., 1996, гл. 275.

<sup>136</sup> იქვე.

რომლის თანახმადაც, ქურდი ვალდებული იყო აენაზღაურებინა მოპარული ნივთის ღირებულება უმაღლესი შეფასებით, რაც დასაბუთებული იყო იმ მოსაზრებით, რომ ქურდი ყოველთვის იმყოფება ვადის გადაცილების მდგომარეობაში.

საფრანგეთის სამოქალაქო სჯულდების მიხედვით, მოვალის მიერ ვადის გადაცილების არსებობისას იგი ვალდებულია დაფაროს ამით გამოწვეული ზიანი, ამასთან, ფრანგული კოდექსი გამოყოფს მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას (მუხლი 1146).

ვადის გადამცილებელი მოვალისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის დაკისრება კაზუალურ ფორმაში მოცემულია 1138-ე მუხლის მე-2 ნაწილში. კერძოდ, იმის მიუხედავად, რომ კრედიტორი ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის შესაკუთრე ხდება ხელშეკრულების დადების მომენტიდან, ის არ არის რისკის მატარებელი ამ ნივთის მიმართ, თუ მოვალე აცილებს ვალდებულების შესრულების ვადას. ამ შემთხვევაში რისკი გადადის მოვალეზე. ინგლისურ-ამერიკული სამართალი საერთოდ არ გამოყოფს ვადის გადაცილებას, როგორც ვალდებულების დარღვევის განსაკუთრებულ ფორმას. ვალდებულების შეუსრულებლობა ვადაში, უფრო ზუსტად კი მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება, პრეცედენტების განზოგადების შედეგად ასე გამოიყურება:

- ა) მოვალეს წარმოეშობა ვალდებულება, კრედიტორს აუნაზღაუროს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანი;
- ბ) ვალდებულების შემდგომი შეუსრულებლობის რისკი მთლიანად გადადის მოვალეზე, ე.ი. შემდგომში მოვალე პასუხისმგებელია ვალდებულების შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შეუსრულებლობა მას ბრალად

ვერ შეერაცხება (ე.ი. გამოწვეული იყო შემთხვევით ან დაუძლეველი ძალით).

სამოქალაქო კოდექსი მოვალის მიერ ვადის გადაცილების გამო მისი პასუხისმგებლობის საკითხებს განიხილავს 402-ე, 403-ე და 404-ე მუხლებში. როგორც უკვე აღინიშნა, კოდექსის 402-ე მუხლი – მოვალის პასუხისმგებლობა, ანალოგიურია გერმანული კოდექსის §287-სა – მკაცრი პასუხისმგებლობა. ვადის გადაცილების შემდეგ მთელი რისკი ვალდებულების შემდგომი შეუსრულებლობისათვის ეკისრება მოვალეს. თუ ვალდებულების შესრულების ვადის გასვლამდე მოვალე პასუხს აგებდა მხოლოდ ბრალეულობის შემთხვევაში, ვადის გასვლის შემდეგ სურათი რადიკალურად იცვლება, მოვალე პასუხს აგებს ყოველგვარი გაუფრთხილებლობისათვის. შემთხვევითობისთვის კი, მას პასუხისმგებლობა ეკისრება იმ შემთხვევაში, თუ არ დაამტკიცებს მიზეზობრივი კავშირის არარსებობას ვადის გასვლასა და შესრულების შემდგომ შეუძლებლობას შორის. მაგ: დაგვიანებით გაგზავნილი საქონელი რკინიგზაზე ავარიის გამო განადგურდა. მოვალე ვადის გადაცილებისას ატარებს შემთხვევით გამოწვეული შეუსრულებლობის რისკსაც.

მოცემული გამოდინარეობს იქედან, რომ ვინაიდან მოვალე დაგვიანებისას კრედიტორს უნაზღაურებს ობიექტურად არსებულ ზიანს, ურთიერთკავშირი შესრულების გამოვლენილ დაგვიანებასა და მოგვიანებით გამოვლენილ უუნარობას შორის ნავარაუდევია. ამასთან, პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად მოვალემ უნდა მოუთითოს, რომ შესრულების უუნარობით გამოწვეული ზიანი დროული შესრულების დროსაც გამოვლინდებოდა. ამდენად, კანონი მოვალეს აძლევს პასუხისმგებლობის უარყოფის უფლებას, რითაც აძლევს მას შესაძლებლობას შეეკამათოს მის წინააღმდეგ არსებულ

თვალსაზრისს. როდესაც მოვალე არ იყენებს კამათის უფლებას, ანუ პასუხისმგებლობის უარყოფის უფლებას, კრედიტორის განაცხადის შემთხვევაში, ვალდებულება ითვლება უტყუარად, ხოლო მისი შესრულება სავალდებულოდ.

კოდექსის 404-ე მუხლი საუბრობს კრედიტორის უფლებაზე, მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანი განისაზღვრება ზოგადი წესებით, იმ ზომით, რა ზომითაც იგი დამტკიცებულ იქნა. ამდენად, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობისაგან განსხვავებით, ვადის გასვლისას შესრულების დაფარვა შესაძლებელია. როგორც წესი; კრედიტორისათვის სასურველია დაგვიანებული შესრულება კი, ამიტომ მოვალეს კვლავ აკისრია შესრულების ვალდებულება, კრედიტორს კი, გარდა შესრულებისა, აქვს ვადის გადაცილებით მიღებული ზიანისათვის დანამატის მიღების უფლება. კრედიტორს უნდა აღერიცხოს ზარალი, როდესაც იგი შესრულებას დროულად ვერ ღებულობს. ეს დანაკარგი შეიძლება იყოს დანახარჯი, რაც დაგვიანების შედეგად კრედიტორის ინტერესის სხვაგვარ დაკმაყოფილებაში გამოვლინდა; ვადის გადაცილების შედეგად, შესრულების საგნის ფასის შემცირებით გამოწვეული ზიანი; მიუღებელი მოგება, რომელსაც ვარაუდობდა კრედიტორი დროული შესრულების შემთხვევაში; შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დანაკარგი — წაგების დროს, როგორც ასევე ვადის გასვლით გამოწვეული ზიანი.

ზიანის ანაზღაურების ზოგადი წესიდან კანონმდებლობა ითვალისწინებს მხოლოდ ერთ გამონაკლისს, როდესაც საქმე ეხება ფულად ვალდებულებებს, ანიჭებს რა კრედიტორს უფლებას გადაცილებული დროისათვის მოითხოვოს პროცენტები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის თანახმად,

მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას აცილებს, ვალდებულია გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს კანონით განსაზღვრული პროცენტები, თუკი კრედიტორს სხვა საფუძვლიდან გამომდინარე უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია. აღნიშნული ნიშნავს, რომ კანონმდებლობა არ ზღუდავს კრედიტორს და აძლევს საშუალებას, მოითხოვოს მისთვის ნამდვილად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თუნდაც იგი აღემატებოდეს პროცენტებს (მსგავსად გერმანული §288, შეიქცარიული 119 მუხლისა). ამავდროულად, ზოგიერთი ქართველი ავტორი დაუშვებლად მიიჩნევს ფულადი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის კანონით გათვალისწინებული პროცენტისა და პირგასამტეხლოს ერთდროულად დარიცხვას.<sup>137</sup>

საკითხისადმი სხვაგვარი მიდგომა აქვს ფრანგულ, ავსტრიულ და იტალიურ სამოქალაქო კოდექსებს, რომელთა თანახმად, ზიანის ანაზღაურება არ აღემატება კანონით დადგენილს, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კრედიტორი დაამტკიცებს, რომ ზიანი იმაზე დიდია, რისი ანაზღაურებაც ხდება (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1153-ე მუხლი, ავსტრიის კოდექსის 1333-ე მუხლი, იტალიის კოდექსის 1231-ე მუხლი).

საპატიო მიზეზის გარეშე შესრულების მიუღებლობა კრედიტორის მხრიდან იწვევს კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებას. კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად ითვლება, თუ იგი არ იღებს მისთვის შეთავაზებულ შესრულებას, რომლის ვადაც დამდგარია (390-ე მუხლის პირველი ნაწილი). ამასთან, თუ ვალდებულების შესასრულებლად კრედიტორის მხრიდან საჭიროა

<sup>137</sup> იხ. სასამართლო პრაქტიკის კომენტარი სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალში (პაატა ლობჯანიძე), თბ., 2003, გვ. 59-61.

ესა თუ ის მოქმედება, ვადის გადაცილებად ჩაითვლება, თუ იგი ამ მოქმედებას არ ასრულებს (390-ე მუხლის მეორე ნაწილი). საყურადღებოა, რომ სამოქალაქო კოდექსი კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებას განიხილავს ვალდებულების შესრულების კარში, მაშინ როდესაც მოვალის მიერ ასეთი ვადის გადაცილება განხილულია ვალდებულების დარღვევის კარში.<sup>138</sup> თუმცა, ძალიან ბევრი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსი, მათ შორის რუსეთის სამოქალაქო კოდექსი, კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებას ათანაბრებს მოვალის მიერ ვადის გადაცილებასთან.<sup>139</sup> შეთავაზებული შესრულების მიღება თავისთავად არის უფლება და კრედიტორის მხრიდან ამ უფლების გამოუყენებლობით – უფლება მოვალეობად არ იქცევა. ამდენად, საეჭვოა, რომ საკუთარი უფლების გამოუყენებლობა შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ვალდებულების დარღვევა.

<sup>138</sup> საგულისხმოა ისიც, რომ 2002 წელს გამოცემული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რუსული თარგმანის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ კრედიტორის მიერ შესრულების ვადის გადაცილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განიხილება ვალდებულების შესრულების კარში, ხოლო მოვალისა – ვალდებულების დარღვევის კარში. წინასიტყვაობის ავტორს ეს არალოგიკურად ქეცნება და სვამს კითხვას, ნუთუ ქართველი კანონმდებელი კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებას არ თვლის ვალდებულების დარღვევად? და იქვე ასკვნის, რომ ეს კოდექსის სიტყმის ხარვეზია. იხ. Гражданский Кодекс Грузии, Санкт-Петербург, Юридический центр Пресс, 2002, გვ. 31.

<sup>139</sup> იხ. 405-ე – 406-ე მუხლები Гражданский кодекс Российской Федерации.

## დ ა ს კ ვ ნ ა

ამდენად, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების ადგილისა და ვადების საკითხი მეტად აქტუალურია, რადგან იგი ადრე არ ყოფილა ცალკე მონოგრაფიულად გამოკვლეული ქართულ სამართალში. ამ თემის აქტუალურობას ბევრად განაპირობებდა ვალდებულების შესრულების პრობლემებთან დაკავშირებით ერთიანი და სწორი სამართლებრივი პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობა. როგორც ჩანს, თანამედროვე პირობებში ვალდებულების შესრულების ადგილის დადგენა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეროვნულ სამართალში, არამედ საერთაშორისო კერძო სამართალშიც. ვალდებულების დროული შესრულება კი სტაბილური და მოწესრიგებული სამოქალაქო ბრუნვის საწინდარია. ამდენად, ვადების ცალკეულ სახეთა გამოკვლევა, ვადებთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინის შინაარსობრივი მნიშვნელობისა და ურთიერთმიმართების დადგენა აუცილებლად წაადგება ცივილისტურ დოქტრინასა და პრაქტიკას. ვინაიდან, საზოგადოებისა და თითოეული ადამიანის ცხოვრება დროში არსებული ფასეულობაა, ამან განაპირობა ის, რომ ვადების პრობლემა გასცილდა სამოქალაქო სამართლის სფეროს და მთელი სამარ-

თლის საერთო პრობლემად იქცა. ვადები სამოქალაქო ბრუნვის მოწესრიგების უმნიშვნელოვანესი საშუალებაა, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია ნებისმიერი ხელშეკრულება თუ სხვა სამართლებრივი მოქმედება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ მეცნიერებას შორის მუდმივი ორმხრივი ურთიერთკავშირია, ვფიქრობთ, რომ ჩვენი ნაშრომი წაადგება იურიდიული მეცნიერების განვითარებას და ასევე საინტერესო იქნება სასამართლო პრაქტიკისათვისაც. ჩვენი აზრით, ნაშრომი ხელს შეუწყობს ვადებთან დაკავშირებით მოწესრიგებული საკანონმდებლო პოლიტიკის შემუშავებას, რაც შედის სტაბილური და მყარი სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებში.

## SUMMARY

Proper fulfilment of obligations in good faith, at the time and place agreed is the most significant principle of Georgian Civil Law. A considerable feature of Georgian Civil Code is the fact that it is completely implementation oriented. Fulfilment of the obligations is of primary significance rather than the responsibility for its implementation. The issue of implementation of obligations at a matched time and place is particularly emphasised in current civil turnover. The Civil Code of Georgia therefore successfully regulates this issue and thus provides a basis for formation of stable and orderly civil turnover. Our monography is dedicated to this issue. In the first place we consider the issues associated with the venue of implementation. At this point it is of primary significance to answer the question on where the obligation should be implemented. Afterwards the question is when this obligation should be implemented. Regulation of implementation place is provided in accordance with the Georgian Civil Code, as in dispositional, also in imperative contexts. We endeavoured to study the concept of the venue of implementation of obligations, its significance, legal and contractual venue of implementation of obligations. Venue of implementation shall not be regarded as identical to the place of the occurrence of the outcome, or the location where the outcome occurs. The place of implementation is normally related to the place of outcome though in many cases the place of implementation of obligations, where the liable person shall fulfill his obligations is different from the place of outcome of the place where the creditor can benefit

from the implementation. Separate section of the work is dedicated to the venue of fulfilment of monetary obligations.

The issue of terms of fulfilment of the obligations is comprehensively discussed in the present work. The Civil Code offers number of new provisions and provides for detailed regulation of timely fulfilment of obligations. Implementation of obligations in a timely manner is of great significance for the law in general and in particular for the private law and for the public law. It is a necessary guarantee for stable civil turnover. The work surveys a general concept of terms and also the terms of obligations. We sought to study characteristics of the term from the law and contractual approaches. Determination of the terms normally is a prerogative of the parties, as well as other terms and conditions of the agreements, though, for many cases the laws provide for the “way out”, if the parties have not agreed upon the term. For example, in case of hire the rent should be paid upon completion of the term of agreement (Part 1 of Article 553); in case of loan, if the term of repayment is not determined, that the loan should be covered at a moment of termination of the agreement by the creditor or debtor (Part 1, Article 626); etc. Terms determined by law are applied only when the parties have not agreed upon something else. In many cases the terms set by law are accompanied with an alternate option of terms agreed upon by the parties. It should be noted that the terms based on the free agreement principle prevail. Either determined by law or agreed upon, the terms should be clearly determined. This requirement is of specific significance, though, frequently it is not complied with. Absence of any agreement term or its insufficient accuracy hinders the fulfilment of obligations.

The work considers such types of the terms, as determined and undetermined, proposed and reasonable, on-time, enforceable and extended terms.

Proposed term should not controvert with any terms of the agreement. The proposed term should correspond to the terms set out in the agreement or its general contents. Given such terms are based upon implied will of the parties it is unlikely that the parties intended to violate the terms provided for by the agreement. Similarly, any implied term is limited by the warning on the part of the creditor and in case of non-performance from the side of the debtor it may not be extended. Though the debtor is authorised to claim, if he/she considers that the warning is unfair and it violates a precise or implied term of the agreement. Therefore, in our opinion, we can consider as an implied term, which is necessary for normal implementation of the agreement. The parties shall ensure that the cooperation within the terms agreed upon do not make it impossible to implement the agreement. Proposed term shall be reasonable.

We found it reasonable to consider characters of immediate fulfilment, pre-term fulfilment and simultaneous fulfilment. In case of the obligations with undetermined term “The creditor may demand fulfilment at any time and the debtor may fulfil his/her obligations immediately.” That means that the obligation must be fulfilled immediately upon demand of the creditor to the debtor; otherwise the debtor should be regarded as noncompliant with the terms. In our opinion, when the legislator mentions the right of creditor to demand fulfilment at any time, he/she implies relevant obligation of the debtor to immediately fulfil his obligation. The expression “the debtor may fulfil his/her obligation immediately” implies independent right of the debtor, to fulfil his/her obligations immediately if he wishes to do so. In case of absence of such demand of the creditor, the right of the debtor to immediately fulfil his obligations should mean nothing more than immediate fulfilment without any extension and postponing. In case of immediate fulfilment as relevant time of fulfilment should be regarded

the time period, which commences immediately upon creation of the obligation and completes at a moment of creditor's demand of fulfilment. It is regarded that the debtor, who fulfils his obligations at any time, without creditor's notification fulfils his obligations at a proper time. As the creditor has right to demand fulfilment of obligations at any time, implies that the debtor shall fulfil his obligations before notification, or he shall be ready for this from the moment of creation of these obligations. It should be noted that it is not always possible to provide immediate fulfilment within the short time period.

In case of simultaneous fulfilment implementation of obligations by one party it is always implied that another party shall also fulfil his obligations. In this respect we can consider so called "right of arrest". Pursuant to Article 500 of the Civil Code of Georgia: "If the buyer does not accept the thing in time, or fails to pay its price in time, the seller is obligated to keep the thing. The seller has the right to retain the thing or to detain it in transit until the buyer compensates him for his corresponding expenses". The right of arrest arises from the obligation of fulfilment on the side of the other party. In such case the right of arrest does not imply directly holding the thing but the right of adjourning implementation. In our opinion simultaneous fulfilment takes place, when other party is authorised to arrest before counter-implementation. As the obligation of fulfilment by another party in the mutual agreement is based on the general principle of fulfilment, it is important, when such fulfilment shall be provided and whether its non-fulfilment creates in a short period of time any counter rights or not. Right of arrest is a kind of instrument for securing the fulfilment.

Practice shows that non-fulfilment of obligations in many cases implies that obligations are not fulfilled in time (overdue). Therefore we found that it would be reasonable to survey the latter issue. The

Code regards as a primary condition of overdue coming of the due time. Therefore, in our opinion, overdue of obligations, normally occurs automatically, from the moment of coming of the date provided for by the agreement, without any notification. Although in Part 2 of Article 400 notification is considered, it seems that this is applicable to the exclusive cases, or those obligations, which apparently require notification. It should be noted that this issue in Georgian Civil Code is solved on the analogy to German Civil Code. The difference is that in German Code the issue is considered in more details and there are specified those obligations, which do not require any notification – these are the obligations, to which the calendar dates are applicable. For the agreements made for non-specified term, or with some condition apparently require such notification. We believe that court practice in Georgia should be developed in this direction.

Terms of implementation of obligations is a universal instrument for putting social relations in a time frame and this could be implemented as on the basis of regulations, also based on individual will, either in imperative or in disposition form.

Studying of the issue of venue and terms of implementation of contractual obligations is of great practical significance in the conditions of modern market economy, which is characterised with more dynamic features and time deficit. On the basis of studying and analysis of these and other issues there are made conclusions and proposals in the monograph and in some cases, this is done with the purpose of perfection of legislation.

## ბამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
3. ახელედიანი ზურაბი, ვალდებულებითი სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 1999;
4. გაბისონია ზვიად, საინვესტიციო დავის მონაწილე იურიდიულ პირთა იურისდიქცია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2002;
5. ზოიძე ბესარიონ, სანიეტო სამართალი, გამომცემლობა „უფლება“, თბ., 1999;
6. ზოიძე ბესარიონ, ვადების ცნება და ზოგადი დახასიათება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის კერძო სამართლის განყოფილების 2001 წლის სამეცნიერო კვლევითი გეგმით გათვალისწინებული ნაშრომი, ხელნაწერი;
7. ზოიძე ბესარიონ, რეცენზია იაკობ ფუტყარაძის სადოქტორო დისერტაციაზე „ქართული ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტები“, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2002;
8. ზოიძე ბესარიონ, „ქონებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევისათვის“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1989;

9. ზოიძე ბესარიონ, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა“ ქართული სამართლის მიმოხილვა, პირველი კვარტალი, 1998, გვ. 11-21;
10. ზოიძე ბესარიონ, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005;
11. ზოიძე ბესარიონ, ზარანდია თამარ, მოძღვრება ვადის (დროის) სამართლებრივი ბუნების შესახებ, ჟურნალი „სამართალი“, № 5-6, 2003;
12. ინწკირველი გივი, „სახელმწიფოსა და სამართლის თეორია“, თბ., 1997;
13. კერესელიძე დავით, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №1, 2004;
14. კნიპერი როლფ, რამოდენიმე მოსაზრება საქართველოში კერძო სამართლის დარგში რეფორმის განხორციელების შესახებ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, სამართლის სერია, №1, 1998, გვ. 73-81;
15. კობახიძე ავთანდილი, სამოქალაქო სამართალი, ზოგადი ნაწილი, შპს გაზეთ „საქართველოს მაცნე“-ს სტამბა, თბ., 2001;
16. კორკელია კონსტანტინე, მჭედელიძე ნანა, ქურდაძე ირინა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და მისი ოქმების სტანდარტებთან, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2005;
17. ლაზარაშვილი ლალი, ლობჯანიძე პაატა, ლილუაშვილი გია, ზარნაძე ეკა, სასამართლო

- პრაქტიკის კომენტარი სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალში, თბ., 2003;
18. ლილუაშვილი გია, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, თეორია და პრაქტიკა, გამომცემლობა „ჯისიანი“, თბ., 2005;
  19. ლილუაშვილი გია, კომერსანტი და კეთილსინდისიერება, ჟურნალი „უწყება“, 1997, №3;
  20. ლილუაშვილი თენგიზ, სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „ჯისიანი“, 2001;
  21. ლილუაშვილი თენგიზ, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბ., 2000;
  22. ლომიძე ვლადიმერ, საკუთრების შექმნის წყაროები ქართულ სამართალში, განძი, ნაპოვარი, შექმნილი ხანდაზმულობა, ავტორეფერატი, თბ., 2005;
  23. ნეიშანი ალექსანდრე, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ თბ., 1961;
  24. როინიშვილი სოფიო, ხელშეკრულებების თავისუფლება, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 2001;
  25. საერთაშორისო საბანკო ოპერაციების უნიფიცირებული წესები, გამომცემლობა „ისარი“, თბ., 1995;
  26. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე, სექტემბერი, 2001, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2001;
  27. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენ-

- ტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2002;
28. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 1999;
29. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001;
30. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001;
31. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2001;
32. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხუთე, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 2000;
33. სუხიტაშვილი დავით, სამართალი და დრო, თბ., 2004;
34. ტურავა მერაბ, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბ., 2001;
35. უბერი ნინო, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა და მისი წინარე ისტორია, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №2, 2004;
36. ფუტყარაძე იაკობ, ქართული ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტები (ისტორიულიურიდიული გამოკვლევა) ავტორეფერატი, თბ., 2002;
37. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისის ი.ჭავჭავაძის სახელობის

- წიგნის ფაბრიკა, 1986;
38. ყაუხჩიშვილი სიმონ, ლათინურ-ქართული ლექსიკონი, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1961;
  39. შენგელია რომან, „კონდიქციურ ვალდებულებათა საფუძვლები“, სერგო ჯორბენაძე 70, საიუბილეო კრებული, ნორმა, თბ., 1996;
  40. შენგელია რომან, საავტორო და მომიჯნავე უფლებების მოქმედების ვადები, თენგიზ ლილუაშვილის საიუბილეო კრებული, გვ. 127-134;
  41. ჩიტოშვილი თამარ, საიჯარო ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 1999;
  42. ცისკაძე მარიამ, საქმის განხილვის გადადების და წარმოებით შეჩერების სამართლებრივი რეგულირება, თენგიზ ლილუაშვილის საიუბილეო კრებული, გვ. 273-287;
  43. წულაია დავით, ინგლისურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბ., 2005, გვ. 443.
  44. ჭანტურია ლადო, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997;
  45. ჭანტურია ლადო, ნინიძე თედო, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „სამართალი“, თბ., 1998;
  46. ხეცურიანი ჯონი, ქართული ეკლესიის კონსტიტუციური საფუძვლები, თენგიზ ლილუაშვილის საიუბილეო კრებული, თბ., გვ. 60-69;
  47. ხუბუა გიორგი, სახელმწიფოსა და სამარ-

- თლის თეორია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2004;
48. ჯ ა ნ ხ ო თ ე ლ ი შ ო რ ე ნ ა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ზოგადი ნაწილი, კითხვა-პასუხებში, თბ., 2001;
49. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ს ა ნ დ რ ო, ფრენშაიზინგის ხელშეკრულება, თბ., 1999;
50. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე ს ე რ გ ო, საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები, კრებული „სამართლის რეფორმა საქართველოში“ თბ., 1994, გვ. 139-154;
51. Ансон В., Договорное право, Перевод с английского, „Юридическая литература“ М., 1984;
52. Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право, общие положения, „Статут“, М., 1998;
53. Ваганцума Саказ, Ариидзуми Тору, Гражданское право Японии, книга первая (перевод с японского), М., „прогресс“, 1983;
54. Венская Конвенция о договорах международной купли-продажи товаров, Комментарий, М., „Юридическая литература“, 1994;
55. Гамбаров Ю.С., Курс Гражданского права, Т.1, часть общая, С-Петербург, 1911;
56. Гражданский кодекс Российской Федерации, часть первая, Научно-практический Комментарий (отв.ред. Т.Е. Абова, А.Ю.Кабалкин, В.П. Мозолин), - М., изд. БЕК, 1996;
57. Гражданский Кодекс Грузии, Санкт-Петербург, Юридический центр Пресс, 2002;
58. Гражданский кодекс Украины, Научно-практический

- Комментарий, Харьков, „Одиссей“, 1999;
59. Гражданское и торговое право капиталистических государств, Ч.П, под. ред. Р.Л.Нарышкина, М., „Международные отношения“, 1984;
  60. Грибанов В.П., Сроки в гражданском праве, Изд. „Знание“ М., 1967;
  61. Грибанов В.П., Осуществление и защита гражданских прав, „Статут“, М., 2000;
  62. Германское право, Часть III, „Статут“, М., 1999;
  63. Дербург Г., Обязательственное право, М., 1991;
  64. Дюги Леон, Общие преобразования Гражданского права, М., 1919;
  65. Иванов В.В., К вопросу об общей теории договора, Государство и право, 2000, №12;
  66. Иоффе О.С. Гражданское право, Избранные труды, „Статут“, М., 2000;
  67. Иоффе О.С., Обязательственное право, „Юридическая литература“, М., 1975;
  68. Комментарий к гражданскому кодексу Российской Федерации, части первой, подготовлен институтом законодательства и сравнительного правоведения при правительстве РФ, Юринформцентр, М., 1997;
  69. Комментарий части второй гражданского кодекса Российской Федерации, фирма Гардарика, М., 1996;
  70. Кулагин М. Н., Избранные труды, М., „Статут“, 1997;
  71. Лунц Л.А. Деньги и денежные обязательства в гражданском праве, М., „Статут“, 1999;
  72. Л. Жюллио де ла Морандьер, Гражданское право Франции, изд. иностранной литературы, М., 1960;

73. Май С.К., Очерк общей части буржуазного обязательственного права.. М., 1953;
74. Мозолин В.П. Фансворт Е.А., Договорное право в США и СССР, История и общие концепции, М., Наука, 1988;
75. Новицкий И.Б. и Перетерский И.С, Римское Частное Право, М., изд. Юриспруденция, 2000;
76. Новицкий И.Б., Луиц Л.А., Общее учение об обязательстве, М., Государственное издательство юридической литературы, 1950;
77. Основные институты гражданского права зарубежных стран, сравнительно-правовое исследование, Руководитель авторского коллектива В.В.Залесский, „Норма“, М., 1999;
78. Пути к новому праву, материалы международных конференций в Санкт –Петербурге и Бремене, под общей редакцией М.М.Богуславского и Рольфа Книпера, Эшборн, 1998;
79. Покровский И.А., Основные проблемы гражданского права, „Статут“, М., 1998;
80. Пухан И. Поленак-Акимовская Мирьяна, Римское право, „Зерцало“, М., 1999;
81. Сарбаш С.В., Право удержания как способ обеспечения исполнения обязательств – „Актуальные вопросы гражданского права“ (под. ред. М.И. Брагинского), М., изд. „Статут“, 1998;
82. Суханов Е. А., Гражданское право, 2-е издание, М., изд., „Бек“, 2000 (в двух томах);
83. Французский Гражданский кодекс 1804 года. с

- познейшими изменениями до 1939 г., Перевод И. С. Перетерского, Юридическое изд. „НКЮСССР“, М., 1941;
84. **Фридман Н.П.**, Сроки в гражданском праве, „Вюзи“, М., 1986;
85. **Цвайгерт К., Кётц Х.**, Введение в сравнительное правоведение в сфере частного права, „Международные отношения“, М., 1998;
86. **Чиквашвили Шалва**, Достоинства и недостатки проекта нового Гражданского кодекса Грузии, Пути к новому праву, материалы международных конференций в Санкт-Петербурге и Бремене, под общей редакцией М.М. Богуславского и Рольфа Книпера, Эшборн, 1998;
87. **Atuyah P.S.**, An introduction to the law of contract, FiFt Edition, Clarendon Press, Oxford, 1995;
88. **Aynes Laurent, Malaurie Philippe**, Cours de Droit Civil, les obligations, 2-ème édition, Edition Cujas, 1990, Paris;
89. **Bachelard Gaston**, La dialectique de la durée, Paris, 1936;
90. **Bénabent Alan**, Droit civil, les obligations, Quatrième édition, Montchrestien, Paris, 1994;
91. **Blanche Sousi-Roubi**, Variation sur la date, Revue Trimestrielle de droit civil, Paris, 1991;
92. **Carbonnier Jean**, Droit civil, 4/ les obligation, Presses Universitaires de France, 1956, 22-ème édition refondue: 2000, Janvier, Paris;
93. **Chestin Jacques, Billiau Marc**, Traité de droit civil , Les obligation, Librairie Générale de droit et de jurisprudence, Paris, 1992;

94. Chitty on contracts, Twenty-seventh edition, Volume I, General Principes, Sweet and Maxwell, London, 1994;
95. Code civil, Imprime en France, Dalloz, 1997-1998;
96. **Delebecque Philippe, Pansier Frédéric-Jérôme**, Droit de obligations, Responsabilité civile – contrat, 2 -em édition corrigée, Litec, Paris, 1998;
97. **Delmas J. et C.**, Principes et pratique du droit civil, Encyclopédie delmas pour la vie des affaires, Paris, 1987;
98. **Eccher Bernard**, Der Erfüllungsort für Euro-Shhulden, Festschrift Heinz Krejci zum 60, Geburtstag, Wien, 2001;
99. **Emge August**, Begriff und Bedeutung des Vollzugsorts beim gegenseitigen Vertrag, Der Vollzugort beim gegenseitigen, Verlegt bei Clauss Feddersen in Hanau, 1910;
100. **Engel Pierre**, Traté des obligations en droit Suisse, Neuchatel, 1973;
101. **Esser Josef, Schmidt Eike**, Schuldrecht, Band I, Allgemeiner Teil, Heidelberg;
102. **Fikentschen Wolfgang**, Schuldrecht, 8. Auflage, Berlin, New york, 1992;
103. **Gauch Peter, Schlupe Walter R., Tercier Pierre**, La partie générale du droit des obligations (sans la responsabilité civile), Tome II, 2-ème édition revue et complétée, Zurich, 1982;
104. **Gaudemet E., Desbois H., Gaudemet J.**, Theorie Générale des obligations, Sirey, 1965;
105. **Iarenz kar**, Lehrbuch Des Schuldrechts, „München“ 1987;
106. **Lewison kim**, The interpretation of contracts, Second edition, London, Sweet and Maxwell, 1997;
107. **Lorenz Stephan, Thomas Riehm**, Lehrbuch zum

- neuen Schuldrecht, München, 2002;
108. **Malaurie Philippe, Aynés Laurent**, Cours de droit Civil, Les obligation, éditions cujas, Paris, 1995;
109. **Malivaud Philippe**, Droit des obligation, Les mécanismes Juridiques des relations économiques, Sizièm édition, Lites, Paris, 1992;
110. **Medicus Dieter, Schuldrecht I**, Allgemeiner Teil, C.H. Beck'Sche Verlagsbuchh, andlung, München, 1995;
111. **Mousseron Jean Marc**, Technique Contractuelle, Edition juridique Lefebvre, Paris, 1988;
112. **Nicolaeu Patrik**, Leqxique de droit Prive, Ellipses, Paris, 1996;
113. **Pichard Paul**, Law of Contract, Second Edition, Pitman Publishing, 1995;
114. **Robin Cécile**, La mora creditoris, Revue Trimestrielle de droit Civil, Dallos, 1998;
115. **Savatier Renè**, la Théorie des obligations en droit privé économique, Dallos, Paris, 1995;
116. **Sèriaux Alan**, Droit des obligations, Presses universitaires de France, Paris, 1992;
117. **Shellhammer Kurt**, Ziwilrecht nach Anspruchsgrudlagen: BGB Allgemeiner Feil und gesamtes Schuldrecht mit Nebengesetzen – Heidelberg, 1994; .
118. **Vasseur M.Michel**, Delais Préfix, delais de Prescription, delais de Procédure, Revue Trimestrielle de droit Civil, anné 1950, Recueil Sirey, Paris, 1950.

კორექტორი თეა ყოლანდარია  
კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ლიპარტელიანისა

თამარ ზარანდია

სახელშეკრულებო ვალდებულების  
შესრულების აღბილი და ვალები

**Tamar Zarandia**

**VENUE AND TERMS OF FULFILMENT  
OF CONTRACTUAL OBLIGATIONS**

*გეი*

*Publishing House*

გამომცემლობა „ჯისიაი“

Tel/Fax: (995 32) 33 52 91, (995 32) 95 31 99

E-mail: [gci@gol.ge](mailto:gci@gol.ge)